პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . 14 76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

ოთხშაბათი, 7 იანვარი 1931 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 6 (2961)

დღი [illegible]

— რურის მემაღაროეთა გაფიცვა დღითი-დღე ფართოვდება.
— თეთრგვარდიელთა თავხედობა შანხაიში.
— ძლიერი ქარიშხალი შავ ზღვაზე.
— მუშა-ხელის დაქირავების ახალი წესი.

მტკიცე ნაბიჯით ა.-კ. ელექტროფიკაციის გზით

ა.-კ. პირველი ენერგეტიული ყრილობის გამო

დღეს იხსნება ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობა. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის სამეურნეო განვითარებისათვის აღნიშნულ ყრილობას. ამიერ-კავკასია, სადაც მეფის მთავრობა თავის კოლონიალური პოლიტიკით ხელოვნურად აჩერებდა სახალხო მეურნეობის განვითარებას, სადაც მენშევიკების, მუსავატელებისა და დაშნაკელების ბანდიტური ბატონობის დროს მოიშალა ქვეყნის ეკონომიური საფუძვლები, — დღეს მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად დიდი წარმატებით მიდის წინ სოციალისტური მშენებლობის გზით. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ფართოთ გაიხსნა ამიერ-კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებისა და მშრომელი მოსახლეობის შემოქმედებითი ინიციატივის გზა. ამას მოწმობენ ჩვენი ყოველდღიური უდიდესი მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში. ამ მიღწევათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ელექტროფიკაციას.

ლენინი ამბობდა: საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროფიკაცია — არის სოციალიზმი. საკავშირო კომუნისტური პარტია თავისი ბოლშევიკური ცეკას ხელმძღვანელობით განუხრელად ანხორციელებს ლენინის ამ ანდერძს. ენერგეტიული ბაზა, ნედლეული და მუშა ხელი — აი ის ძირითადი წინასწარი პირობები, რომელთა საფუძვლებზედაც სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია. ყველა ეს პირობები ჩვენს ქვეყანაში გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე დიდ სახელმწიფოში. ამასთანავე ჩვენ ვცხოვრობთ თავისუფალი შრომის ქვეყანაში, სადაც სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ ჩვეულებრივ პირობებს თან ერთვის უდიდესი მნიშვნელობის დადებითი ფაქტორი — მასების დაუშრეტელი შრომითი ენტუზიაზმი.

ასეთ პირობებში გასაგებია, რომ ელექტროფიკაციის დარგშიც საბჭოთა კავშირი წინ უსწრებს ტეხნიკურად უფრო განვითარებულ სახელმწიფოების ტემპებს. ასეთია ჩვენი მიღწევები ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში. ასეთია ის ტემპები, რომლის წინაშედაც მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტები ჩვენი კლასობრივ მტრების ენასა და პრაქტიკას ითვისებენ პარტიის მიმართ.

თავის თავად ცხადია, რომ უდიდესი მიღწევები საზოგადოთ ინდუსტრიალიზაციისა და კერძოდ ელექტროფიკაციის დარგში შესაძლებელი გახდა იმ დაუზოგავი ბრძოლის შედეგადაც, რომელსაც ჩვენი პარტია აწარმოებდა და აწარმოებს ყველა სახის ოპორტუნიზმსა და განსაკუთრებით მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც განვითარების ეხლანდელი ეტაპისათვის მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ.

მემარჯვენე-„მემარცხენე" ოპორტუნიზმსა და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ დაუზოგავი ბრძოლა კიდევ უფრო მეტად ძალაში რჩება ეხლაც, როცა ჩვენ უკვე ფეხი შევდგით სოციალიზმის პერიოდში, როცა მომაკვდავი კლასები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ სოციალისტურ შეტევას საკუთარი არსებობის გახანგრძლივებისათვის. ამას ვერ დაივიწყებენ ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციებიც. აქ მემარჯვენეობა თუ „მემარცხენეობა" გამოხატულებას პოულობს აგრეთვე ნაციონალისტურ გადახრაში. ამიტომ ბრძოლა ყოველი სახის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ამიერ-კავკასიაში მჭიდროთ არის გადანასკვული ნაციონალისტური გადახრების წინააღმდეგაც ბრძოლასთან, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შემდგომი განმტკიცების ამოცანასთან. ამ ამოცანის გადაჭრა კი შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ არ დავკმაყოფილდებით იმ მიღწევებით, რომელიც უკვე მოგვცა ამიერ-კავკასიის ფედერაციამ და მთელ ძალღონეს მივმართავთ მისი ეკონომიური ბაზის კიდევ უფრო გამაგრებისაკენ.

უდავოა, რომ ამიერ-კავკასიის პირველ ენერგეტიულ ყრილობას ამ მხრივაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამას მოწმობენ ყრილობის დღის წესრიგში დასმული ამოცანები. ყრილობამ უნდა შეაჯამოს ის გამოცდილებანი, რომელიც ამიერ-კავკასიამ მოიპოვა ელექტრომშენებლობის დარგში და გამოარკვიოს ელექტროფიკაციის უახლოესი პერსპექტივები ამიერ-კავკასიაში. ყრილობამ უნდა დაამუშაოს ამიერ-კავკასიის ელექტრორესურსების რაციონალურად გამოყენების ამოცანა, მან უნდა გააშუქოს ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და ბაქოს ნავთის მრეწველობაში ელექტროენერგიით სარგებლობის საკითხები. დასასრულ ყრილობამ უნდა გააადვილოს ამიერ-კავკასიის ენერგეტიული წყაროების შესწავლისა და გამოყენების საკითხი.

უკვე ამოცანების ამ საერთო ჩა[illegible] უდიდესი მნიშვნელობა ექნება პირველი ენერგეტიული ყრილობის მუშაობას ამიერ-კავკასიის შემდგომი განვითარებისათვის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული გათვითცნობიერების გზით. ღრმად გვწამს, რომ ყრილობა გაამართლებს იმ იმედებს, რომლებსაც ამყარებს მის მუშაობაზე პარტია და ხელისუფლება.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის პირველ ენერგეტიულ ყრილობას!

რურის მემაღაროეთა საგაფიცვო მოძრაობა დღითი-დღე ფართოვდება

გაფიცულია 65 ათასი მუშა

ესენი, 5 იანვარი. კაპიტალისტების, პროფბიუროკრატების და სახელმწიფო აპარატის გაერთიანებულ ძალთა წინააღმდეგობისა და მასიური უმუშევრობის მიუხედავად, გაფიცვა რურის ოლქში, ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის ცნობებით, მოიცავს 47 მაღაროს და 65.000 მუშას.

პოლიციელთა მობილიზაცია

გაფიცვის ჩასაქრობად მთელ დასავლეთ გერმანიიდან რურის ოლქში გაგზავნეს პოლიციელთა რაზმები. პოლიციელთა რაზმები ცალკე მაღაროებშიაც კი ჩააყენეს. პოლიციის უფროსი, სოციალ-დემოკრატი მეიერი პირადად ხელმძღვანელობს პოლიციის მოქმედებას. ბოხუმში პოლიციამ ალყა შემოარტყა გერმანიის კომპარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის სადგომს და დააპატიმრა რევოლუციონური პროფოპოზიციის და კომპარტიის 102 აქტივისტი, მათ შორის კომპარტიის საოლქო კომიტეტის მდივანი, ამ გზით დამქირავებელნი და პროფკავშირის ბიუროკრატები, რომელნიც პოლიციასთან მჭიდრო კავშირში მუშაობენ, ცდილობენ საგაფიცვო მოძრაობა უმეთაუროდ დასტოვონ.

შეტაკებები პოლიციასთან

პოლიციამ მთელ რურის ოლქში გაამეფა უმკაცრესი ტერორი, რომელიც პირველ რიგში მიმართულია საგაფიცვო პიკეტების წინააღმდეგ. რურის ოლქის პოლიციის პროვოკაციულმა ყოფაქცევამ უკვე გამოიწვია რამდენიმე შეტაკება გაფიცულებთან. პოლიციამ არა ერთხელ მიმართა სასროლ იარაღს: ლინტფორტოში პოლიციამ სროლა აუტეხა შეკრებილ ხალხს. მოჰკლა ერთი მუშა და დასჭრა—12. დორტმუნდის გარეუბანში მოჰკლეს ერთი შტრეიკბრეხერი, მეორე მძიმედ დასჭრეს.

საგაფიცვო კომიტეტის და მაღაროების დელეგატთა კონფერენცია

ბოხუმში შესდგა საგაფიცვო კომიტეტებისა და მაღაროების დელეგატთა კონფერენცია, მოწვეული რევოლუციონური პროფოპოზიციის მიერ რურის სამთა-მადნო მუშების ბრძოლის შემდგომი ზომების განსახილველად. კონფერენციას დაესწრო 806 დელეგატი 117 მაღაროდან. დელეგატებიდან 400-ზე მეტი უპარტიო იყო. დაესწრნენ აგრეთვე ქრისტიანული, სოციალ-დემოკრატიული, სინდიკალისტური და ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციების წევრი-მუშები.

რეფორმისტების გამცემლობა

კონფერენციამ ცხადჰყო მუშათა მასების ერთსულოვანი მისწრაფება—განაგრძონ და გააღრმაონ გაფიცვა. საერთო აღშფოთება გამოიწვია ქრისტიანული და რეფორმისტული პროფბიუროკრატების შტრეიკბრეხერულმა პოზიციამ. ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენელი სეფკოვი გამოვიდა მოხსენებით საგაფიცვო მოძრაობის მდგომარეობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ რურის ოლქის მუშები თავიანთ კრებებზე მოითხოვენ ამხედრებას მოღალატე პროფბიუროკრატების წინააღმდეგ და სამთა-მადნო მუშების წითელი გაერთიანებული კავშირის შექმნას.

მოითხოვენ საგაფიცვო ფრონტის გაფართოებას

კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია მოითხოვს საგაფიცვო ფრონტის დაუყოვნებლივ გაფართოებას. კონფერენციამ დიდის აღტაცებით გადასწყვიტა—გაგზავნოს დეპეშა სამხრეთ უელსის გაფიცულ სამთა-მადნო მუშებს. ამ დეპეშით რურის მუშები ძმურ სალამს უგზავნიან სამხრეთ უელსის მუშებს. საერთო ბრძოლაში, რევოლუციონური ხელმძღვანელობით,—ნათქვამია დეპეშაში,—ჩვენ დავამარცხებთ კაპიტალისტებს როგორც რურის ოლქში, ისე სამხრეთ უელსშიო.

კონფერენციაზე გამოსულმა სამთა-მადნო მუშების საერთაშორისო კომიტეტის მდივანმა სობოტკამ აღნიშნა, რომ სამთა-მადნო მუშების ბრძოლის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა მუშების გაფიცვა ერთსა და იმავე დროს დაიწყო ევროპის ორ ძირითად ქვანახშირის რაიონში. ეს სამთა-მადნო მუშების მოახლოვებული გამარჯვების ნიშანიაო.

კონფერენციასთან დაკავშირებით, გაფიცულმა მუშებმა გამართეს დიდი დემონსტრაცია. პოლიციამ, რომელიც თავს დაესხა დემონსტრანტებს, ბევრი მათგანი დააპატიმრა. (ადს).

სოციალ-მოღალატენი ცდილობენ გაფიცვის ჩაშლას

ესენი, 5 იანვარი. სწორედ იმ დროს, როდესაც ბოხუმში რევოლუციონური პროფოპოზიციის საგაფიცვო კომიტეტების კონფერენცია მიმდინარეობს და რევოლუციონური პროფოპოზიცია და კომპარტია მთელ რურის ოლქში მასიურ მიტინგებს აწყობენ, რეფორმისტული და ქრისტიანული პროფკავშირები შტრეიკბრეხერობის ორგანიზაციას აწყობენ. დამახასიათებელია, რომ ამ უკანასკნელთა კონფერენციებმა მიიღეს თითქმის ერთნაირი რეზოლუციები, რომელშიაც მუშებს მოუწოდებენ — იბრძოლონ „იმ ველური საგაფიცვო მოძრაობის წინააღმდეგ, რომელსაც კომუნისტები აწყობენ", „წინააღმდეგ კომუნისტების ცდისა—გამოიწვიონ პუტჩი", „იმ ტერორის წინააღმდეგ, რომლითაც ისინი აშინებენ მუშაობის მსურველ მუშებს". (ადს).

თეთრგვარდიელთა თავხედობა შანხაიში

სიკვდილით ემუქრებიან საბჭოთა მოქალაქეებს

შანხაი, 5 იანვარი. 31 დეკემბერს, ღამის 12 საათზე საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს შანხაის განყოფილებას პოლიციის სამხილო სამმართველოდან ტელეფონით აცნობეს ყუმბარის აღმოჩენის ამბავი; ეს ყუმბარა „ეგზავნებოდა" საკავშირო დეპეშათა სააგენტოს შანხაელ კორესპონდენტს როივერს.

1-ლ იანვარს როივერს ეწვია პოლიციის აგენტი, რომელმაც აცნობა მას, რომ მისი ბინის მახლობლად ავტომობილში იპოვეს ყუმბარა. ყუმბარასთან ერთად აღმოჩნდა ინგლისურად დაწერილი წერილი, რომელიც შეიცავდა მუქარას როივერის მიმართ და უწოდებდა „საახალწლო საჩუქარს".

ამავე დროს უკანასკნელ დღეებში ქალაქის სხვადასხვა უბანში კედლებზე გაჩნდა თეთრგვარდიელთა ფურცლები, რომლებიც მოითხოვენ საბჭოთა მოქალაქეების დახოცვას; იქვე მოყვანილია ამ უკანასკნელთა მისამართები. პოლიციელების მიერ აღმოჩენილი ყუმბარა პოლიციის სამხილო სამმართველოში ინახება. მიუხედავად ამისა, ინგლისური რეაქციონური ორგანო „ჩაინა დეილი ნიუს"-ი არაჩვეულებრივ და მეტად საეჭვო მცოდნეობას იჩენს ყუმბარის საკითხში. გაზეთი ამტკიცებს, ვითომ ყუმბარას არავითარი ზიანის მოტანა არ შეეძლო (ადს).

1931 წ. გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიის გეგმის შესახებ

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 319

1931 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადებას და ბოლშევიკური ტემპებით ჩატარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმის განხორციელებისათვის. ხუთწლედის მესამე წლის გაზაფხულის კამპანიამ უნდა განამტკიცოს და გააფართოოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სოციალისტური ფორმები (საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები) კულაკობის შემდგომი შეზღუდვასა და შევიწროებასთან ერთად მის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლით.

სოფლის მეურნეობის მწარმოებელი ძალების დაჩქარებული განვითარება ამ საფუძველზე უზრუნველყოფილ უნდა იქნას 1931 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

ა) ძვირფასი და სუბტროპიკული კულტურების აუცილებელი გაშლით, როგორც ახალი ფართობის გამოყენების, ისე მარცვლეულის ნათესის განდევნის გზით;

ბ) სამრეწველო მეცხოველეობის მაქსიმალური განვითარებით და საკვები ბალახების გაძლიერებული წარმოებით, რაც უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს მეცხოველეობის პრობლემის გადასაჭრელად.

გ) მეხილეობისა და მებოსტნეობის საგრძნობი გაფართოებით, განსაკუთრებით სამრეწველო ცენტრების რაიონებში და ქალაქების ირგვლივ.

ამასთან 1931 წლის გაზაფხულის კამპანიაში უზრუნველყოფილ უნდა იქნას ნათესის არა მარტო რაოდენობითი გაფართოება, არამედ უფრო მეტად მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები: მოსავლიანობის გადიდება, პირუტყვის პროდუქტიულობის აწევა, შრომის ნაყოფიერების გაზრდა, თვითღირებულების შემცირება და მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის სრული გამოყენება.

1931 წლის გაზაფხულის თესვისათვის მზადების თავის დროზე გაშლა და მისი ბოლშევიკური ტემპებით გატარება, აგრეთვე მუშათა კლასის, კოლმეურნეების, მოჯამაგირეების, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართო მასების მობილიზაცია აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამ უდიდესი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიის შესრულებისათვის.

გაზაფხულის კამპანიის შესრულების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს აგრეთვე თესვის გეგმის თავის დროზე მიყვანა ყოველ საბჭოთა მეურნეობამდე, კოლმეურნეობამდე, სოფლამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე.

1931 წლის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის თავის დროზე მომზადებისა და ჩატარების მიზნით, ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ნათესის საერთო ფართობი

1. 1931 წლის გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში გაზაფხულის ნათესის საერთო ფართობი ამიერ-კავკასიაში განისაზღვროს 1.506.000 ჰექტარით, აქედან:

აზერბ. ს. ს. რესპუბლიკაში 407.660 ჰექტ.
სომხეთ. ს. ს. რესპუბლიკაში 338.850 ჰექ.
საქ. ს. ს. რესპუბლიკაში 759.490 ჰექტ.

2. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, აგრეთვე ა.-კ. მიწსახკომს და ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრს—დაამთავრონ 15 იანვრისათვის გეგმის მიყვანა ყოველ საბჭოთა მეურნეობამდე, კოლმეურნეობამდე, სოფლამდე და ინდივიდუალურ მეურნეობამდე, კამპანიას მისცენ ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათი და თესვის გეგმები აუცილებლად იქნას განხილული სოფლის საბჭოების სხდომებზე, გლეხთა საერთო ყრილობებზე, კოლმეურნეების კრებებზე და საწარმოო თათბირებზე.

3. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს—საბჭოების რაიონულ ყრილობებზე სპეციალურად განიხილონ გაზაფხულის სას.-სამეურნეო კამპანიის სარაიონო გეგმა და შეიმუშაონ ისეთი კონკრეტული ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ კამპანიის წარმატებით ჩატარებას.

2. ტეხნიკური კულტურის დარგში

ბამბის შესახებ

1. ბამბის ფაქტიური ნათესის ფართობი ინსტრუმენტალური გაზომვით დაწესდეს 250.000 ჰექტარის რაოდენობით, აქედან:

აზერბ. ს. ს. რესპუბლიკაში 205.000 ჰექ.,
სომხ. ს. ს. რესპუბლიკაში 25.000 ჰექტ.
საქართ. ს. ს. რესპუბლიკაში 20.000 ჰექ.

ბამბის მოსავალი საშუალოდ ამიერ-კავკასიაში აყვანილ იქნას 8,5 ცენტნერამდე ჰექტარზე.

2. უზრუნველყოფილ იქნას ბამბის ნათესის აღნიშნული გეგმის წარმატებით განხორციელება, გეგმის, რომელიც, 1930 წელთან შედარებით, 88 პროცენტით არის გადიდებული (ინსტრუმენტალური გაზომვით), ბამბისათვის გამოსადეგი სარწყავი მიწების მარცვლეულის და სხვა კულტურებისათვის (ბრინჯი, შირბახტი და სიმინდი) გამოყენების აკრძალვით.

3. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს—მიიღონ გადამწყვეტი ზომები, [illegible] კულტურების ნამდვილად განდევნას მებამბეობის რაიონიდან, აგრეთვე ზაფხულში წყალის მიწოდებას ამ რაიონებში მხოლოდ ბამბით დათესილი ფართობისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ბამბის დასათესად მომზადებული ფართობი თვითნებურად დაითესა მარცვლეული კულტურით, წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს—მიიღონ ნამდვილი ზომები ამ ფართობის გადასახნავად ბამბისათვის, ხოლო ის პირნი, რომლებიც წინააღმდეგობას გაუწევენ ამ ღონისძიებას, სასამართლოს პასუხისგებაში მისცენ.

4. წინადადება მიეცეთ ა.-კ. მიწსახკომს, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, ადგილებზე წყლით სარგებლობის საქმის მოწესრიგებისა და რწყვის კამპანიის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით:

ა) მოაწყონ ყველა იმ რაიონებში, სადაც ბამბის ფართობი ირწყვება, წყალთა მეურნეობის რაიონული და მათი მუშაობის ფაქტიური დაწყება უზრუნველჰყონ მუშაკების აყვანით არა უგვიანეს 15 იანვრისა;

ბ) მიიღონ გადამჭრელი ზომები აუცილებელი დისციპლინის დასამყარებლად წყლით სარგებლობის საქმეში და წყლით მტაცებლურად სარგებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად, აგრეთვე სარწყავი სისტემებისადმი დაუდევარი მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად;

გ) ყველგან უზრუნველჰყონ ღამის რწყვა.

5. 1931 წლის აპრილი გამოცხადდეს სარწყავი ქსელის გაწმენდის თვედ. ამ მიზნისათვის გამოყენებულ იქნას სოფლის მოსახლეობა; დაევალოთ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს—სწორი ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ მუშაობას.

6. დაევალოთ ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს—ყველა წყლის საქაჩავების, აგრეთვე სარწყავი სისტემების რემონტი დაამთავრონ ვადაზე, არა უგვიანეს თვე ნახევრისა ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან.

7. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის მიწსახკომს, მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს და სატრაქტორო ცენტრის ა.-კ. განყოფილებას—მიიღონ ზომები ყველა ტრაქტორების გასაგზავნად მხოლოდ საბამბე ხვნისათვის. დაევალოთ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს მობილიზაცია უყონ მებამბეობის რაიონებში კოლმეურნეობების და ინდივიდუალური მეურნეობების [illegible] მოიყენონ საბამბე ხვნისათვის, იმ ანგარიშით, რომ ეს უკანასკნელი დამთავრდეს არა უგვიანეს 20 იანვრისა, ზამთრის არატი კი—არა უგვიანეს 1-ლი თებერვლისა.

8. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს, ა.-კ. მიწსახკომს, სატრაქტორო ცენტრის ა.-კ. განყოფილებას, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს და „ზაკსელსნაბს"— დაუყოვნებლივ შეუდგნენ ყველა არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების, მწკრივად სათესი მანქანებისა და კულტივატორების რემონტს, თავის დროზე გაანაწილონ ისინი რაიონებში და სავსებით უზრუნველჰყონ საჭირო რაოდენობის სათადარიგო ნაწილებით და საწვავი მასალით, იმ ანგარიშით, რომ 10 აპრილისათვის დაიწყოს ბამბის მწკრივად თესვა 110.000 ჰექტარამდე—შესაფერი სასუქის გამოყენებით, შემდეგში მანქანით დამუშავებით და კულტივაციით, ამასთან ამ ფართობის 20 პროცენტი უნდა დამუშავდეს ტრაქტორებით.

9. თესვის დამთავრების უკანასკნელ ვადად დაწესდეს 10 მაისი, ვინაიდან უკანასკნელი 2 წლის გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამოირკვა, რომ ბამბის დაგვიანებით დათესვას შედეგად მოსდევს ბამბის პარკების მასიურად გაუშლელობა და მცირე მოსავალი.

წინადადება მიეცეთ ა.კ. მიწსახკომს, მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს, რესპუბლიკების მიწსახკომებს და მებამბეობის კოოპერაციას—დააწესონ რაიონებისათვის თესვის დაწყებისა და დამთავრების ვადები და არა უგვიანეს 15 თებერვლისა გამოაქვეყნონ შესაფერი დადგენილება.

3. სხვა ტეხნიკურ კულტურების დარგში

1. გადიდდეს თამბაქოს ნათესის ფართობი 8,7 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას ეს ფართობი 30.000 ჰექტარამდე, აქედან:

აზერბ. ს.ს. რესპუბლიკაში 1.360 ჰექტ.
სომხ. ს.ს. რესპუბლიკაში 2.650 ჰექტ.
საქართ. ს.ს. რესპუბლიკაში 25.990 ჰექტ.

2. გადიდდეს ფართობი კენაფისათვის 21,8 ათასი ჰექტარით და აყვანილ იქნას ეს ფართობი 30.000 ჰექტარამდე, აქედან:

აზერბ. ს.ს. რესპუბლიკაში 16.00 ჰექტ.
საქ. ს.ს. რესპუბლიკაში 14.000 ჰექტ.

3. აყვანილ იქნას რამის ნათესის ფართობი 8.000 ჰექტარამდე, აქედან:

აზერბე. ს.ს. რესპუბლიკაში 0,5 ათ. ჰექტ.
სომხ. ს.ს. რესპუბლიკაში — — —.—
საქ ს.ს. რესპუბლიკაში 7,5 ათ. ჰექტ.

4. გადიდდეს შაქრის ჭარხლის ნათესის ფართობი 1,8 ათას ჰექტარამდე, აქედან:

სომხეთის ს.ს. რესპ. 0,7 ათ. ჰექტ.
საქართ. ს.ს. რესპ. 1,1 ათ. ჰექტ.

5. სოიას მთლიანი ნათესის ფართობი აყვანილ იქნას 52.000 ჰექტარამდე, აქედან:

აზერბ. ს.ს. რესპ. 2.00 ჰექტ.
საქარ. ს.ს. რესპ-ში 50.000 ჰექტ.

6. ამავე დროს უზრუნველყოფილ იქნას საქ. ს.ს. რესპუბლიკაში სოიას თესვა კვლებს შორის 50.000 ჰექტარზე (მთლიანი ნათესის ანგარიშით).

7. დაწესდეს ფართობი არახისისათვის — 1.100 ჰექტარის რაოდენობით, აქედან:

აზერბ. ს.ს. რესპ-ში 0,2 ათ. ჰექტ.
საქ. ს.ს. რესპ-ში 0,9 ათ. ჰექტ.

8. ფართობი დანარჩენი ტეხნიკური კულტურებისათვის (შირბახტი, სელი, ლუფა, იონჯა, მზესუმზირა და სხვ.) აყვანილ იქნას 27.450 ჰექტარამდე, რაც რესპუბლიკებზე განაწილდება ამიერ-კავკასიის მიწსახკომის გეგმის მიხედვით.

4. მრავალწლოვან ნარგავთა დარგში

1. უზრუნველყოფილ იქნას ახალი ვენახების გაშენება 2.500 ჰექტარზე.

2. ხეხილის ნარგავთა გასაშენებელი ფართობი განისაზღვროს 6.500 ჰექტარით.

3. ჩაის ნარგავთა გაშენება უზრუნველყოფილ იქნას 15.000 ჰექტარის ფართობზე და, ამას გარდა, 1931 წლისათვის მომზადებულ იქნას ჩაის გასაშენებლად 5.000 ჰექტარი.

შენიშვნა: რესპუბლიკების მიხედვით ფართობების დანაწილება მრავალწლოვანი ნარგავებისათვის მოხდეს ამიერ-კავკ. მიწსახკომის გეგმის თანახმად.

5. საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების დარგში

1. ფართობი საგაზაფხულო მარცვლეული კულტურებისათვის განისაზღვროს 879 ჰექტარის რაოდენობით, აქედან:

აზერ. ს.ს. რესპ-ში 90,6 ათ. ჰექტ.
სომხ. ს.ს. რესპ-ში 241,5 ათ. ჰექტ.
საქართ. ს.ს. რესპ-ში 547,4 ათ. ჰექტ.

2. სოფლის მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემდგომი ზრდის, აგროღონისძიებების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხელახალი ტეხნიკური შეიარაღების საფუძველზე საშუალო მოსავლიანობის გადიდება მარცვლეული კულტურების ხაზით აყვანილ იქნას სულ ცოტა 9 პროცენტამდე,—ხოლო კოლმეურნეობებში—15 პროცენტამდე.

3. დაევალოთ მიწსახკომებს და ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს:

ა) საგაზაფხულო მარცვლეულისათვის საანეულო ხვნა დაამთავრონ არა ნაკლებ 160 ათას ჰექტარის ფართობზე;

ბ) ჩაატარონ თესლის 100 პროცენტიანი გაწმენდა და 100 პროცენტიანი გატარება შხამალში;

გ) მწკრივად ნათესისათვის გამოყენებულ იქნას ამიერ-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის მთელი მარცვლეულის ნათესის 15.3 პროცენტი, კერძოდ:

აზერბ. ს.ს. რესპ-ში 33,1 პროც.
სომხ. ს.ს. რესპ-ში 16,6 პროც.
საქართ. ს.ს. რესპ-ში 11,9 პროც.

4. დაევალოთ ამიერ-კავკასიის მიწსახკომს და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს — დაუყოვნებლივ გაშალონ ფართო კამპანია სათესლე რესურსების მობილიზაციისათვის, ამასთან დაწესდეს სათესლე ფონდების შეგროვების დამთავრების შემდეგი ვადები:

კოლმეურნეობებში—დავალების 75 პროცენტის შეგროვება 15 იანვრისათვის, დანარჩენის—1-ლი მარტისათვის; ინდივიდუალურ მეურნეობებში დასაზღვევი ფონდების შეგროვება დამთავრდეს 15 იანვრისათვის.

5. სათესლე ფონდების განსაზოგადოება როგორც იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც ახლად ეწყობიან, ისე სათესლე სესხების მიცემა ახალ კოლმეურნეებისათვის, რომლებიც კოლმეურნეობებში შედიან, მოხდეს იმ დროს, როცა სწარმოებს კოლმეურნეობების ორგანიზაცია და ახალი წევრების მიღება. ამიერ-კავკ. მიწსახკომმა და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებმა 15 იანვრამდე შეამოწმონ ყველგან ძველი კოლმეურნეობების მიერ სათესლე ფონდების გამოყოფა, მათი შენახვის წესით.

6. მებოსტნეობის დარგში

1. გადიდდეს საბოსტნე და საბაღჩე ფართობი 19.850 ჰექტარით და მთელი ფართობი აყვანილ იქნას 50.950 ჰექტარამდე, აქედან:

აზერბ. ს.ს. რესპ-ში 25.050 ჰექტ.
სომხეთ. ს.ს. რესპ-ში 5.900 ჰექტ.
საქართ. ს.ს. რესპ-ში 20.000 ჰექ.

2. დაევალოს ამიერ-კავკ. მიწსახკომს (მავნებლებთან ბრძოლის სააქციო საზოგადოების ამიერ-კავკ. განყოფილება)—12.000 ჰექტარის ფართობზე ჩაატაროს ბრძოლა საბოსტნე კულტურების მავნებლებთან და ავადმყოფობებთან.

3. გადიდებულ იქნას ფართობი კართოფილისთვის 28.800 ჰექტარით და ფართობი აყვანილ იქნას 59.000 ჰექტარამდე, აქედან:

აზერბ. ს.ს. რესპ-ში 19.000 ჰექტ.
სომხ. ს.ს. რესპ-ში 20.000 ჰექტ.
საქართ. ს.ს. რესპ-ში 20.000 ჰექტ.

წინადადება მიეცეს „ზაკპლოდოოვოშჩ"-ს უზრუნველჰყოს ეს ფართობი სათანადო სათესლე მასალით.

7. მეცხოველეობის და პირუტყვის საკვების ბაზის დარგში

1. მეცხოველეობის განვითარების განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რასაც საგრძნობი ხვედრითი წონა აქვს ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობაში, პირუტყვის საერთო რაოდენობის ზრდა, 1930 წელთან შედარებით, განისაზღვროს 5,5 პროცენტით; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რიცხვის ზრდა—4,5 პროც-ით, ცხვრის — 7,6 პროცენტით, ღორის — 53 პროცენტით.

2. 1931 წლისათვის პირუტყვის რაოდენობა საბჭოთა მეურნეობებში „სკოტოვოდის" სისტემის ხაზით განისაზღვროს 50.000 სულით, „ოვცევოდის" ხაზით—100,000 სულით და „სვინოვოდის" ხაზით—9,000 ნეზვით.

3. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის მიწსახკომს და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს — პირუტყვის დასახული ზრდის უზრუნველყოფის და მისი პროდუქტიობის აწევის მიზნით:

ა) დააწესონ სასტიკი კონტროლი საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 1 ნოემბრის იმ დადგენილების (საბჭოთა კავშირის კანონთა კრებული, 1930 წ. № 57, მუხ. 399) შესრულებაზე, რომელიც ეხება პირუტყვის მტაცებლურად დაკვლასთან გადამწყვეტ ბრძოლას;

ბ) პირუტყვის საკვები კულტურების ფართობი აყვანილ იქნას 115,9 ათას ჰექტარამდე, მათ შორის დათესილი ბალახის ფართობი—88,7 ათას ჰექტარამდე (1930 წელთან შედარებით ზრდა უდრის 63,8 ათას ჰექტარს) და ძირნაყოფების ფართობი 14 ათას ჰექტარამდე (1930 წელთან შედარებით ზრდა — 11,2 ათასი ჰექტარი), აქედან:

დათესილი ბალახები:
აზერბ. ს.ს. რესპუბლიკაში 32 ათასი ჰექტ:
სომხეთის ს.ს. რესპუბლიკ. 20 ათასი ჰექტ:
საქართველოს ს.ს. რესპ. 36,7 ათასი ჰექტ:

ძირნაყოფები:
აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბ. 5 ათასი ჰექტ:
სომხეთის ს.ს. რესპუბლიკ. 5 ათასი ჰექტ:
საქართველოს ს.ს. რესპუბ. 4 ათასი ჰექტ:

გ) მიიღონ ღონისძიებები სათიბების და საძოვრების გადაჭრით გაუმჯობესებისათვის (დაფარცხვა, განოყიერება, სხვადასხვა სახის პირუტყვის მიერ საძოვრების გამოყენების მტკიცე წესის, მოძოვის ვადის და საძოვრების დატვირთვის დაწესება);

დ) გააფართოონ დასაგრილებელი პუნქტების ქსელი და უზრუნველყონ ისინი შესაფერი რაოდენობის სანაშენე პირუტყვით მეცხოველეობის ყველა დარგში.

ე) დაუყოვნებლივ შეამოწმონ ჩატარებული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო ნაგებობათა ასაშენებლად (პირუტყვის სადგომები, საღორეები, საქათმეები და სხვა) და მიიღონ გადამწყვეტი ზომები მშენებლობის თავის დროზე უზრუნველსაყოფად კრედიტებით და საშენი მასალით და მაქსიმალურად გამოიყენონ ადგილობრივი საშენი მასალა;

ვ) სასტიკი კონტროლი გაუწიონ დეფიციტური მასალის ხარჯვას და მიიღონ ნამდვილი ზომები ადგილობრივი საშენი მასალის წარმოების გასაფართოებლად.

8. სოფლის მეურნეობის ტეხნიკური ბაზის გაძლიერების დარგში

1. წინადადება მიეცეს სატრაქტორო ცენტრის ამიერ-კავკასიის განყოფილებას — მოაწყოს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დაწყებისათვის 18 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური, ა.-კ. ს.ფ.ს.რ. რესპუბლიკაში მომუშავე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი აიყვანოს 24-მდე და სავალდებულო გახადოს მათთვის 213 ათასი ჰექტ. საერთო ფართობის დახვნა, მათ შორის 163 ათასი ჰექტარის — ბამბისათვის.

2. დაევალოთ სატრაქტორო ცენტრის ა.-კ. განყოფილებას და ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრს — დაამთავრონ ტრაქტორების არა ნაკლებ 75 პროც. რემონტი 15 თებერვლისათვის, დანარჩენის — 15 მარტისათვის და თავის დროზე უზრუნველჰყონ ისინი საჭირო მისაბამი ინვენტარით.

3. წინადადება მიეცეთ ა.-კ. მიწსახკომს, სატრაქტორო ცენტრის ა.-კ. განყოფილებას და ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრს — მიიღონ გადამჭრელი ზომები სატრაქტორო პარკის რაც შეიძლება ნაყოფიერი გამოყენებისათვის, რათა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის პერიოდში თვითეული ტრაქტორი მუშაობდეს არა ნაკლებ 20 საათისა დღე-ღამეში.

4. დაევალოთ სატრაქტორო ცენტრის ა.-კ. განყოფილებას, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს და ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრს — მიიღონ ზომები ადგილებზე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის და ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალური გამოყენებისათვის ტრაქტორებთან მუშაობაში ტრაქტორის მისაბამი ინვენტარის ნაკლებობის გამო.

5. დაევალოს ა-კ. მიწსახკომს, ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრს, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავშირს და ა.-კ. ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს — უზრუნველჰყონ ცოცხალი გამწევი ძალის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რაც შეიძლება მეტად გამოყენება, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ სოცშეჯიბრება კოლექტივებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებს შორის.

6. დაეკისროს ტრაქტორცენტრის ა.-კ. განყოფილებას იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რთული ინვენტარის [illegible] ნეები არ მოეპოვებათ, ხოლო ღარიბ-საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა ინვენტარის შეკეთება დაეკისროს რაიონულ კოოპერატიულ კავშირებს — ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავშირის საერთო ხელმძღვანელობით.

7. დაევალოს სმუ საბჭოს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის გეგმასთან შეფარდებით, საჭირო მასალით უზრუნველჰყოს სარემონტო კამპანიის გაშლა.

8. წინადადება მიეცეთ ა.-კ. ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკებს, ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო კოოპ. კავშირს და ა.-კ. კოლმეურნეობათა ცენტრს — სისტემატიურად შეამოწმონ რაიმიწსახკომების, კოოპერატიული და საკოლმეურნეო სისტემების მუშაობა შინაგანი რესურსების მობილიზაციის საქმეში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის გეგმის თავის დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად.

9. საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დარგში

1. გაზაფხულის ნათესის ფართობი ა-კ. ს.ფ.ს. რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში აყვანილ იქნას 82,431 ჰექტარამდე, აქედან:

აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბ. 39,424 ჰექტ:
სომხეთის ს.ს. რესპუბლიკ. 11,529 ჰექტ:
საქართველოს ს.ს. რესპუბ. 31,478 ჰექტ:

2. ცალკე საბჭოთა მეურნეობების სისტემების მიმართ დაწესდეს შემდეგი დავალება გაზაფხულის ნათესის ხაზით: „სკოტოვოდი" 6,341 ჰექტარი (გასული წლებში დათესილი ბალახების გამოკლებით), „ოვცევოდ"-ი 1,050 ჰექტარი, „სვინოვოდი" 1.740 ჰექტარი, ახალი ლაფნის კულტურების ტრესტი 10.500 ჰექტარი (მათ შორის: რამი 3.000 ჰექტარი, კენდირი 1.000 ჰექტარი, კენაფი და სამაგირე 3.500 ჰექტარი), „სოიუზსახარი" 1.068 ჰექტარი, „სოიუზტაბაკი" 2.300 ჰექტარი (მათ შორის თამბაქო 1,550 ჰექტარი), „ზაკპლოდოოვოშჩ"-ი 785 ჰექტარი, ბოსტანი, სამომხმარებლო კოოპერაცია (ქალაქის მახლობელი საბჭოთა მეურნეობანი) 7.204 ჰექტარი (მათ შორის ბოსტნები და ბახჩები 4.493 ჰექტარი), „ელექტესსირიო" 649 ჰექტ. (ეთეროვანი და ზეთოვანი კულტურები), „ხემენოვოდტრესტ"-ი 3.149 (მათ შორის ბოსტნების 150 და საკვები ბალახის 1,800), „სოვხოზხლოპოკ"-ი 27.750 ჰექტ. (მათ შორის ბამბა 22,250 და ბალახები 5.500) და რესპუბლიკური საბჭოთა მეურნეობების ტრესტები 10.270 ჰექტ. (მათ შორის სომხეთში 4.280, საქართველოში 5,990).

3) წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკ. მიწსახკომს და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს —უზრუნველჰყონ ამ დავალების შესრულება საბჭოთა მეურნეობებისათვის საჭირო მიწის ფონდების თავის დროზე გამოყოფით.

4) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის მიწსახკომს — დაუყოვნებლივ გაშალოს ხილბოსტნეულის და მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა მიწსახკომის სისტემაში და მათ მიმართ 1931 წელს დაწესდეს შემდეგი ძირითადი საწარმოო მაჩვენებლები: ხილ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობებში — ხეხილის ნერგის ჩაყრა 3.000 ჰექტარზე და ბოსტნების გაშენება 2.000 ჰექტარზე, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებში—კვერცხის მდებ ქათმების საერთო რიცხვის აყვანა 150.000-დე.

5) წინადადება მიეცეს ამიერ-კავკ. მიწსახკომს — უზრუნველჰყოს აფხაზეთის ს.ს. რ. და აჭარისტანის სუბტროპიკული კულტურების საბჭოთა მეურნეობების სწრაფი მშენებლობა.

10. კოლექტივიზაციის დარგში

1. ამიერ-კავკასიაში კოლექტივიზაციის მიღწეული დონის და კოლმეურნეობებისაკენ ღარიბ-საშუალო მასების ახალი ლტოლვის საფუძვლები, უზრუნველყოფილ იქნას 1931 წელს კოლმეურნეობებში ამიერ-კავკასიის გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით 20—25 პროცენტის გაერთიანება.

მებამბეობის რაიონებში კი, სადაც უკვე მომავალი გაზაფხულის თესვის კამპანიის პერიოდში მიღწეული იქნება წარმოების პროცესების საგრძნობი მექანიზაცია, უზრუნველყოფილ იქნას 1931 წელს ამ რაიონების მეურნეობათა საერთო რიცხვის არა ნაკლებ 50 პროცენტის გაერთიანება კოლექტიურ მეურნეობებში.

2. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკასიის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა ცენტრს და ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს — თავის დროზე მიიღონ გადამჭრელი ზომები კოლმეურნეობებში გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საწარმოო გეგმების შესადგენად და ამ მიზნით მოახდინონ აგრონომიული ძალების მაქსიმალური რაოდენობის მობილიზაცია.

3. წინადადება მიეცეთ ამიერ-კავკ. კოლმეურნეობათა ცენტრს — უზრუნველჰყოს კოლმეურნეობათა გამგეობების მიერ ფართო ანგარიშგების ჩატარება კოლმეურნეობის და ინდივიდუალურ მეურნეთა საერთო კრებებზე და ამ ანგარიშგების გარშემო თვითკრიტიკის გაშლა. ეს კამპანია დაკავშირებული იქნას არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცების და საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომი ზრდის ამოცანებთან.

4. დაევალოს ამიერ-კავკ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამიერ-კავკ. საკოლმეურნეო ცენტრს და ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს—არა უგვიანეს ორი კვირისა თესვის დაწყებამდე დაამთავრონ მუშაობა მიწების მითითებისა და მათი გამოყოფის დარგში.

5. დაევალოს ამიერ-კავკასიის საკოლმეურნეო ცენტრს—დეკადის ვადაში დაამუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გადაჭრით გასაუმჯობესებლად და ამ საფუძველზე შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, რისთვისაც ფართოდ იქნას გამოყენებული დამკვრელობის, სოციალისტური შეჯიბრების მეთოდები და სხვა.

6. დაევალოს ამიერ-კავკ. საკოლმეურნეო ცენტრს—პირველი თებერვლისათვის დაამთავროს საქონლის საკვების დაჯავშნილი ფონდების გამოყოფა;

7. მიენდოს ამიერ-კავკ. საკოლმეურნეო ცენტრს—დაამუშაოს კონკრეტულ ღონისძიებათა სისტემა კოლმეურნეობებში ინტენსიურ და შრომის ტევად კულტურების ხაზით სამუშაოთა თავის დროზე შესრულების უზრუნველსაყოფად, — სხვა კოლმეურნეობათა თავისუფალი მუშა-ხელის გამოყენების გზით.

11. კადრების დარგში

1. გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის კადრების მომზადების უზრუნველყოფა წარმოადგენს განსაკუთრებით დაკვრით მუშაობას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაზაფხულის კამპანიის წინაშე დასმულ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ამასთან დაკავშირებით, დაევალოთ ამიერ-კავკ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, ამიერ-კავკ. საკოლმეურნეო ცენტრს, სატრაქტორო ცენტრის ამიერ-კავკ. განყოფილებას, ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირს და ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს — თავიანთი ყურადღების ცენტრში მოაქციონ მუშაობა გაზაფხულის კამპანიისათვის სოფლის მეურნეობის ყველა დარგების ორგანიზატორების მოსამზადებლად.

2. დაევალოთ ამიერ-კავკ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს და ამიერ-კავკ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს — გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებისათვის ვადამდე გამოუშვან უმაღლეს სასწავლებლიდან 600 კაცი და ტეხნიკუმებიდან 1300 კაცი, იმ ანგარიშით, რომ რაიონებისა და სპეციალობათა მიხედვით მათი განაწილების კონკრეტული გეგმა დამუშავდეს და ამიერ-კავკ. [illegible] ცებლად წარედგინოს არა უგვიანეს 1931 წლის 15 იანვრისა.

3. დაევალოს ა.-კ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა.-კ. საკოლმეურნეო ცენტრს, სატრაქტორო ცენტრის ა.-კ. განყოფილებას, ა.-კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს—სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგების მასიური კვალიფიკაციის 1-1 ნახ. თვიან კურსებში გაატარონ 25.000-მდე კაცი და ა.-კ. სახკომსაბჭოში არა უგვიანეს 1 თებერვლისა წარმოადგინონ რაიონებისა და სპეციალობათა მიხედვით კურსებ გავლილთა განაწილების გეგმა.

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**
საქმეთა მმართველის თ. დრ. აღმასრულებელი **ნ. სოკოლოვსკი.**
თბილისი, 1931 წ. 6 იანვარი.

ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობა

„საბჭოთა ხელისუფლება—პლიუს ელექტროფიკაცია არის სოციალიზმი" (ლენინი)

კომპარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიდის წინ ელექტროფიკაციის გზით

საუბარი ყრილობის დელეგატებთან

ინჟ. ბ. ა. ჭიჭინაძე

„ა-კ. ელმშენებლობის" თავმჯდომარე

ამიერ-კავკასიის პირველმა ენერგეტიულმა ყრილობამ, დიდი როლი უნდა ითამაშოს ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის საქმეში, ქვეყნის ჰიდრო და თბო-ენერგეტიულ რესურსების გამოყენების ძირითად პრობლემების გაშუქებაში. სამრეწველო ნედლეულის და სათბობი მასალის (ნავთი, ქვანახშირი) დიდ რაოდენობასთან ერთად ამიერ-კავკასია განსაკუთრებით მდიდარია ჰიდრო ენერგიით.

ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციამ, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, უკვე განვლო განვითარების დიდი გზა. აზნავთის მსხვილ თბო-ცენტრალებთან ერთად, ამჟამად მუშაობს ლენინის სახელობის ჰიდრო ელსადგური, ერევანის, ქვედა-ზურნაბადის, აბაშის და რამდენიმე სხვა წვრილი ჰიდრო-სადგური. შენდება და უახლოეს დროში დამთავრდება რიონჰესი, ძორაჰესის, კანაკირის, აჭარის-წყალის რაიონული ჰიდრო-სადგურები და ფართოვდება სრულ სიმძლავრემდე ზემო-ავჭალის ელსადგური. შენდება აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-სადგურები — ალაზნის და ერევნის სადგურები, ფართოვდება ლენინაკანის სადგური და შენდება განჯის თბო-სადგური.

მაგრამ ამიერ-კავკასიის მრეწველობის ფართოდ გაშლა და სოფლის მეურნეობის გადაყვანა ინდუსტრიალურ რელსებზე მოითხოვს ენერგეტიული ბაზის შემდგომ გაფართოებას. ამიტომ დაჩქარებით გადასვლა ცალკე ენერგეტიულ ობიექტებიდან ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმიან მშენებლობის მწყობრ სისტემაზე — საარსებო და გადაუდებელი ამოცანაა.

ამ გეგმის განხილვა, მისი დამუშავება-აი ენერგეტიული ყრილობის ამოცანა. ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ბაქოს რაიონის და მთელი აზერბეიჯანის ელექტრო-მომარაგების პრობლემას; ეს მხარე ყველაზე ნაკლებათაა უზრუნველყოფილი ელექტრო-ენერგიით. ყრილობამ უნდა განიხილოს ამიერ-კავკასიის ცენტრალების დაჯგუფების საკითხი, რათა განხორციელებული იქნეს ჰიდრო-ცენტრალების პარალელური მუშაობა მძლავრ თბო-ცენტრალებთან ერთად ბაქოში, ნახშირის რაიონებში და მრავალ მეტალურგიულ საწარმოებში.

ყრილობაზე გაშუქებული უნდა იქნეს შავი ზღვის სანაპიროების (დასავლეთ საქართველო, აფხაზეთი) და სევან-ზანგის სისტემის იაფი ჰიდრო-ენერგიის მეტად დიდი მარაგის გამოყენების საკითხი, რაც უნდა დაუკავშირდეს ქიმიურ, სამთო და მეტალურგიულ მრეწველობის განვითარებას. ყრილობაზე ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი სატყეო მეურნეობის ელექტროფიკაციის საკითხები.

ყრილობამ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამიერ-კავკასიის სარკინიგზო ტრანსპორტის ელექტროფიკაციის გეგმას და აღებული უნდა იქნეს კურსი ტრანსპორტის სრულ ელექტროფიკაციაზე ორი ხუთწლედის ფარგლებში.

ასეთია საერთოდ ყრილობის წინაშე დასმული ამოცანები. მაგრამ ძირითადი ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს იმპერიალისტური ინტერვენციის ცდების გაძლიერებიდან და ამასთან დაკავშირებულ მავნებლობის გეგმიდან, მდგომარეობს იმაში, რომ გაშუქებული და განხილული იქნეს ელექტროფიკაციის გეგმის პრინციპიალური დებულებები და კონკრეტული ელემენტები, რათა აღმოფხვრილი იქნეს მავნებლური ორგანიზაციის მუშაობის შედეგები.

ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობა უნდა ჩატარდეს მომავალი სამუშაოების გეგმის ფხიზელი დამუშავების და საბჭოთა კავშირის ინტერვენციონისტულ და მავნებლურ ცდებისგან დაცვის ნიშნით.

მ. საზონოვი

(საკავშ. ელექტრო-ტეხნიკური სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი)

საკავშირო ელექტრო-ტეხნიკური სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტი ამიერ-კავკასიის პირველ ენერგეტიულ ყრილობას უდიდეს მნიშვნელობას აკუთნებს. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, რომლებიც ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით სდგებიან (დიდი ჰიდრო-სადგურები, მაღალი ძაბვის გადაცემის ხაზი, ელექტრო-სამატორო მეურნეობის გაშლა) მოითხოვენ ღრმა სამეცნიერო-საგამოკვლევო დამუშავებას. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიაში მოეწყოს დამოუკიდებელი სამეცნიერო ინსტიტუტი, ან საკავშირო ელექტრო-ტეხნიკური ინსტიტუტის განყოფილება.

ინსტიტუტის ამოცანებს ახლა შეადგენს: უცხოეთის ტეხნიკის სწრაფი გამოყენება, მისი ჩვენს პირობებში გადმოტანა, ჩვენი ელექტრო-მშენებლობის გაშლა (მანქანების ახალი ტიპების დამუშავება და დამზადება), უცხოეთზე დამოკიდებულებიდან მისი სავსებით განთავისუფლება, ელექტრო-ძალოვან მეურნეობაში ფართე საგამოკვლევო მუშაობის ჩატარება.

ამჟამად მთელი სამეცნიერო-საგამოკვლევო მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს მავნებლური გეზების აღმოფხვრის და ამ ფრონტზე მარქსისტული ტეხნიკური ძალების კონცენტრაციის ხაზით. ამიერ-კავკასიაში მარქსისტული ტეხნიკური აზროვნების ცენტრის შექმნა—მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანაა.

ენერგეტიული ყრილობა ხელს შეუწყობს ამ ამოცანის გადაჭრას.

ამხ. კუზნეცოვი

(საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ელექტროფიკაციის სექტორის თავმჯდომარის მოადგილე)

ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობა მთელი საბჭოთა კავშირისათვის მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. ის იმართება იმ დროს, როცა საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც უშუალოდ შეუდგა სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის დამთავრებას, გადამჭრელ გარდატეხას ახდენს თავის მეურნეობის ენერგეტიული გადახალისების ტემპებში. მავნებელთა ჯგუფის ლიკვიდაციამ მოსპო დაბრკოლება სოციალიზმისათვის ასე საჭირო ახალი ტეხნიკური ბაზის შექმნის გზაზე. ასეთ ბაზად ლენინი ელექტრობას თვლიდა. ახლა, ელექტროფიკაციის გეგმის შესრულების ათი წლის შემდეგ, ჩვენ შევუდექით რესურსების ტემპის საგრძნობი დაჩქარებისათვის.

1930 წელს რაიონული სადგურების სიმძლავრეს ახალი მილიონი კილოვატი ემატება, ამით ჩვენ უსწრებთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ელექტრომშენებლობის ტემპებს და უახლოვდებით შენებლობის ამერიკულ მასშტაბს.

ამ უდიდესი პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელია მასების შემოქმედებითი აქტივობის მობილიზაცია. ამაში მდგომარეობს ენერგეტიული ყრილობის ამოცანა. ამიერ-კავკასიის უდიდესი ენერგეტიული რესურსების, უმთავრესად, ჰიდრო-ენერგეტიული რესურსების (სევანის ტბა, ამიერ-კავკასიის მდინარენი) გამოაშკარავება დააჩქარებს ამიერ-კავკასიის რეკონსტრუქციის გაქანებას და ტემპებს—ამიერ-კავკასიის, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში, როგორც უმნიშვნელოვანესი დარგების ენერგეტიული და სანედლეულო ბაზა.

ამიერ-კავკასიის მრეწველობის უმაგალითო განვითარება ელექტროფიკაციასთანაა დაკავშირებული. შემდეგშიც ნავთის მრეწველობის ტეხნიკური რეკონსტრუქცია, ახალ რაიონებში მრეწველობის გაშლა და ახალი სამრეწველო დარგების შექმნა მოხდება ელექტროფიკაციის საფუძველზე. ელექტრონის ენერგია ტყვარჩელის, ჭიათურის და ზანგეზურის ნედლეულ რესურსებს გადააქცევს ახალი სამრეწველო დარგების მძლავრ ცენტრებად.

ყრილობამ უნდა გააშუქოს ენერგეტიული რესურსების უმნიშვნელოვანესი საკითხები და დასახოს გზები მათი რაციონალური გამოყენებისათვის. ეს ნათელი პერსპექტივა, რომელიც ხუთწლედის დარჩენილ წლებში უნდა განხორციელდეს და რომელიც სახავს სახალხო-სამეურნეო განვითარების გენერალური გეგმის ძირითად ხაზებს,—ეს პერსპექტივა შეიარაღებს მშრომელებს და გააძლიერებს მათ ბრძოლას ახალი საზოგადოების შესაქმნელად.

დღეს, საღამოს 7 საათზე, მელითონეთა კლუბში გაიხსნება ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობა.

ხსენებულ ყრილობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ვინაიდან ამ ყრილობაზე პირველად ფართოდ განიხილავენ ამიერ-კავკასიის ელექტრომშენებლობის ყველა ძირითად საკითხებს.

ყრილობაზე მოსმენილი იქნება შემდეგი მოხსენებები: „ა-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ენერგეტიული რესურსები და ენერგოფიკა-ენერგეტიკის საკავშირო ინსტიტუტის პრო-ციის ამოცანები" (მომხსენებელი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. **ფირუმოვი**); „რუსეთის ელექტროფიკაციის სახელმწიფო კომისიის ათი წლის თავი და საბჭოთა კავშირის ელექტროფიკაციის პერსპექტივები" (საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარმომადგენელი ამხ. **კუზნეცოვი**); „ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაცია" (ინჟ. **ჭიჭინაძე**); „ამიერ-კავკასიის ნავთის მრეწველობა" (ამხ. **ბარინოვი**) და ამხ. **ბელოუსოვის** თანამოხსენება: „აზნავთის ენერგომეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები"; „ჰიდროენერგიის და ორთქლის ძალოვანი ცენტრალების მუშაობის ეკონომიურობა ამიერ-კავკასიის პირობებში" (ინჟ. **ტერ-ხაჩატუროვი**).

სექციების (ჰიდროძალის, ელექტროტეხნიკური და თბო-ტეხნიკური) სხდომებზე მოსმენილი იქნება მოხსენებანი შემდეგ საკითხებზე: დანაკარგებთან ბრძოლა ენერგომეურნეობაში; ყველა იმ ჰიდროელექტრონული სადგურების შესახებ, რომელთა მშენებლობა ან და დაპროექტება ამჟამად წარმოებს; ამიერ-კავკასიის რკინის გზების ენერგომეურნეობა; სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია; კადრების შესახებ; ამიერ-კავკასიის მომარაგება ელექტრომოწყობილებით და სხვ.

წარმომადგენლების ჩამოსვლა ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად

გუშინ, თბილისში ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდნენ: საკავშირო ენერგეტიული კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ვეპრინცევი**, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ენერგეტიკის სექტორის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **კუზნეცოვი**, საკავშირო ექსპერიმენტალური ინსტიტუტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ინჟ **საზონოვი**, პროფესორი **ხკანავი** და „ვოლხოსტროი"-ს წარმომადგენელი ინჟ.-ელექტრ. **რუანიცინი**.

დღეს თბილისში ჩამოვლენ: ბაქოდან ამხ. **ბარინოვი** და **ბელოუსოვი** (აზერბეიჯანის ელექტროტოკის დირექტორი), ერევნიდან—სომხეთის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ოხჯეიანი** და ინჟ. **ტერ-ასტვაცატუროვი**, რომელიც ყრილობაზე გააკეთებს მოხსენებას სევანის ტბის გამოყენების პრობლემის შესახებ.

გაიხსნა საკავშირო ცაკის სესია

მოსკოვი, 5 იანვარი. გაიხსნა საკავშირო ცაკის სესია, სესიამ დაამტკიცა ამხ. ენუქიძის მიერ გამოქვეყნებული სესიის დღის წესრიგი, რომელიც წინად იყო გამოცხადებული.

შემდეგ სახალხო მეურნეობის 1931 წლის გეგმის (საკონტროლო ციფრების) შესახებ მოხსენებით გამოვიდა საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. მოლოტოვი (სკრიაბინი), რომელსაც მთელი დარბაზი მქუხარე ოვაციით შეხვდა.

სესიამ დაადგინა—ყველა მოხსენებები მოისმინოს საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს საერთო სხდომებზე, კამათი გაიმართოს ცალკ-ცალკე.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმის შესახებ

საკონტროლო ციფრები

(საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მოლოტოვის შემოკლებული მოხსენება)

მოსკოვი, 5 იანვარი. ამხ. მოლოტოვის მოხსენების პირველი ნაწილი ეხებოდა ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგების დახასიათებას და 1931 წლის საკონტროლო ციფრებს. ხუთწლედის მესამე წლის ამოცანებს მომხსენებელი შეეხო მხოლოდ ზოგადად, ვინაიდან დაწვრილებითი მოხსენებით ამ საკითხის შესახებ სესიაზე გამოვა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამხ. კუიბიშევი.

ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგები,—სთქვა ამხ. მოლოტოვმა,—ჩვენთვის მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ეს იყო იმ დროს, როცა ჩვენ პირველად შევუდექით სახალხო მეურნეობის რამდენიმე წლის გეგმის განხორციელებას, როცა ჯერ კიდევ არ გვქონდა ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც დღითი-დღე იზრდებოდა 5 წლიანი გეგმის შესრულების წყალობით.

ხუთწლიანი გეგმის პირველ ორ წელში შესრულების შედეგების დასახასიათებლად მომხსენებელს მოჰყავს მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც მოწმობენ მთელი სახალხო მეურნეობის ბუმბერაზულ ზრდას.

ამ ბუმბერაზულმა ზრდამ და მეურნეობის ხელმძღვანელი დარგის—ინდუსტრიის წარმატებამ მტკიცე პირობები შექმნეს რადიკალური სოციალ-ეკონომიური გარდატეხისათვის სოფლის მეურნეობაში, სახელდობრ—საშუალო გლეხობის ძირითადმა მასებმა პირი იბრუნეს კოლექტივიზაციისაკენ და ამ საფუძველზე პარტია და საბჭოთა ხელისუფლება სოფლის კაპიტალისტური (კულაკური) ელემენტების შეზღუდვის პოლიტიკიდან გადავიდნენ მთლიანი კოლექტივიზაციის ნიადაგზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

ამ უდიდეს წარმატებებთან ერთად ჩვენ გასულ 1929-30 წლის და განსაკუთრებულ კვარტალში აღვნიშნავდით დიდ დეფექტებს და სიძნელეებს ჩვენს მუშაობაში, რომელთა აღმოსაფხვრელადაც საჭიროა მუშათა კლასის და სოფლის მშრომელი მასების აქტივობის და შეკავშირების უფრო მეტად გაძლიერება.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი გადადის ხუთწლედის მესამე წლის იმ ამოცანების გამორკვევაზე, რომლებიც ამ წლის საკონტროლო ციფრებიდან გამომდინარეობენ. მომხსენებელს მოჰყავს უმნიშვნელოვანესი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზულ გაშლას 5 წლედის მესამე წელს. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობის არა უბრალო ზრდა, ჩვენ აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ ინდუსტრიის ხვედრითი წონის გაძლიერება სახალხო მეურნეობაში და მასთან სოციალისტური სექტორის რაც შეიძლება სწრაფი ზრდა. მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მიმდინარე წლის გეგმის განხორციელებით სოციალისტური სექტორის წილი სახალხო მეურნეობაში საგრძნობლად იზრდება და მიაღწევს 82 პროცენტს, გასული წლის 75 პროცენტის ნაცვლად.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი ეხება მუშურ-გლეხური მასების მატერიალური მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას ჩვენს ქვეყანაში.

დიდხანს ამაზე შეჩერება არ მოგვიხდება,—ამბობს ამხ. მოლოტოვი,—ვინაიდან ფაქტები თავისთავად ლაპარაკობენ. ის გარემოება, რომ ძირითადად მოსპობილია უმუშევრობა, ტარდება 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლა მთელს მრეწველობაში და სხვა—საბჭოთა კავშირის მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკმაო საბუთს წარმოადგენს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მუშებისათვის, არამედ მთელი ქვეყნის მუშებისათვისაც.

შემდეგ ამხ. მოლოტოვი მიუთითებს იმ მნიშვნელოვან ამოცანებზე, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე სახალხო მეურნეობის ცალკე დარგებში. ასეთ ამოცანებს მრეწველობაში წარმოადგენს სათბობის, ლითონის და ტრანსპორტის საპასუხისმგებლო პროგრამა. სოფლის მეურნეობის დარგში ეხლავე უნდა შევუდგეთ ენერგიულ მზადებას მეორე საგაზაფხულო ბოლშევიკური თესვისათვის. ეს ამოცანა უნდა დაუკავშირდეს მზადებას აკრეფის კამპანიისათვის, რათა უზრუნველვყოთ მუშაობის უფრო სწორი ორგანიზაცია და თავიდან ავიცილოთ ის დეფექტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა შარშან. კომბაინების მშენებლობის და ასაკრეფი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ხაზით შესაფერი დირექტივები უკვე გაიცა, ეხლა საჭიროა ამ დირექტივების განხორციელება.

ვსახავთ რა ამოცანად მშრომელთა მატერიალური მეურნეობის გაუმჯობესებას და მუშათა ცენტრების უფრო კარგათ მომარაგებას, ჩვენ უკეთესი ორგანიზაციის წყალობით წელს დიდი წარმატებით ჩავატარეთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება მასიურ მოხმარებისათვის, სახელდობრ პურის, შაქრის ჭარხლის და ბამბის დამზადება.

ამ წარმატებებთან ერთად ადგილი აქვს მნიშვნელოვან დეფექტებს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში, განსაკუთრებით მეცხოველეობის დარგში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ დეფექტებს მალე აღმოვფხვრით. ჩვენს საბჭოთა მეურნეობებს და კოლმეურნეობებს ამჟამად ისეთი ტერიტორია უჭირავთ მესაქონლეობის, ე. ი. მსხვილი ოთხფეხი საქონლის, ღორისა და ცხვრის მოშენების განვითარებისათვის, რომელიც აღემატება დასავლეთ ევროპის ისეთი სახელმწიფოების ტერიტორიას, როგორიც გერმანიაა.

მრეწველობისათვის ახალი კადრების მომზადების საქმეშიაც უნდა აღინიშნოს დიდი გარდატეხა. უმნიშვნელოვანეს ამოცანას ამ სფეროში წარმოადგენს 1931 წელს ორი მილიონი ახალი მუშის ჩაბმა სახალხო მეურნეობაში.

გასულ წელს ჩვენ დავსვით ისეთი უდიდესი სამეურნეო ერთეულის მექანიზაციის საკითხი, როგორიც დონბასია. წარმოების მექანიზაციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იქ, სადაც საჭიროა დიდძალი მცირე კვალიფიკაციის მუშა ან მძიმე შრომა. ამიტომ 1931 წელს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ტრაქტორების და კომბაინების ქარხნების მშენებლობის სწრაფ ზრდას, რომლებიც სოფლის მეურნეობის მექანიზაციის საფუძველს წარმოადგენენ. გაძლიერებულ ყურადღებას მოითხოვს ტრანსპორტის, მშენებლობის და დატვირთვის მექანიზაციის საქმე.

ბოლოს დავალება თვითღირებულების შემცირების შესახებ (გამოტოვებულია), ჩვენს მუშაობას ხელს უშლიან დეფექტები გეგმიანობის დარგში და დეფექტები პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში. საკავშირო სახკომსაბჭო უდიდეს მნიშვნელობას აძლევს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საკითხებს 1931 წელს. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ჩვენ შევედით სოციალიზმის პერიოდში.

ის ამოცანები, რომლებსაც ჩვენ ვისახავთ 5 წლედის მესამე წელს, მოითხოვენ მთელი ჩვენი აპარატის განახლებას. წარმატება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის გადასვლას ახალ ეტაპზე, რომელსაც ახასიათებს ფართო სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე. შემდგომი წარმატებების უზრუნველსაყოფად გადაჭრით უნდა გარდავქმნათ საბჭოების მუშაობა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოები ნამდვილად ატარებდნენ ერთ ხაზს პარტიასთან ერთად. არ უნდა დავუშვათ საბჭოების მუშაობაში ამ ხაზის ოპორტუნისტული დამახინჯება არც მარჯვნივ არც მარცხნივ. საჭიროა ბრძოლის გაძლიერება პროლეტარიატისათვის უცხო კლასობრივ გავლენასთან სახელმწიფო აპარატში (ბიუროკრატიზმი, მავნებლობა, ხელმძღვანელების წვრილ-ბურჟუაზიული ოპორტუნიზმი), შემდეგ ამხ. მოლოტოვი შეჩერდა სახკომსაბჭოსთან შესრულების კომისიის დაარსების მოტივებზე და ამ კომისიის მუშაობის ამოცანებზე.

თავის მოხსენების უკანასკნელ ნაწილში—საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვაში—ამხ. მოლოტოვი ამბობს, რომ ჩვენს მთავარ ამოცანას შეადგენს სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების უზრუნველყოფა, ამისათვის ჩვენ გვჭირდება მშვიდობიანობა. საბჭოთა კავშირი სოციალიზმს აშენებს გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის და კაპიტალისტური გარემოცვის მხრით ჩვენდამი მტრული განწყობილების გაძლიერების პირობებში, საერთაშორისო მდგომარეობაში მერყეობის გაძლიერების პირობებში. მსოფლიო კრიზისი უფრო ღრმავდება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსოფლიო კრიზისის გამწვავების დაბალი წერტილი, ალბად, მხოლოდ 1931 წელს იქნება მიღწეული. ცხადია, რომ ადგილი აქვს პოლიტიკური მერყეობის გაძლიერებას კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის.

საერთაშორისო ეკონომიურმა კონფერენციამ, რომელიც 1930 წლის ნოემბერს გაიმართა ჟენევაში, ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია, კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ შეუძლებელი გახდა რაიმე შეთანხმებამდე მისვლა. ჩვენ სრული საბუთით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტური ქვეყნების მეურნეობის განვითარების მიმდინარეობა ურთიერთის საწინააღმდეგოა.

სახალხო მეურნეობის 5 წლიანი გეგმის წარმატებით განხორციელება აფართოებს ბაზას კაპიტალისტური ქვეყნების ვაჭრობისათვის საბჭოთა კავშირთან. საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობისათვის პირობები ხელსაყრელია. თავისთავად ცხადია, რომ იქ, სადაც სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას აფერხებენ, ვაჭრობის განვითარება შეუძლებელია.

მთელ რიგ სახელმწიფოებთან ჩვენი ურთიერთობა, განსაკუთრებით სავაჭრო ურთიერთობა, ნორმალურად ვითარდება. ამ სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა, ეკუთვნიან გერმანია, თურქეთი, იტალია, ინგლისი, შვეცია, იაპონია, სპარსეთი და ავღანისტანი.

ჩვენ იმედი გვაქვს აგრეთვე, რომ კეთილად დამთავრდება ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის მუშაობა და განხორციელდება ხაბაროვსკის შეთანხმება.

ამასთან ადგილი აქვს ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერების ახალ-ახალ ცდებს. ეს ანტისაბჭოთა გამოსვლები უაღრესად საზიანოა მშვიდობიანობისათვის, საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც იბრძვის სოციალიზმისათვის, მასების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის,—იბრძვის მშვიდობიანობისათვის, რაც უზრუნველყოფს ამ ამოცანების განხორციელებას, ისინი კი, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ ანტისაბჭოთა კამპანიებს, ინტერვენციას და ახალ ომებს ამზადებენ.

დასასრულ ამხ. მოლოტოვმა განაცხადა:

„განიარაღების მოსამზადებელი კომისიის მუშაობის უშედეგობა და უნაყოფობა აშკარად მოწმობს კაპიტალისტური სახელმწიფოების მერყეობის გაძლიერებას. თუ კომფერენციაზე ლაპარაკი იყო განიარაღებაზე, სინამდვილეში კაპიტალისტური სახელმწიფოები ყოველგვარ ზომას მიმართავდნენ შეიარაღების შემდგომი ზრდისათვის. ნამდვილი მშვიდობიანობის მომხრეები,—ამ მომხრეებს შორის კი პირველი ადგილი სამართლიანად საბჭოთა კავშირს ეკუთვნის,—სერიოზულად უნდა იფიქრონ მშვიდობიანობაზე და მის განმტკიცებაზე. ჩვენი მთავარი ლოზუნგი ასეთია: ჩვენ ვიბრძვით სახალხო მეურნეობის გეგმის განხორციელებისათვის, 5 წლედის 4 წელში განხორციელებისათვის. ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს მშვიდობიანობის და საბჭოთა კავშირის სიძლიერის განმტკიცებას სოციალიზმის გამარჯვებისათვის, იმისათვის, რომ მშვიდობიანობის საქმე განმტკიცდეს მთელი ქვეყნის ინტერესებისათვის“.

ამხ. მოლოტოვის უკანასკნელ სიტყვებს ხანგრძლივი ტაში მფარავს. (ცაკის წევრები ფეხზე სდგებიან და ამხ. მოლოტოვს ხანგრძლივ და მქუხარე ოვაციას უმართავენ) (ადს.

1931 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

მოსკოვი, 6 იანვარი. ცაკის სესიის 5 იანვრის დილის სხდომის საერთო ნაწილი მოუნდა 1930 წლის სახალხო - სამეურნეო გეგმის შესახებ ამხ. კუიბიშევის მიერ გაკეთებულ მოხსენების მოსმენას.

გეგმის ძირითადი მომენტები უკვე ამხ. მოლოტოვის მოხსენებაში იყო დახასიათებული და ამიტომ მომხსენებელი, უმთავრესად, ჩერდება სახალხო - სამეურნეო გეგმის კონკრეტულ ამოცანებზე.

1931 წლის გეგმაში, — განაცხადა ამხ. კუიბიშევმა, — უმნიშვნელოვანეს როლს წარმოადგენს ენერგეტიკა, ჩვენი ენერგეტიული მეურნეობის, კერძოდ ქვანახშირის მრეწველობის განვითარება. თუ შევასრულებთ ჩვენი ენერგეტიული ბაზის შემდგომი განვითარების 1931 წლის გეგმით გათვალისწინებულ უდიდეს პროგრამას, ჩვენ წარმატებით განვახორციელებთ მთელ სახალხო - სამეურნეო გეგმასაც. ქვანახშირი — ჩვენი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. 1931 წლის გეგმა თვალისწინებს 83 ნახევ. მილიონი ტონა ქვანახშირის ამოღებას (დონბასი—55 მილიონი ტონა, „ვოსტოკ-უგოლ“—21 მილიონი ტონა, მოსკოვის მახლობელი რაიონი —4 მილ. 700,000 ტონა), — თითქმის 10 მილიონი ტონით მეტს ხუთწლედის უკანასკნელი წლის ვარაუდთან შედარებით და 40 პროცენტით მეტს 1930 წლის ფაქტიური ამოღების წინააღმდეგ.

მძიმე დავალებაა, მაგრამ ის ჩვენთვის აუცილებლად სავალდებულოა, ვინაიდან ჩვენს საწარმოო შესაძლებლობებს სავსებით შეესაბამება. ჩამორჩენა 1930 წელში იმით აიხსნება რომ ჩვენ ვერ ვიჩენთ ქვანახშირის ამოღების უნარს. ერთი და იმავე მაღაროში მოწინავე ტეხნიკის გვერდით ჩვენ ვხვდებით მუშაობის ბარბაროსულ „მამაპაპურ“ მეთოდებს. 1930 წლის მექანიზაციისაკენ აღებული კურსი უნდა გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ.

უკვე 1931 წელს ქვანახშირის მექანიკური ამოღების პროცენტმა დონბასში უნდა მიაღწიოს 80 პროცენტს, აღმოსავლეთის რაიონებში — 48 პროცენტს. მიმდინარე წელს ქვანახშირის ახალი საბადოების ექსპლოატაციის გაფართოებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. მართლაც, ჩვენი „შავი ოქროს“ ძირითადი მასივი (საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მთელი მარაგის 86 პროც.) ციმბირში იმყოფება. მაგრამ ამ მასივს ქვანახშირის საერთო ამოღებაში მხოლოდ 12 პროცენტი უკავია, ეს დისპროპორცია დაძლეულ უნდა იქნას. დღემდე მცირედი ყურადღება ექცეოდა კარაგანდინსკის საბადოს, რომელიც მაღალხარისხოვანი, დაკოქსებისათვის გამოსადეგი ქვანახშირის წყაროს წარმოადგენს. 1931 წელს კარაგანდინსკის საბადო ჩვენს ქვეყანას ერთ მილიონ ტონა ქვანახშირს მისცემს.

ელექტრომშენებლობის დარგში 1931 წელს ჩვენ ავამუშავებთ ახალ 1 მილიონ კილოვატს. ასეთი ტემპები ამერიკასა და ევროპაში არც კი გაუგონიათ.

სახალხო მეურნეობა 1931 წელს 12,7 მილიარდ კილოვატ საათ ენერგიას მიიღებს. მაგრამ ეს ცოტაა. ელექტრომშენებლობა საჭიროა უფრო სწრაფი ტემპებით წავსწიოთ წინ, უნდა შევითვისოთ „დნეპროსტროი“-ს ელექტროფიკაციის ფრონტის ამ დაკვრითი დარგის მიერ აღებული ტემპები.

ჩვენს სახალხო მეურნეობაში, — განაგრძობს ამხ. კუიბიშევი, — არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ლითონს. ჩვენი ვარაუდით, ხუთწლედის დამლევისათვის უნდა მივიღოთ 17 მილიონი ტონა თუჯი. ეს ციფრი ჩვენს ქვეყანას ევროპის ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებზე წინ დააყენებს. 1931 წელი—მეტალურგიის საგრძნობი ზრდის წელიწადია, ლითონის მოხმარების საგრძნობი ზრდის წელიწადია. გასულ წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო 8 მილიონი ტონა თუჯი, 8,8 მილიონი ტონა ფოლადი, 6,6 მილიონი სატკეცი რკინა. მაგრამ ჩვენს ქვეყანას მეტი ლითონი სჭირდება. ჩვენი მანქანათმშენებლობა ერთიორჯერ იზრდება; ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელი რიგი სხვა დარგები კიდევ უფრო სწრაფად იზრდება.

მეტალურგიული ქარხნების მშენებლობაში 900 მილიონ მანეთს ვაბანდებთ.

სახალხო - სამეურნეო გეგმაში განსაკუთრებული ადგილი ურალ - კუზნეცკის პრობლემას უკავია. ურალ-კუზნეცკის კომბინატის მშენებლობისათვის ვღებთ 1,500 მილიონ მანეთს, ე. ი. იმდენსავე, რამდენიც ხუთწლედის პირველ წელს საბჭოთა კავშირის მთელ მრეწველობაში იყო დაბანდებული.

— 1931 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის ძირითადი იდეა — ამბობს ამხ. კუიბიშევი, — მდგომარეობს კაპიტალურ დაბანდებათა რაც შეიძლება მეტ აქტივიზაციაში. მიმდინარე წელს 600-მდე ახალი საწარმოო იქნება ამუშავებული. ჩვენი საწარმოო პროგრამა [illegible] წარმოადგენს იმათთვის, [illegible] სოციალისტური მეურნეობის განვითარების პირობებს, — ამბობს ამხ. კუიბიშევი.

— უმუშევრობა საბჭოთა კავშირში,— განაგრძობს ის,—დრომოჭმული ცნებაა. უკვე 1931 წელს 2 მილიონი ახალი მუშა დაგვჭირდება. მუშა-ხელზე ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების წყაროს წარმოადგენს საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლები, წარმოებაში მუშათა ოჯახების წევრთა ჩაბმა, ქალის შრომის ფართოდ გამოყენება და სხვ.

ცალკე უნდა დაისვას, განსაკუთრებით მუშა-ხელის ნაკლებობასთან დაკავშირებით, შრომის მექანიზაციის პრობლემა. ეს—ჩვენი მშობლიური მანქანათმშენებლობის საქმეა. პირველ ადგილზე აქ სოფლის მეურნეობა დგას. პირველ რიგში მისი ტეხნიკური გადახალისება უნდა მოხდეს.

შემდეგ ამხ. კუიბიშევი გადადის სოფლის მეურნეობაზე და აღნიშნავს, რომ 1931 წელს სოფლად სოციალისტური სექტორი კერძო მესაკუთრეობრივს გადააჭარბებს. მიწადმოქმედების სოციალისტური ფორმების უპირატესობა ახლა საკმაოდ ნათელია ყველასათვის. წლითი-წლობით ძლიერდება მრეწველობის როლი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციაში. ლენინი ამბობდა: „მიეცით რუს გლეხს 100.000 ტრაქტორი და ის მუშათა კლასს გაჰყვება“-ო. ვლადიმერ ილიჩის ანდერძი შესრულებულია, 1931 წელს 100.000-ზე მეტი ტრაქტორი მოედება საბჭოთა მიწას.

მიმდინარე წელს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს გარდატეხის მიღწევა ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის მდგომარეობაში: ახლა ისინი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

ამხ. კუიბიშევი ეხება 1931 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ხარისხობრივ მაჩვენებელთა ნამდვილად შესრულების აუცილებლობას და აღნიშნავს, რომ თვითღირებულების შემცირების თითოეული პროცენტი—ეს ზედმეტ 160-170 მილიონ მანეთს ნიშნავს სახალხო მეურნეობის სისტემაში. ამხ. კუიბიშევი მოკლედ ჩამოთვლის ამ დარგში დასახულ ღონისძიებებს. ყოველ მიზეზის გარეშე ჩვენ 15 პროცენტით უნდა შევამციროთ ლითონის და სათბობის ხარჯვის ნორმები.

ხარისხობრივი მაჩვენებლები,—ამბობს ამხ. კუიბიშევი,—ის ჩვენი დროშაა სოციალისტური მეურნეობისათვის ბრძოლაში.

ჩვენი მეურნეობის მთელ რიგ დარგებში 1931 წელში ჩვენ უკან ვტოვებთ ხუთწლიანი გეგმის ვარაუდებს. ლოზუნგი—დავეწიოთ და გავუსწროთ—რეალური ფაქტი ხდება. შეჯიბრება უკვე დაიწყო. ფინიშთან ჩვენ პირველნი მივალთ. ჩვენკენაა ისტორია, ჩვენკენაა მუშათა კლასის რევოლიუციონური შეგნება—ასე ამთავრებს კუიბიშევი თავის მოხსენებას. მისი სიტყვები მქუხარე ტაშით იფარება. (ადს).

მუშა-მოსამსახურეთა დაქირავების წესი

საკავშირო შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება

მოსკოვი, 6 იანვარი. საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ყველა საწარმოები, დაწესებულებები და ცალკე პირები მოვალენი არიან მუშები და მოსამსახურეები დაიქირაონ მხოლოდ შრომის ორგანოებთან არსებული კადრების სამმართველოების საშუალებით. კადრების სამმართველოების გარეშე სამუშაოზე მიღება შეიძლება საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების, საქმეთა მმართველების, სახკომების, კოლეგიების და გამგეობების მდივნების, ძველი ბუღალტრების მოადგილეების და თანაშემწეების, ინსპექტორების, ინსტრუქტორების, ეკონომისტების; ინჟინრების; ტეხნიკოსების; გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორების, სპეციალური საკითხების კორესპონდენტების; რედაქციების მდივნების და სხვ.

კადრების სამმართველოს გარეშე მიიღებიან აგრეთვე მუშაკნი საკავშირო ცაკის, საკავშირო სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ცაკების, სახკომსაბჭოების და ეკონომიური საბჭოების, საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის, გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს და საზღვაო და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის და მათი ადგილობრივი ორგანოების აპარატებში.

მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს, ადგილობრივი პირობების მიხედვით, შეუძლიათ, საკავშირო სახკომსაბჭოს დამტკიცების შემდეგ, შემოიღონ იმ პასუხისმგებელი ადმინისტრატიულ-ტეხნიკური მუშაკების და სპეციალისტების დამატებითი სია, რომელთა დაქირავებაც ნებადართული იქნება კადრების სამმართველოების გარეშე.

კადრების სამმართველოები მოვალენი არიან მუშაკები შეარჩიონ შესული მოთხოვნების მიხედვით. დაინტერესებულ საწარმოებს და დაწესებულებებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ მუშა-ხელის შერჩევაში. ამასთან ერთად კადრების სამმართველოებს, თავიანთი შეხედულებისამებრ, შეუძლიათ დააკმაყოფილონ პერსონალური მოთხოვნები სამუშაოზე იმ პირების გაგზავნის შესახებ, რომელნიც კადრების სამმართველოების აღრიცხვაზე არიან. ის პირები, რომელთა სამუშაოზე მიღების დროს დარღვეული იქნება ეს დადგენილება, დათხოვნილ უნდა იქნან ადგილკომების, შრომის ინსპექტორების და შრომის განყოფილებების მოთხოვნით (ადს).

ქვანახშირი სვანეთში

მოსკოვი, 6 იანვარი. ექსპედიციამ, რომელიც მუშაობდა საბჭოთა კავშირის გეოლოგიური რუკის შედგენაზე, სვანეთში აღმოაჩინა ქვანახშირის რამდენიმე საბადო. საბადოებს სამრეწველო მნიშვნელობა აქვთ. (ადს).

ძლიერი ქარიშხალი შავ ზღვაზე

სევასტოპოლი, 6 იანვარი. რამდენიმე დღეა შავ ზღვაზე ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებს. ტვირთის გადამზიდავი გემი, რომელიც ოდესიდან 30 დეკემბერს გავიდა, დღემდე არ მოსულა სევასტოპოლში. არ არის სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ სად იმყოფება გემი. (ადს)..

გაშლილი თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ ჩავატაროთ საბჭოების სარაიონო ყრილობები

სოციალისტური მშენებლობის ახალ ამოცანებთან შეფარდებით გარდავქმნათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოების—საბჭოების მუშაობა

> „არა კულაკის კუდში ჩანჩალი, არა საკოლმეურნეო მოძრაობის შეფერხება, არამედ გლეხთა მასისთვის მეთაურობის გაწევა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში—ასეთია საბჭოების მთავარი ამოცანა სოფლად“ (ვ. მოლოტოვი)

ახალ ამოცანებთან შეფარდებით გარდავქმნათ საბჭოების მუშაობა

უკვე ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში ჩატარდა საბჭოების უკანასკნელი არჩევნები. ეს მომენტი სწორედ სოციალისტური ხუთწლედის დასაწყისს შეხვდა. ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში ჩვენ უდიდეს წარმატებებს მივაღწიეთ სოციალისტური მშენებლობის სფეროში. ჩვენ ფართოდ გავშალეთ შეტევა ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, რის წყალობითაც კერძო სექტორი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში უაღრესად შეკვეცილია და მისი ხვედრითი წონა ნოლს უახლოვდება. გადაჭრით ტარდება მთელი სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაძლიერების საფუძველზე. კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში უკვე გადაჭარბებულია ხუთწლედის ყველა ვარაუდები. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის წარმატების წყალობით შესაძლო გახდა დაწყებული კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

მიმდინარე საარჩევნო კამპანია არის ფართო პოლიტიკური მასიური კამპანია. მისი ამოცანაა საბჭოების განმტკიცება მათი ახალი შემადგენლობის არჩევის გზით. ამავე გზით იგი ახორციელებს ამომრჩეველთა მშრომელ მასების კონტროლს საბჭოების მუშაობის მიმართ. ამ კამპანიის ჩატარებით ჩვენ ამჟამად ვახდენთ საბჭოების მუშაობის დათვალიერებას. დაუზოგავი ბოლშევიკური თვითკრიტიკის, საქმიანი და შემოქმედებითი კრიტიკის გზით მშრომელი მასები აფასებენ როგორც მიღწეულ წარმატებებს, ისე დეფექტებს.

საარჩევნო კამპანიას, რომელიც ამჟამად ტარდება საქართველოში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ კამპანიის მსვლელობის დროს მუშათა და მშრომელთა ფართო მასები დარაზმულ უნდა იქნან იმ ძირითად სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანების გარშემო, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებასთან.

საქართველოში ამჟამად ტარდება უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები, როგორც მაგალითად: გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მზადება, მოსახლეობის ფულადი რესურსების მობილიზაცია, პურის, სიმინდის და ბამბის დამზადება, საყოველთაო სწავლება და სხვ. სწორედ ამავე დროს ტარდება საანგარიშო საარჩევნო კამპანია. ზოგიერთ ადგილას პარტიის და საბჭოების ადგილობრივმა ხელმძღვანელმა ორგანოებმა ვერ შესძლეს ამ კამპანიების ერთი მეორესთან დაკავშირება, რის გამოც საბჭოების არჩევნები თვალსაჩინოდ ჩამორჩენ საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმას. კამპანიების სიმრავლით არ შეუძლიათ თავი იმართლონ ზოგიერთმა რაიონებმა, რომელნიც დაიბნენ და არ იციან როგორ დაუკავშირონ ერთი-მეორეს სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიები.

საჭიროა, რომ რაიონების მუშაობაში შეტანილ იქნას მეტი გარკვეულობა, გეგმიანობა და სიცხადე, ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოების ორგანოების მუშაობა ადგილებზე შეფასებულ იქნება ყველა კამპანიების წარმატებით ჩატარების მიხედვით, ხოლო საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ეჭვს გარეშე მთავარი პოლიტიკური კამპანიაა.

საბჭოების მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ხელი უნდა შეუწყოს ჩვენი საბჭოების მთელი მუშაობის საფუძვლიანად გარდაქმნას. საბჭოების ადგილობრივმა ორგანოებმა — სოფლის და ქალაქის საბჭოებმა განა შეასრულეს ის ამოცანები, რომლებიც დასმულია მათ წინაშე რეკონსტრუქციის პერიოდთან დაკავშირებით? პასუხი შეიძლება იქნას ერთი: არასაკმაოდ. ამიტომ საჭიროა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ამ ორგანოებმა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა და მტკიცედ შეუფარდონ იგი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და კულტურული მშენებლობის პერიოდს. მიმდინარე საარჩევნო კამპანია უნდა ჩატარდეს ლოზუნგით: საბჭოები პირით კოლმეურნეობისა და საწარმოებისაკენ.

საბჭოები უნდა გადაიქცნენ სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელ შტაბებად ქალაქში და სოფლად. საკოლმეურნეო მშენებლობის სფეროში ბევრი სასოფლო საბჭო ჯერ-ჯერობით მხოლოდ უბრალო „მაყურებლად“ რჩება და ხელმძღვანელობას არ უწევს მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ჩაბმას კოლმეურნეობებში. ზუგდიდის რაიონის სოფლის საბჭოებს ინდივიდუალურ მეურნე გლეხებისაგან არ შეუქმნიათ საინიციატივო ჯგუფები ახალი კოლმეურნეობების მოსაწყობად, რასაც ისინი ასაბუთებენ იმით, რომ აღმასკომს აქამდის არ მიუცია მათთვის სათანადო მითითებანი. ზოგიერთი სოფლის საბჭო თავს იმართლებს იმით, რომ მას უხდება სხვადასხვა კამპანიების ჩატარება და ამიტომ არ შეეძლო ყურადღება მიექცია კოლმეურნეობების განმტკიცებისა და ახალ კოლმეურნეობათა მოწყობისათვის. ეს არის ოპორტუნისტული თვითდინებაზე დამყარება, ანუ ოპორტუნიზმი პრაქტიკაში.

საყოველთაო სწავლების, დამზადების და სხვ. გეგმების გადაჭრით განხორციელება საგრძნობლად დამოკიდებულია იმაზე, როგორ ხელმძღვანელობას უწევენ ამ საქმეს საბჭოების ქვედა საფეხურის ორგანოები. ძალიან ბევრი დეფექტი არსებობს საბჭოების ქვედა საფეხურის ორგანოების მუშაობაში; აღნიშნული ორგანოები სათანადოთ არ არიან მობრუნებული პირით სოციალისტურ მშენებლობის ამოცანებისაკენ.

ამრიგად, საბჭოების საარჩევნო კამპანიის მთავარი ამოცანაა ისეთი საბჭოების შექმნა, რომლებიც სოფლად ნამდვილად სათავეში ჩაუდგებიან საკოლმეურნეო მშენებლობას, ხოლო ქალაქებში ხელს შეუწყობენ საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. სოფლის საბჭოები — კოლექტივიზაციის მებრძოლი შტაბებია ეხლანდელ საგაზაფხულო კამპანიაში, ისინი ხელმძღვანელობას უწევენ მოჯამაგირეთა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ფართოდ ჩაბმას კოლმეურნეობებში. ქალაქის საბჭოები — მებრძოლი შტაბებია საწარმოთა სამრეწველო-საფინანსო გეგმების შესრულების საქმეში, ისინი ხელს უწყობენ ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას.

მთელი ეს მუშაობა საბჭოების ქვედა საფეხურის ორგანოებს შეუძლიათ შეასრულონ იმ პირობით, თუ ისინი გადაჭრით აწარმოებენ ბრძოლას ორ ფრონტზე, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც მთავარ საფრთხეს წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ეხლანდელ პერიოდში, აგრეთვე „მემემარცხენე“ გადახრასთან ჩვენს პარტიაში და თვალთმაქცებთან, როგორიცაა სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-„მემემარცხენე“ უპრინციპო ბლოკი. საბჭოების მიმდინარე საარჩევნო კამპანიამ დაუზოგავად და გადაჭრით უნდა გამოამჟღავნოს ყველა ოპორტუნისტები და უნდა დარაზმოს მუშათა და გლეხთა ფართო მშრომელი მასები ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებლად, ყველა დაკვრითი კამპანიების (მოსახლეობის ფულადი სახსრების მობილიზაცია, პურის, სიმინდის, ბამბის, დამზადება, თესვის კამპანია და სხვ.) განსახორციელებლად.

მუშაობის სოციალისტური მეთოდები: სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, საზოგადოებრივი ბუქსირი, ბოლომდე მიმყოლი ბრიგადები და სხვ., როგორც მუშათა კლასის შრომის საწარმოო ენტუზიაზმის გამოხატულება, ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც საბჭოთა საარჩევნო კამპანიის მსვლელობაში, ისე საბჭოების მიმდინარე მუშაობაში.

— საბჭოები პირით კოლმეურნეობებისა და საწარმოებისაკენ — ასეთია მორიგი ამოცანა და ეს მტკიცედ უნდა გატარდეს ცხოვრებაში.

ნ. ბოქუჩავა.

რას მოითხოვდნენ ამომრჩევლები

(ნორიო, თბილისის რაიონი)

ნორიოში საბჭოთა არჩევნები დამთავრდა 28 დეკემბერს.

მთელ სოფელში საანგარიშო კამპანია და არჩევნები გასულ წელთან შედარებით დიდი წარმატებით იქნა ჩატარებული. სოფელი დაყოფილი იყო 8 პუნქტათ.

ნორიოში სულ არის 2.818 ამომრჩეველი, მათ შორის 1.226 ქალია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.938 ამომრჩეველმა. აქედან 762 ქალმა. ე. ი. ამომრჩეველთა საშუალო დასწრება უდრის 69 პროც.

ამომრჩეველი გლეხები ახალ დავალებებს აძლევდნენ დეპუტატებს, სასოფლო - მეურნეობის გარდაქმნისათვის; ღარიბი და საშუალო გლეხები საბჭოს წევრებისაგან მოითხოვდნენ სოფლის სოციალისტურ მშენებლობის და კერძოდ საკოლმეურნეო მოძრაობის გაზრდა - განმტკიცებისათვის და კულაკთა მავნებლობის აღკვეთისათვის გადამჭრელი ზომების მიღებას.

საბჭოში არჩეული იქნა 57 წევრი. აქედან 6 ქალია, მოჯამაგირე და მუშა — 30, ღარიბი — 15 და 15 საშუალო გლეხი. საბჭოს დეპუტატთა რიცხვიდან 24 კოლმეურნეა.

არჩეულთაგან — 15 კომუნისტია, 6 კომკავშირელი და 36 უპარტიო.

საერთოდ არჩევნები სოფ. ნორიოში მშრომელი მასების უდიდესი აქტივობით ჩატარდა.

კოლმეურნე.

კულაკების აგენტები ამოქრავდნენ

(ქუთაისი)

საბჭოების საარჩევნო კამპანიების მიმდინარეობის დროს ქუთაისის რაიონის მთელ რიგ თემებში ადგილი აქვს კულაკების და ანტი - საბჭოთა ელემენტების ცდებს საარჩევნო კრებების ჩასაშლელად. მაგ.: 28 დეკემბერს ქვიტირის თემში **სოფელ ბანოჯაში** საარჩევნო კრებაზე მთვრალი გამოცხადდა მასწავლებელი **სიმონ კაპანაძე** — თავისი დამქაშებით.

გაიხსნა თუ არა კრება, კაპანაძემ **გაილაშქრა ღარიბ გლეხთა მიერ დასახელებულ კანდიდატების წინააღმდეგ**“. ღარიბებს რა უფლება აქვთ კანდიდატები დაასახელონ“-ო; — „ღრიალებდა ის. კაპანაძეს მხარს უმშვენებდნენ კულაკების რამოდენიმე აგენტები, რომელნიც მოითხოვდნენ კაპანაძის გაყვანას საბჭოს შემადგენლობაში.

რასაკვირველია ღარიბმა გლეხობამ საკადრისი პასუხი მისცა მას; ის გაძევებული იქნა კრებიდან. და ღარიბთა კრების მიერ დასახელებული კანდიდატები კი ერთხმად იქნა გაყვანილი საბჭოში.

სოფ. ნახშირღელეში საბჭოების არჩევნები დაიწყო 25 დეკემბრიდან, თემი გაყოფილი იქნა ოთხ უბნად. დასწრება უდრის 61½ პროც.-ს; არჩევნების ჩატარების დროს ადგილი ჰქონდა კულაკური ელემენტების შემოტევას:

ანიჩქა არსენიშვილი — ყაჩაღთა ბრბოების მფარველი, დაუძინებელი მტერი ხელისუფლების, **ვ. ლ. ჭუმბურიძე** ცნობილი ბანდიტი და გაუსწორებელი ელემენტი, **ალექსანდრე კუშლიაშვილი** ცნობილი ხულიგანი, ცდილობდნენ საარჩევნო კრებები ჩაეშალათ, მათ განაწილებული ჰქონდათ როლები; კულაკური ელემენტების გასაყვანად საბჭოს შემადგენლობაში. ღარიბმა და საშუალო გლეხებმა კრებაზე ერთხმად მოითხოვეს მათი გაძევება. საანგარიშო-საარჩევნო კამპანიების მსვლელობის დროს ადგილი ჰქონდა, ოპორტუნისტულ გადახრებს: სოფ. **ბანოჯის** კომკავშირის უჯრედმა — ამომრჩეველთა აღწერის ჩატარების დროს წარმოადგინა ამომრჩეველთა არა სწორი ციფრები.

ამავე უჯრედის მდივანმა პირადი ინტერესების საფუძველზე შავ სიაში შეატანია საარჩევნო კომისიას, საშუალო გლეხი, ჩიგოგიძე.

პარტუჯრედის და მიმაგრებულ ამხანაგების მიერ მიღებული იქნა სათანადო ზომები ასეთი ოპორტუნისტული გადახრების აღსაკვეთად.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა:
გ. რიონიძე,
ვ. ლალიაშვილი.

არჩევნები აქტიურად მიმდინარეობს

(ქუთაისის რაიონი)

ქუთაისის რაიონის მთელ რიგ თემებში საანგარიშო კამპანიის მსვლელობის დროს ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს, რომელიც გამოწვეული იყო მოსამზადებელი მუშაობის არა საკმაო გაშლით; ამჟამად საარჩევნო კამპანიების მსვლელობის დროს ეს დეფექტები თუ სავსებით არა, ნაწილობრივ აღმოფხვრილია, და საარჩევნო კრებები მთელ რიგ თემებში ფართო აქტივობის ნიშნის ქვეშ ტარდება.

ჩატარდა საარჩევნო კრებები სოფ. **ოფურჩხეთში**, დამსწრეთა საერთო რაოდენობა უდრიდა 90 პროც. ქალთა დასწრება 80 პროც., მოეწყო ერთდღიური საბავშო ბაგები.

აქტიურად ჩატარდა არჩევნები **სოფ. ბაზუთში**, დამსწრეთა პროცენტი აღწევდა 95. გამოიცა კედლის გაზეთები, მოეწყო კრებაზე დასწრებისთვის გადაძახება და სხვა,

სოფ. მუხიანში სამ საარჩევნო უბანში მოეწყო ბავშთა ბაგეები, სადაც გატარებული იქნა 120 ბავში, ამან უზრუნველყო ქალთა დასწრება სამივე უბანში 80 პროც.-მდე. თემს გამოწვეული ყავდა სოცშეჯიბრებაში სოფ. ფარცხანაყანევი.

კარგათ ჩატარდა საარჩევნო კრებები **გოდოგანის** თემშიაც, აქაც მოეწყო ბავშთა ერთდღიური ბაგეები და გამოიცა კედლის გაზეთები. საანგარიშო კრებებს დაესწრო ამომრჩევლების 90 პროცენტი.

ვ. ლ.

66 კოლმეურნე ახალ საბჭოში

(მარტყოფი)

მარტყოფში არჩევნები სამაგალითოდ ჩატარდა. არჩევნები დამთავრდა 28 დეკემბერს. საბჭოს საანგარიშო კამპანიის და არჩევნების წარმატებით ჩატარებისათვის ლენრაიონმა მარტყოფში მიავლინა ავისი პასუხისმგებელი მუშაკები.

საბჭოში არჩეულია — 93 წევრი, მათში 22 ქალია, 5 მოჯამაგირე და მუშა, 77 ღარიბი და 18 საშუალო გლეხი. **საბჭოს წევრთა საერთო რიცხვში 66 კოლმეურნეა.**

ქალთა მონაწილეობა დამაკმაყოფილებელია. საშუალოდ ქალთა დასწრება უდრის 71,3 პროც. ის გარემოება, რომ ახალ საბჭოში არჩეულ იქნა 66 კოლმეურნე (მთელი საბჭოს წევრთა 70,9 პროცენტი)—ნიშნავს საკოლმეურნეო მოძრაობის განმტკიცების ზრდის გაძლიერებას.

ბრიგადირი.

თბილისის საბჭოს ღონისძიებანი სექციების მუშაობის გარდასაქმნელად

სოფლად სოციალისტურ მშენებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაიზარდა და თვალსაჩინო გახდა სასოფლო საბჭოების როლი. ცხადია საბჭოები, მუშაობის ძველი მეთოდებით ვერ შესძლებენ რეკონსტრუქტიულ პერიოდის ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების სწორად გატარებას.

ამიტომ საჭიროა სასოფლო საბჭოების მასიურ მუშაობის ისე გარდაქმნა, რომ მშრომელთა ფართო მასებს საშუალება ექნეთ უშუალო მონაწილეობა მიიღონ მშენებლობაში და მათმა თაოსნობამ დროზე ჰპოვოს პრაქტიკული გამოხატულება.

ამ მიზნით თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა აუცილებელ საჭიროდ სცნო სასოფლო საბჭოსთან სხვადასხვა სექციების მოწყობა. უკვე დამტკიცებულ გეგმით სასოფლო საბჭოსთან მოეწყობა: 1) სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირი, 2) კულტყოფაცხოვრების სექცია, 3) ადგილობრივ მეურნეობის და კეთილ-მოწყობის, 4) მ.-გ. ინსპექციის და 5) საფინანსო-კოოპერატიული სექცია.

იმ სოფლებში, რომლებიც დაშორებულნი არიან სოფლის საბჭოს ცენტრიდან, საწარმოო თათბირის სახით მოეწყობა ერთი სასოფლო სექცია, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრება იმავე სოფლის რწმუნებულს.

სასოფლო საბჭოების მუშაობაში მუშათა, მოჯამაგირეთა, კოლმეურნეთა და საშუალო გლეხთა აქტივის უშუალოთ მონაწილეობის მიღების მიზნით, საბჭოს სექციებში ჩაბმული იქნებიან მოწინავე გლეხები ცალკე ფენებიდან.

თვითეულ სექციასთან მოეწყობა ჯგუფები, მაგალითად საწარმოო თათბირთან ჩამოყალიბდება საკოლმეურნეო ჯგუფი, სასოფლო-სამეურნეო და მომარაგების ჯგუფები; კულტურულ ყოფა-ცხოვრების სექციასთან—ჯანმრთელობის, განათლების და სოცუზრუნველყოფის ჯგუფები.

ადგილობრივ მეურნეობის სექციასთან — საფინანსო საგადასახადო და კოოპერატიული. ჯგუფები; მ.-გ. ინსპექციის სექციასთან სოც. კოოპერატ., სოც.-კულტ. სასოფ.-სამ. საწარმოთა თათბირების ჯგუფი ადგ. მეურნეობის და კეთილმოწყობის ჯგუფები.

სექციების წევრები ესწრებიან საბჭოების სხდომებს. გამოყენებული იქნება სოც. შეჯიბრება როგორც სექციებს, ისე თვით საბჭოებს შორის.

საბჭოები პერიოდულად მოისმენენ სექციების და ჯგუფების საანგარიშო მოხსენებებს. აგრეთვე სექციები სისტემატიურად ჩააბარებენ ანგარიშს ამომრჩევლებს.

ამიერიდან ამ გეგმის მიხედვით იმუშავებენ თბილისის რაიონში არჩეული ახალი საბჭოები. საჭიროა თბილისის რაიონს მიბაძონ სხვა რაიონებმაც, რაც სოფლის საბჭოებს მისცემს ნამდვილ მასიურ ორგანიზაციის სახეს და მათ მუშაობას მჭიდროდ დაუკავშირებს ამომრჩევლებს.

კოლმეურნეები დიდ აქტივობას იჩენენ

(ლაგოდეხის რაიონი)

ლაგოდეხის რაიონში საბჭოთა არჩევნები დაიწყო 2 იანვარს. მიუხედავათ ცუდი ამინდისა და დიდი თოვლისა, ამომრჩევლები საარჩევნო კრებებზე დიდი ხალისით ცხადდებიან. დასწრებასთან ერთად აგრეთვე **აღსანიშნავია ამრჩეველთა, კერძოდ კოლმეურნეების აქტივობა.** ამრჩევლი კოლმეურნეები [illegible] დატების შეფასებაში, ისე ნაკაზების შედგენაში მხურვალე მონაწილეობას იღებენ.

არჩევნები უკვე დამთავრდა ბუდიონოვკის თემში. თემი დაყოფილი იყო 7 საარჩევნო უბნად. 1.450 ამრჩევლიდან **არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1.219 ანუ 85 პროცენტმა.** ამ თემში ყველა უბანში საარჩევნო კრებები ცოცხლად ჩატარდა; კოლმეურნეების აქტივობასთან ერთად [illegible] იყო ამრჩეველ ქალთა [illegible] რომელნიც [illegible] დადებებს ძველი საბჭოს შეცდომების შემდეგში გამოსასწორებლად.

ლაგოდეხელი.

თბილისის საბჭომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს საბჭო

თბილისის საბჭომ საანგარიშო - საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია **ბაქოს საბჭო.** გამოწვევის მიღების შემდეგ, **თბილისის საბჭომ ბაქოში გააგზავნა თავის წარმომადგენლები სოცშეჯიბრების პირობების ადგილობრივ გასაცნობათ და სათანადო ხელშეკრულების დასადებათ.**

გუშინ ამავე მიზნით, თბილისში ჩამოვიდა ბაქოს საბჭოს წარმომადგენლები ამხ. **პ. ბელოვი, მაჰმედ სადრადინბეკოვი** და **ელენე უაზაროვი.**

აღნიშნული პირები გაეცნობიან თბილისში ჩატარებულ საანგარიშო კამპანიის შედეგებს და მიმდინარე არჩევნებს.

როგორ ჩატარდა არჩევნები

(ველისციხე)

საბჭოთა საარჩევნო კამპანიისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ველისციხეში ნაყოფიერად ჩატარდა. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების აქტიური ხელმძღვანელობით საბჭოს არჩევნების მოსამზადებელმა და საანგარიშო პერიოდმა დამაკმაყოფილებლად ჩაიარა.

არჩევნებისათვის წინასწარი მუშაობა ჩატარდა გლეხობაში უბნეულად; ამასთან დაკავშირებით დამუშავდა საბჭოთა საარჩევნო ინსტრუქცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოწაფეთა და მასწავლებელთა ბრიგადები. საბჭოს განვლილი მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

არჩევნები ველისციხეში ჩატარდა 1930 წლის 30 დეკემბერს. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ცუდი ამინდისა (თოვლი) [illegible] ამომრჩეველთა 87 პროც.-ტი. აღსანიშნავია ამომრჩეველ ქალთა აქტიური დასწრება (80 პროც.-ტი).

ახალი საბჭოს შემადგენლობა გაიზარდა მოჯამაგირე და ღარიბ გლეხთა ხარჯზე — საბჭოს ახალი შემადგენლობამ მიიღო ნაკაზი შემდგომი მუშაობისათვის. ნაკაზში გათვალისწინებულია საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერება.

აგრეთვე ნაკაზი ითვალისწინებს სოფლის კეთილმოწყობის სხვადასხვა საკითხებს, ნაკაზი ამომრჩევლების მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

კესაშვილი.

ავირჩიეთ საბჭოს ახალი წევრები

(თბილისი)

საამშენებლო საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში საბჭოთა არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობამ მოლოდინს გადააჭარბა. ამომრჩევლები თვალსაჩინო აქტივობას იჩენდენ. დეპუტატებს აძლევდნენ მტკიცე დავალებებს მოწაფეთა ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისა და ხელისუფლების ყველა ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების შესახებ. ახალ საბჭოში ასარჩევი კანდიდატები სწორად იყო შერჩეული.

სკოლაში სულ არის 801 ამომრჩეველი. მათ შორის 90 ქალია. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 776 ამომრჩეველმა, აქედან 70 ქალმა საბჭოში არჩეულია 15 წევრი. მათ შორის 6 ქალია. ახალ საბჭოს შემადგენლობა სოციალურად სავსებით დამაკმაყოფილებელია.

მოწაფე.

ვინ ავირჩიეთ

საქ. სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტში საარჩევნო კრება ცოცხლად ჩატარდა. კრებაზე მონაწილეობდა ამომრჩევლების 85 პროცენტი.

თბილისის საბჭოს დეპუტატებად ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: ეგიაზარიანი, ვასო კანდელაკი, იონა ჩაბაა, თ. კარტავენკო, გ. კუპრეიშვილი, ბოგომოლოვა (მუშა ქალი) და აკაკი ცხომელიძე.

ამომრჩევლებმა მტკიცე განაწესი მისცეს ახლად არჩეულ დეპუტატებს და დაავალეს მათ მისი ცხოვრებაში გატარება.

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა საქართველოში

საბჭოების საანგარიშო კამპანია სოფლად ყოველგან დამთავრდა. საბჭოების ანგარიშგება აგრეთვე თითქმის დამთავრებულია ყველა ქალაქში.

მთელ საქართველოში ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს არჩევნები. არჩევნები უკვე ჩატარდა ცაგერის, ჩხოროწყუს, ქვემო-სვანეთის და ზოგიერთ სხვა რაიონებში. ამრიგად არჩევნები მეტ წილ რაიონებში და ქალაქებში ამჟამად მიმდინარეობს.

საყურადღებოა, როგორ ჩატარდა მოსამზადებელი და საანგარიშო კამპანია, ან როგორ მიმდინარეობს არჩევნები. უწინარეს უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის დღემდე არ წარმოუდგენია ყველა რაიონს სრული ცნობები, ხოლო ზოგიერთი რაიონის მასალები ვერ იძლევიან ჩატარებულ და ამჟამად მიმდინარე მუშაობის ნათელ სურათს.

მოსამზადებელი საანგარიშო კამპანია

მიღებულ მასალებიდან სჩანს, რომ მრავალ რაიონებში მოსამზადებელ მუშაობას დაგვიანებით შეუდგენ, რამაც თავის დაღი დაასვა როგორც ამ პერიოდს, ისე საანგარიშო კამპანიას (მაგალითად ასე ხდებოდა სიღნაღში, ლაგოდეხში და ზოგიერთ სხვა რაიონებში).

აჩქარების გამო ყველგან ვერ იქნა ჩატარებული ღარიბების, ქალების და სხვა თათბირები და კონფერენციები. ზოგიერთ რაიონში დაკმაყოფილდენ მარტო სოფლის საბჭოების და მდივნების თათბირების მოწვევით, ხოლო კოლმეურნეების და ღარიბების რაიონული თათბირი ერთხელაც არ მოუწვევიათ (ლაგოდეხი, გურჯაანი და სხ.).

ადგილი ჰქონდა ღარიბთა კრებების მოწვევაში სრულ უპასუხისმგებლობასაც. მაგ. თოლენჯში (ერწო-თიანეთი) ღარიბთა კრების ჩასატარებლად გაგზავნილმა პირმა დავალება არ შეასრულა და „თავის გასამართლებლად“ შეადგინა არ მოწვეულ კრების ფიქტიური ოქმი. აგრეთვე ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა ქალთა შორის მუშაობას.

ბევრ რაიონში (გორი, ბორჯომი, ზესტაფონი და სხ.) მოსამზადებელი მუშაობა წარმატებით იქნა ჩატარებული. სარაიონო კომისიებმა ხელში აიღეს ხელმძღვანელობის სადავე, აქტიურად ჩააბეს კამპანიაში ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დროზე მიიღეს ზომები შემჩნეულ დეფექტების გამოსასწორებლად.

იქ, სადაც რაიონული და სასოფლო-სამეურნეო კომისიები იდგენ თავიანთ მოწოდების სიმაღლეზე, იქ არაჩვეულებრივი იყო ამომრჩეველთა აქტივობა. ამომრჩევლები საბჭოების მუშაობას უდგებოდნენ საღი თვითკრიტიკით და მიღწევებთან ერთად, დაუფარავლად ააშკარავებდნენ დეფექტებს, საჯაროდ კიცხავდნენ პასიურ დეპუტატებს და სახავდენ ღონისძიებებს ახალ საბჭოების მუშაობის გასაცხოველებლად. (მაგ. სოფ. ატენი, თავისი (ჩხარის რაიონი), კარალეთი (გორის რიონი და სხვ. ამომრჩევლები საბჭოს მუშაობასთან ერთად ეხებოდნენ მიმდინარე კამპანიებს. კოოპერაციის მუშაობის სუსტ მხარეებს, კოლმეურნეობებისადმი უყურადღებობას (კასპი, გომი), მოითხოვდენ ქალთა შორის მუშაობის გაძლიერებას, საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერებას (ლაგოდეხი, ბაღდადი), საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გასატარებლად ენერგიულ ზომების მიღებას და სხ.

დღემდე ამომრჩეველთა დასწრების შესახებ 358 სასოფლო საბჭოდან, ე. ი. 1744 უბნიდან მიღებულ ცნობებით, ამომრჩეველთა საშუალო დასწრება უდრის 74 პროც., კერძოდ ქალების დასწრება 54 პროც., წარსულ საარჩევნო კამპანიის დროს (1930 წ.) დასწრება არ აღემატებოდა 60 პროცენტს, ხოლო ქალების დასწრება კი უდრიდა მხოლოდ 30—40 პროცენტს.

ამრიგად ამომრჩეველთა აქტივობასთან ერთად საგრძნობლად გაზრდილია მათი დასწრებაც. შედარებით დასწრება დიდი იყო კასპში, გორში, ჩოხატაურში, სტალინისის რაიონში და სხ. საანგარიშო კრებებზე დასწრება მცირე იყო თელავის რაიონში 56 პროცენტი, წალენჯიხაში (იმდენივე) და სხ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ თემებში ქალების დასწრება აღემატებოდა მამაკაცებისას (მაგ. ხიდისთავში კრებას დაესწრო მამაკაცების 75,8 პროცენტი, ქალების—89 პროცენტი, თვით გორის სამ უბანში კრებას დაესწრო ქალების 81 პროც., კაცების კი 75,5 პროც.

განსაკუთრებით დიდ აქტივობას იჩენდენ კოლმეურნეები. კოლმეურნეები მასიურ მონაწილეობას იღებდენ კამპანიაში (ამბროლაური, ლანჩხუთი, კასპი და სხ. რაიონებში). აღნიშნულ კრებებზე კამათში **სულ მონაწილეობა მიიღო 7450 ამომრჩეველმა, აქედან ქალები შეადგენდენ 15—20 პროც.,** აგრეთვე არაჩვეულებრივ ბევრი იყო შეკითხვები. ყოველივე ეს მოწმობს ამომრჩეველთა უდიდეს აქტივობას და ენტუზიაზმს. ამ აქტივობასთან ერთად აქა-იქ ადგილი ჰქონდა მოდუნების და კრებების კაზიონურად ჩატარებას (ქუთაისი, ჩხარის, ლაგოდეხის და სხვა რაიონების ზოგიერთ თემებში).

კულაკების ოინები

ღარიბ-საშუალო გლეხების საბჭოების გარშემო ასე ერთსულოვნად დარაზმვას, ცხადია კულაკები და მათი ამყოლნი დამშვიდებით ვერ შეხვდებოდნენ. ისინი ზოგ ალაგას აშკარა ძალადობას იჩენდენ, იმისათვის, რომ ჩაეშალათ საანგარიშო კრებები, ან საბჭოებში გაეყვანათ თავიანთი კაცები და სხ. კულაკები მერყევ ელემენტებს ათრობდენ, ახდენდენ [illegible], ავრცელებდენ ჭორებს და ყოველნაირად ცდილობდენ ამომრჩეველთა გადაბირებას. კულაკები გამოდიოდენ კოოპერაციის, კერძოდ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. კულაკები აგრეთვე **იარაღით ემუქრებოდენ იმ ღარიბებს, რომელნიც მათ განზრახვებს ამხელდა.** კულაკების ასეთ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა გორის, კასპის, ნაწილობრივ ზესტაფონის, ხარაგაულის და სხვა რაიონებში. კულაკების ეს გამოსვლები ყველგან აღკვეთილი იქნა ღარიბ, საშუალო გლეხთა და მოჯამაგირეთა ერთსულოვანი წინააღმდეგობით.

არჩევნები

არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ცნობები მიღებულია ჩხოროწყუს, თბილისის, ჩოხატაურის, გორის, ცაგერის, ერწო-თიანეთის, ფოთის და ხევის რაიონებიდან. ამ რაიონებში საარჩევნო კრებებზე ამომრჩეველთა დასწრება უდრის 67,4 პროც., ხოლო ქალების—54,1 პროცენტს. ზოგიერთ რაიონების სასოფლო-საბჭოებში (ჩხოროწყუს, გორის, ცაგერის და სხვ. დასწრება აღემატება 80 პროც., მაგრამ ზოგან დასწრება მეტად მცირეა. კერძოდ ქალების მონაწილეობა სუსტია წალენჯიხის რაიონის ლესიჭინის სასოფლო-საბჭოში (40 პროც.) და ნაფიჩხოვოს თემში (20 პროც.). საერთოდ კი ამ რაიონში ქალთა დასწრება აღემატება 60 პროცენტს. არა სრული ცნობების გამო. საბოლოო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ უკვე ცხადია, რომ ზოგიერთ რაიონში საარჩევნო კრებებზე დასწრება არაა საკმაო. ამას ხელს უწყობს ცუდი ამინდები. ეს დაბრკოლება გადალახული უნდა იქნეს. ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, ბრიგადები და სხვ., რასაც სამწუხაროდ ადგილები დღემდე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ.

სიმინდის დამზადებაში დაუყონებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა

კულაკების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლით, პარტიის კლასობრივი ხაზის განუხრელად გატარებით, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტულ პრაქტიკის და მასთან შემარიგებლობის ალკვეთით, ღარიბი, საშუალო გლეხთა, მოჯამაგირეების და კოლმეურნეთა დარაზმვით და სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით—უზრუნველვყოთ სიმინდის დამზადების გეგმის მთლიანად შესრულება.

წინ წასულები და ჩამორჩენილები

ზუგდიდი, 3 იანვარი. 31 დეკემბრისათვის ზუგდიდის რაიონში დამზადებული იყო 88.539 ფუთი სიმინდი, გეგმა შესრულებულია 35,4 პროცენტით.

დამზადებული სიმინდის რაოდენობა სექტორების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად:

კოლმეურნეობებიდან მიღებულია 5.497 ფუთი სიმინდი, კულაკებისაგან 1,580 ფუთი და შეძლებულ გლეხურ მეურნეობებისაგან 4.447 ფუთი.

სიმინდის დამზადებაში წინ მიდიან: აბასთუმნის სას. საბჭო, რომელმაც გეგმა 12 პროც. გადაჭარბებით შეასრულა; კულისკარმა გეგმა 101 პროცენტით შეასრულა; კორცხელის სას. - საბჭომ — 104,5 პროც. და ოქტომბერმა 100 პროც.

დამზადებაში ჩამორჩნენ: კოკი დარჩელი, ორულ-ერგეტა და ტაიბუჯახლეუი. დამზადება გრძელდება.

იზორია.

როგორ უფრთხილდებიან კულაკებს
(სამტრედია)

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებით, ადგილებს წინადადება მიეცათ გადამჭრელი ზომები მიეღოთ და უზრუნველეყოთ, რომ კულაკურმა და შეძლებულმა მეურნეობებმა აუცილებლად დასახულ ვადაში შეასრულონ თავისი მტკიცე დავალებები სიმინდის ჩაბარების შესახებ. ადგილებზე (სოფლებში) მომუშავე ამხანაგები ზოგან სათანადო სიმტკიცეს ვერ იჩენენ ამ დირექტივის შესრულებაში. მაგ. სამტრედიის რაიონში 31 დეკემბრისთვის კოლმეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ სიმინდის დამზადების გეგმის 77,9 პროც., ხოლო კულაკებს მხოლოდ 44 პროც.

ზოგან სიმინდის დამზადების გეგმა სრულად არ არის მიყვანილი კულაკურ და შეძლებულ მეურნეობამდე. ჯიხაიშის თემში მომუშავე ამხანაგები გვარწმუნებდნენ, რომ ადგილობრივმა კულაკებმა და შეძლებულმა გლეხებმა მთლიანად ჩააბარეს თავისი სასაქონლო სიმინდი დამამზადებელ ორგანიზაციას. მეორე დღეს კი გამოირკვა, რომ ზოგიერთ კულაკს თავისი სიმინდი მეზობელ სოფელში გადაუმალავს.

კულაშელ შეძლებულ გლეხების განცხადების განხილვისა და ამ მეურნეთა ფაქტიური მოსავლის შემოწმების შემდეგ, გამოირკვა, რომ შეძლებულ გლეხებისათვის (ბეგლარ ბანძავაზე, ბართლომე ბანძავაზე და სერაფიონ ბანძავაზე) მიცემული მტკიცე დავალება ერთი ორად უნდა გადიდდეს.

ეს გარემოებები მოწმობენ, რომ სიმინდის დამზადების გეგმა მთლიანად ვერ არის დაყვანილი კულაკურ და შეძლებულ მეურნეობამდე.

კულაკურმა და შეძლებულ მეურნეობებმა აუცილებლად მთლიანად უნდა ჩააბარონ დამამზადებელ ორგანიზაციას მთელი თავისი სასაქონლო სიმინდი.

ამ ამოცანას სამტრედიის რაიონი მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ სოფლებზე მომაგრებული ამხანაგები და ადგილობრივი მუშაკები მეტ სიმტკიცეს გამოიჩენენ კულაკურ და შეძლებულ მეურნეობათა მიმართ.

კ—ლი.

სათესლე სესხი არ გროვდება

ლანჩხუთი, 2 იანვარი. გეგმის თანახმად ლანჩხუთის რაიონში უნდა აიკრიფოს 572 ცენტნერი (სიმინდის) სათესლე სესხი. სათესლე სესხის ასაკრეფად დამამზადებელ პუნქტებზე გამოყოფილია სპეციალური რწმუნებული, რომლისთვისაც არც სას.-სამ. კოოპერაციას და არც საბჭოს არავითარი მითითება არ მიუციათ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აწარმოოს ეს საქმე. აღნიშნული რწმუნებული (ამხ. სარჯველაძე) აცხადებს—„არ ვიცი რისთვის დამნიშნეს აქ და რა უნდა ვაკეთოო“. იგი მართლაც არაფერს არ აკეთებს. სალამოთი იკითხავს: „რამდენი ფუთი სიმინდი მიიღეთ დღესო“ და ამით თავდება მისი „მუშაობა“.

1 იანვრისთვის რაიონს შესრულებული ჰქონდა სიმინდის დამზადების გეგმის 72,1 პროც. სათესლე სესხი ამ რიცხვისათვის ერთი გირვანქაც კი არ იყო აკრეფილი. რას ფიქრობს ადგილობრივი დამამზადებელი ორგანიზაცია და საბჭო, ან როდის უნდა დაამთავრონ მათ სათესლე სესხის აკრეფა.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა

გარდატეხა დაიწყო

ქუთაისი, 2 იანვარი. სიმინდის დამზადების საქმეში დიდი გარდატეხა მოხდა.

პირველ იანვრისათვის, სამი პუნქტის გამოკლებით, რაიონში დამზადებული იყო 12,931 ფუთი სიმინდი, ანუ გეგმის 18 პროცენტი.

კულაკურ მეურნეობებიდან მიღებულია 2.266 ფუთი, დავალება შესრულებული აქვთ 47 პროცენტით, კოლმეურნეობებიდან — 6.379 ფუთი, ანუ მათი გეგმის 43 პროც.

ამ დღეებში ქუთაისში მოეწყობა სიმინდის წითელი ქარავნები. მოელიან დიდძალ სიმინდს.

გაზ. „კომუნისტი“-ს ბრიგადა.

მემარჯვენე ოპორტუნისტები კულაკების სამსახურში

სამტრედია, 1 იანვარი. მიუხედავად სარაიონო ხელმძღვანელ ორგანოების არა ერთი მითითებისა და დირექტივისა, სიმინდის დამზადება ბაშის თემში დეკემბრის მესამე დეკადამდეც დაუშვებელი ნელი ტემპით სწარმოებდა. ამ გარემოების მიზეზების გამოკვლევისა და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, სამტრედიის სარაიონო პარტიულმა კომიტეტმა ბაშის თემში გაგზავნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოარკვია, რომ სიმინდის დამზადების დროს ადგილობრივ ორგანიზაციების ხელმძღვანელთ დაუშვიათ მთელი რიგი მემარჯვენე და „მემარცხენე“ დამახინჯებები: კულაკებისა და შეძლებულ გლეხების სიები არ განუხილავთ და არ დაუმტკიცებიათ არც ღარიბთა კრებებს და არც საბჭოს. **სიებში არ შეუტანიათ მთელი რიგი კულაკები და მათთვის არ მიუციათ მტკიცე დავალებები. სამაგიეროდ მტკიცე დავალება მიუციათ 2 საშუალო გლეხისათვის.**

სოფლის საბჭოს სრულიად არა გაუკეთებია რა სიმინდის დამზადების წარმატებისათვის.

ადგილობრივ კომუჯრედის მდივან **ა. გერაძეს**, საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ხაზარაძეს**, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ტ. თვალთვაძეს** და კოლმეურნეობის გამგეობის წევრ **ვ. ნაცვლიშვილს** კავშირი ჰქონდათ გაბმული მეზობელ კულაკებთან, იცავდნენ მათ და ყოველ ზომებს ხმარობდნენ, რომ გაენთავისუფლებინათ ეს კულაკები ყოველგვარ დავალებათაგან.

ხსენებული ოპორტუნისტები მოხსნილნი არიან თანამდებობიდან, კომუჯრედის მდივანი გერაძე გარიცხულია საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან.

რაიკომმა თემიდან გაიწვია მიმაგრებული ამხანაგები **ტ. დუნდუა და ნადირაძე**, რომელთა საქმეც გადაცემული აქვს საკონტროლო კომისიას.

დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად და მუშაობის გასაძლიერებლად სოფ. ბაშში გაიგზავნა ახალი და უფრო გამოცდილი პასუხისმგებელი ამხანაგები.

ნ—ძე.

სოიას დამზადება პირველ დეკემბრისათვის

ცენტნერებში.

რაიონები	უნდა დამზადდეს	დამზადებულია 1 იანვრისათვის	გეგმის შესრულება %/%-ში	დამზადებულია სათესლე სოია
აფხაზეთის	6.666	1.904,3	28,6	—
კობულეთის	1.224,3	373,4	30,5	—
ბათუმის	408,1	17	4,2	—
ხულოს	204	0,2	0,09	—
ქედის	204	12,9	6,3	—
სამხრეთ-ოსეთის	489,5	32,8	6,7	—
ოზურგეთის	6.145,5	1.199,7	19,5	254,68
ლანჩხუთის	12.461	8.018,4	64,3	—
ჩოხატაურის	1.870	360,6	19,3	—
ზუგდიდის	9.691,5	6.294,6	66,1	1.327,8
წალენჯიხის	3.008,5	1.188,4	39,5	—
ცხოროწყუს	3.410	2.883,3	84,5	—
ხობის	15.198	11.809,7	77,7	—
ახალსენაკის	15.706,5	13.185,2	83,9	—
აბაშის	14.748,5	7.433,1	50,4	1.556,2
მარტვილის	4.452,5	4.515,9	101,4	—
ქუთაისის	4.303	1.530,2	35,6	671
ხონის	6.397,5	3.056,1	47,8	986,9
სამტრედიის	7.380	8.396,7	113,8	819,7
ვანის	2.144,5	782,4	28,5	362,8
ზესტაფონის	6.325	1.559,5	24,7	1.196,5
ბაღდათის	767	190,3	24,8	—
ჩხარის	1.475,5	126,7	8,6	6,5
ქიათურის	1.094,5	418,5	38,2	—
სტალინირის	300	9,9	3,3	—
გორის	420	140,9	33,5	—
კასპის	246	32,9	13,4	—
მცხეთის	66	67,4	102,1	—
ლაგოდეხის	243	—	—	—
საგარეჯოს	60,5	39,7	65,6	—
ხარაგოულის	325	234,8	44,7	—
„საქ. ჩაი“-ს მეურნეობა	2.164,5	2.058,2	95,5	—
სულ...	130400	77.873,7	59,7	7.182,1

შეცდომების გამოსწორების შემდეგ
(ოზურგეთის რაიონი)

სიმინდის დამზადება ოზურგეთის რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს.

გეგმით სულ უნდა დამზადდეს 49.050 ფუთი სიმინდი. აქედან კოლმეურნეობებში 24.050 ფუთი, შეძლებულ მეურნეობებში 25.000 ფუთი.

უკანასკნელი ცნობით დამზადებულია სულ 24.705 ფუთი რაც უდრის გეგმის 50,4 პროც.

დამზადების საქმეში წინ მიდის მაკვანეთის თემი, რომელმაც 750 ფუთიდან დაამზადა 620 ფუთი, რაც უდრის გეგმის 83 პროც. ჩამორჩნენ: დვაბზუ, ბახვი, შრომა, სილაური, გურიანთა, ჯუმათი, ნატანები, ს. ოზურგეთი, ლიხაური, ასკანა, ხვარბეთი და შემოქმედი.

სიმინდის დამზადების საქმეში ადგილი ქონდა აქა-იქ კლასიური ხაზის გამრუდებასაც; (შრომა, ლიხაური, შემოქმედი, ასკანა და სხვა). სადაც ღარიბ და საშუალო მეურნეებს აძლევდნენ მტკიცე დავალებას.

ს. კ. პ. (ბ) ოზურგეთის რაიკომმა დროზე მიიღო ზომები და შეცდომები გამოასწორა.

ადგილი ქონდა კულაკების გამოსვლებსაც (ბოხვაური); რომლებიც ეწეოდენ აგიტაციას ღარიბ გლეხობაში, რომ სიმინდი არ ჩაებარებიათ დამამზადებელ ორგანიზაციებისათვის. მიუხედავად კულაკების სისინისა, ღარიბი და საშუალო გლეხობა შეგნებულად შეხვდა სიმინდის დამზადების საკითხს. სიმინდის ჩაბარება ხდება წითელი ქარავნებით, რომელიც საზეიმო ხასიათს ღებულობს.

არ შეიძლება ყველა ამასთან არ აღინიშნოს შემდეგი გარემოება: **ნაკლები ყურადღება ექცევა სესხად გაცემულ სიმინდის აკრეფას.** ამ დარგში თითქმის სრულებით არაფერი კეთდება. (დღემდის აკრეფილია მხოლოდ 78 კილო). ამ გარემოებას აქედანვე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

ტ. ასანელი.

დამზადება გასცხოველდა

ხარაგოულის რაიონში, დეკემბრის თვის მეორე ნახევრამდის—სიმინდის და სოიას დამზადების საქმეში საგრძნობ ჩამორჩენას ჰქონდა ადგილი; მეორე ნახევარში კი დამზადებაში გარდატეხა დაიწყო.

სიმინდის და სოიას დამზადებაში დიდი აქტივობა გამოიჩინა კომკავშირის ორგანიზაციამ. 28 დეკემბერს, სოფლებიდან დაიძრნენ წითელი ქარავნები, რომელთაც მიჰქონდათ სიმინდი და სოია. ქარავნების მოწყობამ საზეიმო ხასიათი მიიღო.

28 დეკემბერს სოფ. თეთრი წყაროს სას. სამ. არტელმა (წითელი ქარავნით) დამამზადებელ ორგანიზაციას ჩააბარა 150 ფუთი სიმინდი; სოფ. საპეკვადოურის წითელი ქარავანი 25 ურმისაგან შესდგებოდა; ლეღვნის სას. სამეურნეო არტელმა დამამზ. პუნქტს ჩააბარა სიმინდის საგრძნობი რაოდენობა. სულ ერთ დღეს წითელი ქარავნების საშუალებით ჩაბარებული იქნა 1000 ფუთი სიმინდი.

ვერა გუაჩიძე.

პურეულის დამზადება ა/კავკასიაში

ა-კ ვაჭრობის კომისარიატის ცნობით. 1 იანვრისათვის ამიერ - კავკასიაში დამზადებული იყო 960,396 ცენტნერი პურეული—შესრულებული იყო დამზადების წლიური გეგმის 73,3 პროცენტი. აქედან აზერბეიჯანში დამზადებული იყო 510589 ცენტნერი პური და ქერი, შესრულებული იყო გეგმის 81 პროც., სომხეთში — 124,816 ცენტნერი პური და ქერი, შესრულებული იყო გეგმის 85,7 პროც. და **საქართველოში — 324,991 ცენტნერი პური, ქერი და სიმინდი, ე. ი. შესრულებული იყო დამზადების მთლიანი გეგმის 69,9 პროც.**

კულტურების მიხედვით დამზადება შემდეგ სურათს იძლევა: პური ამიერ - კავკასიაში დამზადებულია 479,219 ცენტნერი, ანუ გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის 76,5 პროცენტი; ქერი — 365,254 ცენტნერი, ანუ გეგმის **97,9 პროცენტი**; სიმინდი (მზადდება მხოლოდ საქართველოში) დამზადებულია 114,747 ცენტნერი, ანუ დამზადების გეგმის 36,9 პროცენტი.

რესპუბლიკების მიხედვით დამზადების გეგმის შესრულება ძალზე ჩამორჩენილია საქართველოში. ჩვენმა დამამზადებელმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები და უახლოეს მომავალში უნდა გამოასწორონ ეს ჩამორჩენა.

მრეწველობის 1931 წლის საკონტროლო ციფრები
ამონაწერი საბჭოთა კავშირის სმუ საბჭოს პრეზიდიუმის სამი იანვრის დადგენილებიდან

მოსკოვი, 5 იანვარი. საბჭოთა კავშირი შედის ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადში. 1931 წელს ძირითადად უნდა დამთავრდეს სოციალიზმის მშენებლობის სამუშაოთა ბუმბერაზული გეგმა — ხუთწლედის გეგმა.

1931 წლის გეგმა საგრძნობლად ემყარება იმ დიდ წარმატებებს, რომლებსაც მივაღწიეთ ორ განვლილ წელიწადში, როცა სათანადოთ გადავაჭარბეთ ხუთწლედის ვარაუდებს, რაც უზრუნველყოფს სოციალისტური სექტორის ძლევამოსილ წინსვლას როგორც ქალაქში, ისე სოფლად, ეს კი თავის მხრით გადაჭრით არევოლუციონერებს სოფლის ძველი ურთიერთობის მთელ წყობას და აქცევს საბჭოთა კავშირს ინდუსტრიალურ სოციალისტურ ქვეყნად.

სოციალისტურმა სახელმწიფოებრივმა მრეწველობამ ორი წლის განმავლობაში მოგვცა 30,8 მილიარდ მანეთის პროდუქცია, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 29,3 მილიარდი მანეთის პროდუქციისა.

მძიმე მრეწველობამ მოგვცა 13,8 მილიარდი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად იმ 12,5 მილიარდი მანეთის პროდუქციისა, რომელიც ხუთწლედით ორი წლისათვის იყო ნავარაუდევი.

1929-30 წელს მრეწველობის წლიურმა წარმოებამ ორჯერ გადააჭარბა ომის წინადროის წლიურ წარმოებას.

წინააღმდეგ კაპიტალისტური მსოფლიოსი, რომლისთვისაც 1930 წელიწადი, ამ მსოფლიოს ერთი მოღვაწესავე გამოთქმით, წარმოადგენდა „უბედურ წელიწადს“, წინააღმდეგ მსოფლიო კაპიტალიზმისა, სადაც, ეკონომიური კრიზისის ზეგავლენით, წარმოება განაგრძობს მკვეთრად დაცემას,—საბჭოთა ქვეყანა 1931 წელში შედის სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე ზრდის ბოლშევიკური ტემპების ახალი, უფრო მკვეთრი აჩქარების პერსპექტივით.

პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა, რომელიც ახორციელებს მუშათა მასების მიერ წამოყენებულ და პარტიის მე16 ყრილობის მიერ დადასტურებულ ლოზუნგს: „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მესამე წლისათვის იღებს ახალ, უფრო მაღალ ტემპებს.

მრეწველობას, რომელიც პირველ როლს ასრულებს მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა და საბჭოთა კავშირის სოციალისტური ეკონომიკის დამთავრების საქმეში, უდიდესი და უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა ეკისრება:

მან უნდა მოგვცეს 25 მილიარდი მანეთის საერთო პროდუქცია.

შეასრულოს 6,3 მილიარდი მანეთის კაპიტალური სამუშაოები (რაიონულ ელექტროსადგურებთან ერთად).

შეამციროს თვითღირებულება 10 პროცენტით.

გაადიდოს შრომის ნაყოფიერება (გამოტოვებულია).. პროცენტით.

გაადიდოს ხელფასი 3 პროცენტით.

წარმოების, მშენებლობისა და მრეწველობის საკონტროლო ციფრების შედგენას საფუძვლად დაედო:

1. მშენებლობაში დაბანდებულ საშუალებათა თავმოყრა უმნიშვნელოვანეს დარგებში, რათა 1931 წელს უზრუნველყოფილ იქნას მშენებელთა მაქსიმალური რიცხვის ექსპლოატაცია და ამით შეიქმნას საფუძველი 1932 წელს წარმოების უფრო სწრაფი ზრდისათვის.
2. 1933 წელს 17 მილიონი ტონა თუჯის ამოღების პროგრამის უზრუნველყოფა.
3. მძიმე მანქანათმშენებლობის დაჩქარებული გაშლა, რათა საბჭოთა წარმოების კონსტრუქციებით და მანქანებით ძირითადათ მოვამარაგოთ მშენებლობაში მყოფი მეტალურგიული ბუმბერაზები ქვა-ნახშირისა და ნავთის მრეწველობა.
4. მანქანათმშენებლობის ბაზის შექმნა და ტრანსპორტის რეკონსტრუქცია.
5. დაზგებისა და ინსტრუმენტების ბაზის გაფართოება და მანქანათმშენებლობის და ავტოტრაქტორების მრეწველობის შემდგომი გაშლა.
6. სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის და ავტოტრაქტორების მრეწველობის გაშლა, რათა მძლავრი ტექნიკური ბაზა შევქმნათ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, რომელიც სწრაფად ვითარდება და ტექნიკური კულტურების გასაშენებლად, ასაკრეფად და დასამუშავებლად მანქანების წარმოების განვითარება.
7. ქიმიისა და ფერადი მეტალურგიის ტემპების სწრაფი გაძლიერება. დღემდე ფერადი მეტალურგია შეუწყნარებლად ნელი ტემპით ვითარდება და ამით აფერხებს მთელი რიგი დარგების, განსაკუთრებით ელექტროტექნიკური მრეწველობის გაშლას.
8. სახალხო მეურნეობის სათბობ-ენერგეტიული ბაზის გაფართოება და ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შემდგომი გაშლა.

1931 წლის გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებამ უნდა მოგვცეს მრეწველობის პროდუქცია „ა“ ჯგუფის ხაზით 17 მილიარდი მანეთის, „ბ“ ჯგუფის ხაზით—8 მილიარდი მანეთის. ნამატი 1930 წელს შეადგენს 42 პროცენტს, „ა“ ჯგუფის ხაზით—58 პროცენტს, „ბ“ ჯგუფის ხაზით—17,6 პროცენტს. ამასთან მანქანათმშენებლობის პროდუქცია იზრდება 86 პროცენტით, ელექტროტექნიკის—73 პროცენტით, თუჯის რაოდენობა—52 პროცენტით, ქვანახშირისა—46 პროცენტით.

1931 წლის წარმოებისა და მშენებლობის უდიდესი გეგმა,—ნათქვამია შემდეგ დადგენილებაში,—ყველა მუშებს, დამკვრელებს, სამეურნეო მუშაკებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს უაღრეს პასუხისმგებლობას აკისრებს.

1931 წლის გეგმის წარმატებით განხორციელება მოითხოვს არა მარტო იმას, რომ მივაღწიოთ წარმოების გათვალისწინებულ ოდენობას, არამედ გადამწყვეტ ბრძოლასაც გეგმის ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის (შრომის ნაყოფიერების გადიდება, თვითღირებულების შემცირება), პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა სამრეწველო ფრონტის სათბობი და მეტალურგიული ნაწილის ამოცანა. დონბასის, ურალის, მოსკოვის და კუზნეცკის რაიონების სამთამადნო მუშების, დონბასის და ურალის მეტალურგების, ბაქოს და გროზნოს ნავთის მრეწველობის მუშების და ტორფის მრეწველობის მუშაკების თავგამოდებულ მუშაობაზეა დამოკიდებული მთელი სამრეწველო გეგმის წარმატება. ამოცანები ამ დარგებში მით უფრო სერიოზულია, რომ მიუხედავად წარმოების დიდი ზრდისა ამ დარგში გასულ წელთან შედარებით, განსაკუთრებული კვარტალის გეგმა მათ ვერ შეასრულეს.

ამოღების გეგმის შესრულება, ღუმელების და სატკეცი დაზგების მექანიზმის სრული გამოყენება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების დარგში მოცემულ დავალებათა აუცილებლად შესრულება, დონბასში ქვა-ნახშირის მექანიკური ამოღების ოდენობის აყვანა მთელი ამოსაღები რაოდენობის არანაკლებ 80 პროცენტამდე, „აღმოსავლეთის ქვანახშირში“—42 პროცენტამდე, მოსკოვის რაიონში—52 პროცენტამდე, მძიმე მოხრილი მანქანის დატვირთვის აყვანა დონბასში—2.860 ტონამდე ყოველთვიურად, ურალში—2.150 ტონამდე, კუზბასში—4.000 ტონამდე. შავი მეტალურგიის ხაზით ბრძმედების გამოყენების კოეფიციენტის და ოდენობის აყვანა 1,25-მდე სამხრეთში და 1,20-მდე ურალზე (ნომინალური სათბობით),—ასეთია ძირითადი საბრძოლო ამოცანები.

გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს სატყეო მრეწველობის მთელი მუშაობა, მით უფრო, რომ მან განსაკუთრებული კვარტალის გეგმა არადამაკმაყოფილებლად შეასრულა. სატყეო მრეწველობის წარმატებით მუშაობაზე საგრძნობლად არის დამოკიდებული საამშენებლო გეგმის წარმატება.

ხუთწლედის ორი პირველი წლის წარმატებებს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა მიაღწია არა „თვითმდინარეობის“ საფუძველზე, არამედ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლისა და სიძნელეთა გადალახვის შედეგად. 1932 წლის გეგმაც არ შეიძლება „სტიქიურად“ განხორციელდეს. მისი შესრულების გზაზე აღმართულია ზრდის დიდი სიძნელენი.

ახალი შრომით აღტყინების საფუძველზე, რაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს 1931 წლ. შემდგომმა, უფრო დიდი მიღწევების პერსპექტივამ სოც. შეჯიბრების, დამკვრელობის და შემხვედრი საფ.-სამრეწველო გეგმის შემდგომი გაშლის საფუძველზე — უნდა იყოს აღებული ყველა სამეურნეო მუშაკების მუშაობა. უამისოდ არ შეიძლება სიძნელეთა გადალახვა, არ შეიძლება 1931 წლის გეგმის შესრულების უზრუნველყოფა.

სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის ტემპების შემდგომი გადიდება, რომელთა წარმატებით გადალახვა მოითხოვენ მთელი მრეწველობის მუშაობის ხარისხის შემდგომ არსებით გაუმჯობესებას, სამეურნეო აპარატის ყველა საფეხურების მუშაობის ტემპების გაძლიერებას, შეუპოვარ და გადამწყვეტ ბრძოლას დეფექტებთან, რომლებსაც მრეწველობის მუშაობაში აქვს ადგილი.

განვლილი წლის, კერძოდ, უკანასკნელი კვარტალის გამოცდილება გადაჭრით გვიჩვენებს, რომ მუშაობის საჭირო ტემპი წლის დასაწყისიდანვე უნდა იქნას აღებული. აუცილებელი ღონისძიებანი, რომლებიც ამ ტემპს უზრუნველყოფენ, უნდა დამუშავდეს და გატარდეს პირველ კვარტალშივე, რომლის გეგმა, წლიურ გეგმასთან ერთად, მთავრობამ დაამტკიცა. გეგმის წარმატებით განხორციელება მოითხოვს, რათა ბრძოლა სწარმოებდეს არა საერთოდ წლიური გეგმისათვის, არამედ თვითეული თვის და თვითეული დღის მუშაობის კონკრეტული გეგმისათვის. პირველი კვარტალის გეგმის უდავოდ შესრულება ჰქმნის პირობებს შემდგომი გაშლილი ბრძოლისათვის გეგმის მთლიანად განსახორციელებლად.

სოციალისტურ მრეწველობას დასახულ გეგმის შესასრულებლად უდიდესი რეზერვები გააჩნია.

სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ახალი ტალღა უნდა გადაიქცეს წყაროდ უფრო მეტი მიღწევებისათვის 1931 წელს.

სამეურნეო მუშაკებო, დამკვრელებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, გაშალეთ თავგამოდებული მუშაობა, აწარმოეთ ბრძოლა საბჭ. კავშირის სოციალისტ. ეკონომიკის საძირკვლის დასამთავრებლად! (ადს).

დაუზოგავად ამოვსწყვიტოთ
კონდრატიევის კუდებს საქართველოში

პედაგოგიურ ინსტიტუტის კათედრათა საერთო კრების რეზოლიუცია

საქ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრათა გაერთიანებულ კრებამ, სტუდენტებთან ერთად, მოისმინა ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ივ. ვაშაყმაძის მოხსენება კონდრატიევშჩინის შესახებ.

სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრათა გაერთიანებული კრება სტუდენტებთან ერთად, აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის და ლენინური ცეკას სწორი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით, უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

ხუთწლიანი გეგმის ორი წლის შედეგებმა დაანახა მსოფლიო ბურჟუაზიას, რომ საბჭოთა კავშირის სოც. მშენებლობის 5 წლიანი პრაქტიკული გეგმა რეალური საქმეა.

ისტორიულად განწირული კლასები ნეპმანები, კულაკები და ანტი-საბჭოთა პარტიები ქმნიან მთლიან ფრონტს და სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის განვითარებას. მომაკვდავი კლასები, მსოფლიო მტაცებლების დახმარებით, ცდილობენ შეაჩერონ ჩვენი მშენებლობა, რათა არსებობის კიდევ რამდენიმე წელი შეინარჩუნონ.

განადგურებული, მიწამდე განწირული კონტრრევოლუციონური ძალებმა ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ შეცვალეს თავიანთი სამოქმედო გეზი და იწყეს ფარული, მავნებლური—საზიანო მოქმედება. კონტრრევოლუციონურ ძალებმა და მათ შორის მტრულად განწყობილმა მეცნიერულმა ძალებმა დაიწყეს შეგუება ახალ პირობებისადმი და ცდილობდნენ პარტიის ახალი ეკონომიური პოლიტიკა გამოეყენებინათ თავიანთი მავნებლური—რესტავრაციული მიზნებისათვის.

იმ დროს, როდესაც ჩვენი სახალხო მეურნეობა აღდგენითი პერიოდიდან გადადიოდა რეკონსტრუქციის პერიოდში, როდესაც მუშათა კლასი და ღარიბი და საშუალო გლეხობა აწარმოებდა სისტემატიურ—ენერგიულ მუშაობას მსხვილი კოლექტიური მეურნეობის შექმნისათვის, მავნებლები კონდრატიევის, გრომანის, რამზინის და სხვების სახელით ქადაგებდნენ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის შეუძლებლობას; მასებს ურჩევდნენ არ გაერთიანებულიყვნენ კოლმეურნეობებში; ამტკიცებდნენ კულაკური მეურნეობის უპირატესობას და მოითხოვდნენ არ ეწარმოებიათ ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ. მათი კონტრრევოლუციონური მუშაობა კიდევ უფრო შორს წავიდა. ისინი კავშირს იჭერდნენ უცხოეთის სახელმწიფოებთან და საზღვარგარეთ გაქცეულ ემიგრანტებთან, საბჭოთა კავშირში აწყობდნენ მავნებლურ ორგანიზაციებს, რომ ნიადაგი მოემზადებინათ კაპიტალიზმის აღდგენა-რესტავრაციისათვის.

კონდრატიევშჩინის და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების (სამრეწველო პარტია, გლეხთა პარტია და სხვ.) აქტივიზაციას ხელი შეუწყო პარტიის ზოგიერთ მერყევ პირების გამოლაშქრებამ პარტიის ცეკას წინააღმდეგ. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტებმა გაილაშქრეს პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ გადამწყვეტ მომენტში—ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საკითხში. მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები მოითხოვდნენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას, რაც ბუნებრივად ნიშნავდა კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებას. მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრის ხაზი აშკარად მიუძღოდა პროლეტარიატის დიქტატურაზე ხელის აღებამდე. მავნებლები, კონდრატიევ-გრომანი და კომპანია, ერთის მხრივ, და „სამრეწველო პარტია“—რამზინის მეთაურობით, მეორე მხრივ, დიდ იმედს ამყარებდნენ პარტიაში არსებულ უთანხმოებაზე და დავაზე. მუშათა კლასმა შრომითი ენტუზიაზმის გადიდებით რისხვა დაატეხა მავნებლებს. მუშათა კლასი, პარტიის ხელმძღვანელობით, შეუპოვრად წინ მიიწევს ახალ გამარჯვებებისაკენ.

კრება აღნიშნავს, რომ კონდრატიევშჩინას ადგილი აქვს საქართველოშიაც. კერძოდ სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტის მუშაობის პირობებში ადგილი აქვს კონდრატიევშჩინის კონკრეტულ გამოხატულებას.

პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაობის ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოამზადოს ახალი კადრები—მასწავლებლები, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს. ამიტომ პედაგოგიურ ინსტიტუტმა ჩვენს ქვეყანას უნდა მისცეს იდეოლოგიურად მტკიცე გამობრძმედილი, მარქსისტულად მოაზროვნე ახალგაზრდები. პედაგოგიურ ინსტიტუტმა უნდა აღზარდოს და გამოუშვას მტკიცე ნებისყოფის მქონე მებრძოლნი საზოგადოებრივი თვალსაზრისით მუშაკები. პედაგოგიურ ინსტიტუტმა პროლეტარულ ახალგაზრდობას უნდა მისცეს მეცნიერული განათლება—მარქსიზმის პრინციპებზე. პედაგოგიურ ინსტიტუტმა უნდა მოგვცეს სოციალისტური მშენებლები და განსაკუთრებით კულტურული რევოლუციის მებაირახტრეები. ყოველივე ამას პედ. ინსტიტუტი შესძლებს თუ ის უზრუნველყოფილი იქნება მარქსისტული მეცნიერული ძალებით, თუ მოზარდი თაობის აღმზრდელთა მოსამზადებლად გვეყოლება მარქსიზმის და ლენინიზმის რევოლუციონური თეორიით და პრაქტიკით შეიარაღებულნი მეცნიერული მუშაკები. იდეალისტურად მოაზროვნე პროფესორები, კომუნისტურ პარტიასთან და ხელისუფლებასთან მტრულად განწყობილი მუშაკები, ვერ შესძლებენ ამ ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობის მიღებას.

პროფ. ჯავახიშვილი, პროფ. წერეთელი, პროფ. უზნაძე, დოც. კოტეტიშვილი, დანელია და მათი მსგავსნი, რომლებიც გაჟღენთილი არიან იდეალისტური სოფლმხედველობით, ნაციონალიზმით, სარწმუნოებრივი ფანატიზმით, რომელთათვის მარქსიზმი—ლენინიზმი არარას წარმოადგენს, ვერ შესძლებენ კულტურული რევოლუციის დიდი ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობის მიღებას.

კრებას დაუშვებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ პროფესორ ივ. ჯავახიშვილმა და პროფ. გრ. წერეთელმა იცოდნენ, რომ პედ. ინსტიტუტის კათედრათა გაერთიანებულ კრებაზე იქნა მოხსენება კონდრატიევშჩინის შესახებ, მაგრამ ისინი ასეთ მეტად საპასუხისმგებლო და საზოგადოებრივ მნიშვნელობის კრებაზე არ გამოცხადდნენ, რაც უდავოთ ერთხელ კიდევ ნათელყოფს იმ გარემოებას, რომ ისინი აშკარად მტრულად არიან განწყობილნი მუშათა კლასის მიმართ. მათი არ გამოცხადებით ერთხელ კიდევ გამოხატეს აშკარა პოლიტიკური საბოტაჟი. პროფ. ჯავახიშვილი წინააღმდეგია უნივერსიტეტის რეორგანიზაციისა და იდეურად ხელმძღვანელობს მემარჯვენე პროფესორთა ნაციონალისტურ ჯგუფს. პროფ. ჯავახიშვილი წინააღმდეგი იყო და არის მარქსისტული ძალების დაშვებისა და პროლეტარულ სტუდენტებიდან მეცნიერულ ძალების დაწინაურებისა. გარდა ამისა ჯავახიშვილის ისტორიული ნაშრომები გამოხატავენ ავტორის ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ იდეოლოგიას. მათ ახასიათებს ის ქვემძრომი ემპირიზმი, რომელიც ბურჟუაზიულ იდეოლოგიამ დაუპირისპირა რევოლუციონურ-მარქსისტულ—ლენინურ დიალექტიკას, „ქართველი ერის ისტორიაში“ ის ცდილობს ფეოდალური წარსულის იდეალიზაცია შემოგვთავაზოს, მას ავიწყდება ნამდვილი ისტორია, ე. ი. ნამდვილი მასიური კლასიური მოძრაობა. ის აღმერთებს მეფეებს და მათ ავაჟკაცებს, თითქოს ისტორია მათ მიერ იყოს შექმნილი. ასეთი „მეცნიერება“ პროლეტარულ ახალგაზრდობას ვერ დააკმაყოფილებს.

სრულიად მიუღებელია პროფ. გრ. წერეთლის ნაშრომები და მისი მოქმედებანი. კრება ღრმა აღშფოთებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ პროფ. გრ. წერეთელი მეცნიერებას უქვემდებარებს სარწმუნოებას თავისი ღვთისმორწმუნეობით და ჯვრის ტარებით. ის „მეცნიერულ აგიტაციას“ ეწევა ახალგაზრდობაში რელიგიის სასარგებლოდ. როგორც ნამდვილი „მეცნიერი“, ის არ იცნობს მარქს-ენგელსის და ლენინის ნაწარმოებებს, რითაც მათ არამეცნიერებათ აცხადებს, მისი მეთოდოლოგია უსულგულო ფორმალიზმს წარმოადგენს, იდეოლოგიურად ის არის ძველი ფეოდალური ქვეყნის შვილი, რასაც თვითონ აშკარად აღიარებს. პროფ. წერეთელს, როგორც მას არა ერთხელ განუცხადებია კომკავშირისა და პროფორგანიზაციებისათვის ახალი წესწყობილების არაფერი არ სწამს.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს პროფ. პოლიევქტოვის სრულიად მიუღებელ გამოსვლას, რომელშიაც მან ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი კადეტური ბუნება და შეეცადა გაეკრიტიკებია პროლეტარული დიქტატურა თვალთმაქცურ ბურჟუაზიული დემოკრატიის თვალსაზრისით.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ პროფ. დ. უზნაძემ არც ერთი სიტყვა არ სთქვა თავისი დამოკიდებულების შესახებ კონდრატიევშჩინასთან. მეცნიერ მუშაკთა ერთი ნაწილი კრებაზე დასმულ პოლიტიკურ საკითხს დუმილით შეხვდა და შეეცადა დაემტკიცებიათ თავისი ძველი შეხედულებები. მაგ., დანელია შეეცადა დაეცვა „სინიდისის ფილოსოფია“, უზნაძე ანვითარებდა იდეალისტურ მსოფლმხედველობას, რის გამო კრება არ კმაყოფილდება აღნიშნულ მუშაკების გამოსვლებით.

კრება ვერ დააკმაყოფილა დოც. კოტეტიშვილის გამოსვლამ. კოტეტიშვილი ნაცვლად იმისა, რომ ეღიარებინა თავისი შეცდომები—მოყვა თავის ბიოგრაფიას იმის შესახებ, თუ როგორ „იცნო“ მან ოქტომბრის რევოლუცია, როგორ „იბრძოდა“ თოფით ხელში და სხვა. კოტეტიშვილი კვლავ გაჟღენთილია ვიწრო ნაციონალიზმით და რჩება თავის ძველ პოზიციაზე.

კრებას სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია აგრეთვე პროფ. ყაუხჩიშვილის გამოსვლა, რომელმაც სრულიად აუქცია გვერდი დასმულ პოლიტიკურ კითხვას და ცდილობდა აუდიტორიის მოტყუებას თითქოს ლაბორატორიულ მეთოდის მიღება სავსებით საკმარისი იყოს დადებითი პოლიტიკური კვალიფიკაციისათვის. ყაუხჩიშვილმა არაფერი სთქვა თავის დამოკიდებულებაზე პროფ. ივ. ჯავახიშვილთან, რაც უნდა იქნას შეფასებული, როგორც მისი სრული ლოიალობა უკანასკნელის მიმართ.

ბ. რამიშვილის გამოსვლა წარმოადგენს დიდ ნაბიჯს წინ, შედარებით მის ფინანსიურ კოოპერატიულ ინსტიტუტში გამოსვლასთან.

კრებას დამაკმაყოფილებლად მიაჩნია აგრეთვე პროფ. კეკელიძის და პროფ. გ. ნათაძის გამოსვლები, ისინი საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე ეწევიან ენერგიულ მუშაობას, ისინი ფიცს სდებენ, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის მეთოდის გამოყენებით აღზრდიან ახალ კადრებს. კრება მოითხოვს მათგან მათი განცხადების გატარებას პრაქტიკაში, ე. ი. თავიანთ აქტიურ მუშაობაში სოციალისტურ მშენებლობის კადრების აღზრდის ფრონტზე.

კრება აღშფოთებით აღნიშნავს პროფ. ა. შანიძის განცხადებას მის შემდეგაც, რაც კრებაზედვე გამოირკვა მისი აშკარა ნაციონალისტური ტენდენციები და, აღნიშნული იყო აგრეთვე მისი ფორმალისტური მეთოდი.

პროფ. ჩიქობავამ, ბერძენიშვილმა, დოც. თოფურიამ და ჯანაშიამ, (ამ უკანასკნელმა საბოლოოდ მაინც ვერ დასძლია თავისი ძველი პოზიცია) დამაკმაყოფილებელი და გარკვეული პასუხი ვერ გასცეს აუდიტორიის წინაშე დასმულ საკითხებს, რის გამო კრებამ საკმაოდ არ მიიჩნია მათი გამოსვლები. თოფურია, ჩიქობავა, ბერძენიშვილი და სხვები შეეცადნენ აუდიტორია გამოეყენებიათ თავიანთი არამარქსისტული იდეების დასაცავად, მათ არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ თავიანთი შეხედულებების შესახებ კონდრატიევშჩინაზე.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს პროფ. ბერიტაშვილის გამოსვლას და მის მიერ იმის აღიარებას, რომ ის უდიდეს საჭიროებად სცნობს მატერიალისტურ დიალექტიკის შესწავლას და მის გამოყენებას ფიზიოლოგიაში.

კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ე. წ. ჭაობში მოქცეული პროფესორები ჩუბინაშვილი, ბენაშვილი, გ. ჯავახიშვილი, დიდებულიძე, ჯანელიძე და სხვები დუმილით შეხვდნენ კრებაზე დასმულ პოლიტიკურ კითხვებს. კრება მოითხოვდა მათგან გარკვეულ პასუხს—არის თუ არა მათი დუმილი მათი პოლიტიკური ფიზიონომიის ნიღაბი, თუ ისინი აპირებენ ჩვენთან მუშაობას? თავიანთი დუმილით მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მათ არ სურთ საკუთარი პოლიტიკური ფიზიონომიის გამომჟღავნება, რაც კრებას აძლევს საფუძველს მათი პოლიტიკური ფიზიონომია უარყოფითად შეაფასოს.

კრება მოუწოდებს ყველა მეცნიერულ მუშაკებს, პროლეტარულ სტუდენტობას უფრო გაამახვილონ კლასობრივი სიფხიზლე კონდრატიევშჩინის კონკრეტულ გამოხატულებასთან პრაქტიკაში. აწარმოონ ყოველდღიური და დაუნდობელი ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის ახალი კადრების მომზადებას. პროლეტარული სტუდენტობა სიტყვას იძლევა, რომ ის კათედრებთან გამართულ მეცნიერულ დისპუტში საბოლოოდ გამოამჟღავნებს პროფესურას და მეცნიერულ მუშაკების ნაშრომების ყალბ—არა მარქსისტულ ადგილებს.

პროლეტარული სტუდენტობა ბოლშევიკურად დაარტყამს მუშათა კლასის და სოციალისტური მშენებლობის დაუძინებელ მტრებს.

მეცნიერული მუშაკთა ერთი ნაწილი იმედოვნებს, რომ ისინი პრაქტიკული მუშაობით დაამტკიცებენ თავიანთ ერთგულებას და თავდადებას სოც. მშენებლობისადმი. მეცნიერული მუშაკების ერთი ჯგუფი აღნიშნავს, რომ დღევანდელ პერიოდში, როდესაც გამწვავებულია კლასობრივი ბრძოლა, მიუღებლად უნდა ჩაითვალოს არა მარტო განზე დგომა, არამედ ლოიალურ პოზიციაზე დგომაც. ოქტომბრის რევოლუციის 13 წლისა და საქ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავზე ყოვლად მიუტევებელია განზე დგომის და დუმილის პოლიტიკა. ორში ერთი: ან პროლეტარულ დიქტატურასთან და მასთან თანამშრომლობა, ან მის წინააღმდეგ. სხვა გზა არ არსებობს.

გაუმარჯოს მარქსისტულ მეცნიერებას!

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებლებს!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!

გაუმარჯოს საქ. კ.პ .(ბ) ცეკას და პარტიის ბელადს, ლენინის ერთგულ მოწაფეს ამხ. სტალინს!

დისპუტი კონდრატიევშჩინის შესახებ
საქ. პედაგოგიურ ინსტიტუტში

ამასწინად საქართველოს სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში შესდგა დისპუტი კონდრატიევშჩინის შესახებ საქართველოში. ინსტიტუტის დირექტორის — ამხ. ივ. ვაშაყმაძის მოხსენებამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც მეცნიერულ მუშაკებში, ისე პროლეტარულ სტუდენტებში. ამ გარემოებას მოწმობს ის ფაქტი, რომ დისპუტი ოთხი დღე გაგრძელდა. დისპუტის დროს სტუდენტთა კლუბში ტევა აღარ იყო. დისპუტზე მოსულნი, რომლებიც ადგილს ვერ შოულობდნენ, კორიდორებში იდგნენ, ბევრი უკან ბრუნდებოდა.

დისპუტზე გამომჟღავნდა, რომ მეცნიერული მუშაკების ერთი ნაწილი მტრულად არის განწყობილი პარტიისა და ხელისუფლებისადმი; მეორე ნაწილი კი სდუმს, პოლიტიკურ პასივობას იჩენს; ეს პასივობაც, როგორც ამხ. ი. ვაშაყმაძემ აღნიშნა — თავისებური პოლიტიკური აქტივობაა. მესამე ნაწილია — მემარცხენე პროფესურა, რომელიც ახლო დგას ხელისუფლებასთან და აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალისტურ მშენებლობაში.

ამხ. ივ. ვაშაყმაძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ, როგორც პროფესორები, დოცენტები, ისე პროლეტარული სტუდენტები. მრავალრიცხოვანი აუდიტორია დიდი ინტერესით ისმენდა თვითეულ ორატორს და აძლევდა მათ საქმიან რეპლიკებს.

მიუხედავად მომხსენებლისა და თვით აუდიტორიის მიერ გარკვევით დასმულ საკითხებისა, კამათში გამოსულ ზოგიერთი პროფესორები და დოცენტები თავიანთ სიტყვებს სხვა მიმართულებით ამახვილებდნენ. ისინი გვერდს უვლიდნენ პოლიტიკურ საკითხებს და ასაბუთებდნენ თავიანთი ნაშრომების საფუძვლიანობას. დისპუტზე გამოირკვა, რომ მეცნიერების ერთი ნაწილი არ იცნობს მარქსიზმს, ან მტრულად არის განწყობილი მარქს - ლენინიზმისადმი. მეცნიერულ მუშაკების დიდი ნაწილი კვლავ გაჟღენთილია ნაციონალიზმით, იდეალიზმით, რელიგიით და სხვ.

პროლეტარულ სტუდენტობამ თავიანთი ღრმა აღშფოთება გამოსთქვა იმის გამო, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილმა და პროფ. გრ. წერეთელმა იცოდნენ, რომ პედაგოგიურ ინსტიტუტში იმართებოდა დისპუტი კონდრატიევშჩინის შესახებ, მაგრამ ისინი არ დაესწრნენ მას. თავიანთი არ მოსვლით მათ ერთხელ კიდევ ნათელყვეს, რომ ისინი აშკარა მემარჯვენე პროფესორებია, რომ ისინი მტრულად უყურებენ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას. მათი არ მოსვლა იყო პოლიტიკური საბოტაჟი კრების.

კამათში გამოსულ ამხ. თავზარაშვილმა და ამხ. ს. ყალიჩავამ და შემდეგ მომხსენებელმა თავის საბოლოო სიტყვაში დაასაბუთეს ის აზრი, რომ პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“, არ არის მეცნიერულად დამუშავებული ისტორია. ის წარმოადგენს ისტორიული ფაქტების გროვას. გარდა ამისა ჯავახიშვილის მეთოდოლოგია არ არის მისაღები, რადგან ის არის ფორმალისტური - იდეალისტური. ჯავახიშვილის ისტორია გაჟღენთილია ნაციონალიზმით.

ამხ. გ. თავზარაშვილმა სამართლიანად შენიშნა, რომ ჯავახიშვილის ისტორიოგრაფია და მთელი მისი მეთოდოლოგია ჩამორჩება არა მარტო თანამედროვე ისტორიულ მეცნიერულ მეთოდოლოგიას, არამედ პროფ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგია ბევრად უკან დგას ვინმე საფრანგეთის „რესტორაციის“ ხანის ისტორიკოსების მეთოდოლოგია.

ამხ. ყალიჩავამ სწორად შენიშნა, რომ „ქართველი ერის ისტორია“ ღვთის მეტყველებას უფრო წარმოადგენს, ვინემ მეცნიერულ ნაშრომს — ერის ისტორიას. პროფ. ჯავახიშვილი და პროფ. წერეთელი, როგორც დახასიათებულ იყვნენ კამათში გამოსულ ორატორების მიერ, ძველი კლასის, ფეოდალური ურთიერთობის წარმომადგენლებია. პროფ. ჯავახიშვილის და პროფ. წერეთლის ნაშრომები მიუღებელია პროლეტარული ახალგაზრდობისათვის.

აუდიტორია ღრმა აღშფოთებით შეხვდა პროფ. არ. ხარაძის დემაგოგიურ და პროვოკაციულ გამოსვლას. აუდიტორიამ მას საკადრისი პასუხი გასცა.

ასეთივე იყო პროფ. ს. დანელიას გამოსვლა. ის შეეცადა დაეცვა თავისი „სინიდისის“ ფილოსოფია, თავისი იდეალისტური მსოფლმხედველობა და არც ერთი სიტყვა არ სთქვა თავისი პოლიტიკურ დამოკიდებულებაზე პარტიისა და ხელისუფლებისადმი; დანელიამ ეს საკითხი მიჩქმალა და შეეცადა აუდიტორია გამოეყენებია თავისი—ყალბი არამარქსისტული შეხედულებების დასაცავად, მაგრამ ამაოდ. დანელიას გამოსვლამ აღშფოთება დაიმსახურა აუდიტორიაში.

დოც. ვ. კოტეტიშვილი, იმის მაგიერ, რომ მას აღიარებინა თავისი შეცდომები, მოყვა თავის ბიოგრაფიას, იმას თუ როგორ „იცნო“ მან ოქტომბრის რევოლუცია, როგორ „იბრძოდა“ თოფით ხელში და სხვ. კოტეტიშვილი შეეცადა უარეყო შეცდომები, რომელიც აღნიშნა მომხსენებელმა, ე. ი. რომ კოტეტიშვილის მეთოდოლოგია არ არის მარქსისტული, რომ მისი ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ნაციონალისტური სულით არის გაჟღენთილი და სხვ. კამათში გამოსულ სტუდენტმა მელიძემ აუდიტორიას დაუმტკიცა, რომ კოტეტიშვილის მეთოდოლოგია არა მარქსისტულია და რომ მისი „ნაშრომი“ შეიცავს ნაციონალიზმს.

კრება კმაყოფილებით შეხვდა ამხ. ბ. რამიშვილის გამოსვლას. ამას წინად ის გამოვიდა საქ. სახ. საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტში გამართულ დისპუტზე. მისი განცხადება იქ იყო სრულიად არადამაკმაყოფილებელი. პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართულ დისპუტზე რამიშვილმა გულახდილად აღიარა თავისი იდეოლოგიური ქანაობა წარსულში და განაცხადა, რომ „კონდრატიევშჩინას ყველაზე მეტი იდეური და ორგანიზაციული კავშირი აქვს მენშევიზმთანაო“. ამხ. ბ. რამიშვილმა განაცხადა, რომ „ის ყოველმხრივ იმიჯნება თავისი ძველი შეხედულებებისაგან და დგება რევოლუციონური მარქსიზმ - ლენინიზმის საფუძველზე. რამიშვილმა აღიარა, რომ „ერთად ერთი ლენინიზმი არის იმპერიალისტური ეპოქის ორთოდოქსალური მარქსიზმი“-ო. კამათში გამოსული ამხანაგები ესალმებოდნენ ბ. რამიშვილის გამოსვლას და მოითხოვდნენ, რომ მან საქმით, ე. ი. პრაქტიკული მუშაობით, დაამტკიცოს თავისი სიტყვები. კრება მოითხოვდა, რომ ამხ. ბ. რამიშვილმა აქტიურად უნდა იბრძოლოს მენშევიზმის წინააღმდეგ.

დამაკმაყოფილებელი იყო პროფ. კეკელიძის და პროფ. ნათაძის გამოსვლები. მათ აღიარეს თავიანთი შეცდომები და სიტყვა დასდეს, რომ ისინი თავიანთ მეცნიერულ მუშაობაში მოიმარჯვებენ დიალექტიკურ მატერიალიზმს. პროფ. კეკელიძე და პროფ. ნათაძე აქტიურად არიან ჩაბმული ჩვენი ქვეყნის სოც.მშენებლობაში, ემხარებიან ინსტიტუტის დირექციას ყოველგვარ მუშაობაში. პროფ. კეკელიძეს აქვს შეცდომები მეთოდოლოგიაში, მაგრამ ის ცდილობს ამ შეცდომების გამოსწორებას.

კამათში გამოსულ ალ. წერეთელმა დაგმო თავისი წარსული და აღიარა, რომ ის გულწრფელად იმუშავებს სოც.მშენებლობის ფრონტზე.

პროფ. დიტო უზნაძემ არაფერი სთქვა კონდრატიევშჩინაზე, არაფერი არ სთქვა, თუ როგორ უყურებს ის საბჭოთა ხელისუფლებას, როგორია იყო მისი პოლიტიკური წარსული. პროფ. დიტო უზნაძემ მიჩქმალა ეს პოლიტიკური საკითხები. ის ანვითარებდა იდეალისტურ მსოფლმხედველობას და მას უპირდაპირებდა მარქსიზმს.

ამხ. გ. თავზარაშვილმა დაასაბუთა, რომ დ. უზნაძის „ბიოსფერიული“ თეორიას, არავითარი კავშირი არა აქვს მატერიალიზმთან და არ ჩაითვლება თანამედროვე მეცნიერული ფსიქოლოგიის რაიმე მიღწევად. უზნაძის ფსიქოლოგიური კონცეპცია არის იდეალისტურ - ეკლექტიური - ემპირიული ფსიქოლოგიის ერთ ერთი სახე.

პროფ. შ. ნუცუბიძემ დაიცვა თავისი იდეალისტური მსოფლმხედველობის გამართლება, მაგრამ დისპუტზე დამარცხდა. მან ვერ მიიპყრო აუდიტორიის ყურადღება. ამხ. ვაშაყმაძემ სწორად შენიშნა: „თუ პროფ. შ. ნუცუბიძე ასე განაგრძობს გზას, ე. ი. პოლიტიკაში დარჩა საბჭოთა პლატფორმაზე, იდეოლოგიაში კი იდეალისტი—ის ისეთივე გარიყული დარჩება ოქტომბრის რევოლუციიდან, როგორც ბოგდანოვი“-ო.

დისპუტზე ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ პროფ. ჯავახიშვილის მოწაფეები: დოც. თოფურია, ბერძენიშვილი, ჩიქობავა, ჯანაშია და სხვ. დოც. ჯანაშიამ ჯავახიშვილის ჯგუფში ვითომ ერთგვარი დისონანსი შეიტანა. სხვებთან შედარებით ჯანაშიამ მეტი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ იგი საბოლოოდ მაინც დარჩა თავის ძველ პოზიციაზე. ჯავახიშვილის მოწაფეებს არც ერთი სიტყვა არ უთქვამთ ჯავახიშვილთან დამოკიდებულების შესახებ.

პროფ. ყაუხჩიშვილმა გვერდი აუხვია დასმულ პოლიტიკურ საკითხებს; ის თვალთმაქცურად იქცევა. ის ჯავახიშვილთანაც არის და ინსტიტუტის დირექციასთანაც. ყაუხჩიშვილის თვალთმაქცობა აუდიტორიამ უარყოფითად შეაფასა. მან გარკვეული პასუხი ვერ გასცა აუდიტორიას პროფ. ივ. ჯავახიშვილთან დამოკიდებულების და თავისი მომავალი მუშაობის შესახებ.

პროფ. აკ. შანიძემ თავის სიტყვაში ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ის გაჟღენთილია ნაციონალისტური სულისკვეთებით და დგას თავის ფორმალისტური მეთოდის პოზიციაზე. აკ. შანიძის გამოსვლამ აღელვა აუდიტორია; ის დემაგოგიით და ცილისწამებით გამოვიდა აკადემიკოს ნიკო მარის წინააღმდეგ. პროფესორი აკ. შანიძის გამოსვლა შეფასებულ იქნა აუდიტორიის მიერ გადაჭრით უარყოფითად.

პროფესორების ერთი ნაწილი, ეგრედ წოდებული „ჭაობი“ დუმილით შეხვდა გამართულ დისპუტს. პროფ. ჩუბინაშვილი, ბენაშვილი, გ. ჯავახიშვილი, დიდებულიძე და სხვები არ შეეცადნენ გამოსულიყვნენ კრებაზე, სიტყვა ეთქვათ და თავიანთი პოლიტიკური სახე დაეხატნათ აუდიტორიისათვის. მაგრამ სწორედ ასეთი სიჩუმით მათ თავიანთ გამოაშკარავეს თავიანთი ფიზიონომია.

აღსანიშნავია პროფ. ახვლედიანის განცხადება. მან მოუწოდა პროფესურას, რომ დაემშვიდობონ ანტიბოლშევიკურ, ანტიმარქსისტულ მსოფლმხედველობას და შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან ენერგიულ თანამშრომლობას. პროფ. ახვლედიანმა განაცხადა, რომ ის კომუნისტური აკადემიის დროშის ქვეშ ენერგიულად იმუშავებს ენათმეცნიერების დარგში და მოუწოდა მისი კათედრის წევრებს მასთან ერთად დადგნენ კომუნისტური აკადემიის დროშის ქვეშ.

კამათის შემდეგ კრებამ მოისმინა ამხ. ივ. ვაშაყმაძის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუცია.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ გამოვიდა ამხ. მოსე გოგობერიძე და თავი დამკვრელად გამოაცხადა. გარდა ამისა დამკვრელად გამოაცხადეს თავიანთი თავი: ამხ. ვ. რამიშვილმა, პროფ. ახვლედიანმა, ჯანაშიამ, პრ. ბეჭიამ, ბაქრაძემ, პოლიევქტოვმა, გოკიელმა, მელიძემ და სხვ. ისინი აცხადებდნენ, რომ ხელს შეუწყობენ ახალი კადრების მომზადებას, სამოსწავლო წლის ბოლომდი დაწერენ სახელმძღვანელოებს, რომლებიც დამუშავებული იქნება დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდით და იდეოლოგიურად იქნება მთლიანად გამართლებული.

დისპუტმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინა როგორც მეცნიერულ მუშაკებზე, ისე პროლეტარულ ახალგაზრდობაზე. გამოითქვა აზრი, რომ მსგავსი დისპუტები მოწყობილ იქნეს კათედრებთან.

წელს ინსტიტუტის დირექციამ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა. დისპუტების ხშირად მოწყობა მეცნიერების ცალკე დარგებში ხელს შეუწყობს ერთის მხრივ ჩვენი მეცნიერული მუშაკების ნაშრომების იდეოლოგიის გამომჟღავნებას და მეორე მხრივ მაღლა აწევს პროლეტარულ სტუდენტობის თეორიულ დონეს.

დისპუტმა გამოამჟღავნა, რომ საბჭოთა ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები მომზადებული არიან არა მარტო პოლიტიკურად არამედ აკადემიურადაც. დისპუტზე გამოსულ ძველმა პროფესურამ იდეოლოგიური და აკადემიური დამარცხება იგემა.

ა. ქ—ძე

კომკავშირის ა.-კ. ორგანიზაციების მეექვსე ყრილობა

ყრილობის მეორე სხდომაზე გაიხსნა კამათი ამხ. იაკოვლევის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდა 25 ამხანაგი.

კამათში გამოსული ორატორების უმრავლესობა ეხებოდა ა-კ. ფედერაციი განმტკიცების ამოცანების, დიდმპყრობელურ შოვინიზმის და ადგილობრივ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, ორ ფრონტზე ბრძოლას და სხვა.

კომკავშირის ა.-კავკასიის ორგანიზაციებმა გადამწყვეტი ბოლშევიკური პასუხი გასცეს სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტების უპრინციპო ბლოკს. კომკავშირის ა.-კ. ორგანიზაციებმა პარტიას დაუმტკიცეს, რომ ისინი შეურყევლად ატარებენ პარტიის გენერალურ ხაზს. კომკავშირმა პარტიას ჩააბარა პოლიტიკური გამოცდა ორ ფრონტზე ბრძოლის საქმეში. შემდეგშიაც კომკავშირი ბოლშევიკურად დაარტყამს მემარჯვენე-„მემარცხენე“ ოპორტუნისტებს და მათდამი შემარიგებლობას. კომკავშირი არ დაუშვებს პარტიის გენერალური ხაზის გამრუდებას, ის თავის რიგებიდან განდევნის ყველა მერყევ და არამტკიცე კომკავშირელებს —აცხადებდნენ ორატორები.

მე-6 ყრილობაზე კომკავშირის ა.-კავკასიის ორგანიზაციები მოვიდნენ უდიდესი მიღწევებით სოც. მშენებლობის ყველა ფრონტზე. კომკავშირის ორგანიზაციებს უდიდესი გამოცდილებები აქვს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ყოველ დარგში.

მიღწევებთან ერთად კომკავშირის ორგანიზაციას აქვს ნაკლოვანებებიც. საწარმოებში კომკავშირელები 100 პროცენტით არ არიან ჩაბმული სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში. ჯერ კიდევ ვერ შევსძელით სოფლის კომკავშირის ასი პროცენტით ჩაბმა სასოფლო-სამეურნეო არტელებში და კოლექტივებში.

კამათში გამოსული ორატორები ყრილობის ყურადღებას ამახვილებდნენ კომკავშირის სოფლის ორგანიზაციის მუშაობაზე. კომკავშირის ორგანიზაციამ სოფლად უნდა დარაზმოს ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები საკოლმეურნეო მშენებლობის გაძლიერებისათვის. ლოზუნგი ღარიბი გლეხის შვილების და მოჯამაგირეების 100 პროცენტით ჩაბმა კომკავშირის რიგებში ჯერ კიდევ შესრულებული არ არის. ჩვენ უნდა შევსძლოთ თვითეულ კოლმეურნეობაში კომკავშირის უჯრედების ჩამოყალიბება.

მე-6 ყრილობამ კომკავშირის ორგანიზაციებს უნდა მისცეს სწორი გეზი მთელი მუშაობისათვის, ა.-კ. ფედერაციის განმტკიცებისათვის. კომკავშირმა შემდეგში კიდევ უფრო მწვავედ უნდა დაარტყას დიდმპყრობელურ შოვინიზმს და ადგილობრივ ნაციონალიზმს.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. იაკოვლევის საბოლოო სიტყვა.

რა ხდება ადგილებზე

თბომავალი „აფხაზეთი“ ბათომში

ბათომი, 6 იანვარი. (საკ. კორ.) 5 იანვარს, დილის 10 საათზე, ბათომში მოვიდა საბჭოთა თბომავალი „აფხაზეთი“, რომლითაც იმოგზაურეს საზღვარგარეთ საბჭოთა კავშირის საუკეთესო დამკვრელებმა.

„აფხაზეთი“-ს ეკიპაჟს ბათომის მშრომელებმა გაუმართეს საზეიმო შეხვედრა. ზეიმს დაესწრნენ აჭარისტანის მთავრობის, პარტიის საოლქო კომიტეტის, პროფკავშირების წარმომადგენლები და დიდძალი მუშები. ნავთსადგური და ნავთსადგურში მდგომი საბჭოთა გემები მორთულნი იყო დროშებით. ლამაზად იყო მორთული „აფხაზეთი“-ც.

თბომავალი, „აფხაზეთი“ აგებულია საბჭოთა კავშირში ბალტიის (ლენინგრადი) გემთმშენებელ ქარხანაში.

ი. ხუციშვილი.

—:—

საავტომობილო მიმოსვლა აღდგენილია

ბორჯომი, 4 იანვარი. (საკ. კორეს.) დიდი თოვლის გამო ახალციხესა და ბორჯომს შორის 5 დღის განმავლობაში შეწყვეტილი იყო საავტომობილო მიმოსვლა. მიღებული ზომებით შესაძლებელი გახდა მიმოსვლის აღდგენა. დღეს საავტომობილო მიმოსვლა აგრეთვე აღდგენილი იქნება აბასთუმანთან.

რაც შეეხება ახალქალაქს, ამ პუნქტამდე ბორჯომიდან მოძრაობის განახლება ჯერჯერობით შეუძლებელია დიდი თოვლისაგან გზის დაკეტვის გამო.

ახალციხის გზაზე თოვლში ჩარჩა 6 ავტომობილი, რომელნიც ორი დღის მუშაობის შემდეგ განთავისუფლებული იქნენ თოვლისაგან. ექვსივე ავტომობილი უკვე ჩამოყვანილია ბორჯომში.

—:—

ხანძარი მაღლაკის სარძევე ფერმაში

ქუთაისი, 6 იანვარი. (საკ. კორ.) 2 იანვარს ღამით ცეცხლი გაუჩნდა მუშკოოპის მაღლაკის სარძევე ფერმის ერთ საძროხე თავლას.

ხანძარი იმდენად ძლიერი იყო, რომ განადგურებით ემუქრებოდა სარძევე ფერმას ყველა შენობებს, მაგრამ ახლად შეძენილ ცეცხლის საქრობი იარაღების საშუალებით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა.

დაიწვა თავლის ნახევარი ნაწილი და მასში მოთავსებული ხე-ტყის მასალა.

ზარალი უდრის 18.000 მანეთს.

ხანძრის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

ვ. ლ—ი.

გადაგვარებული ელემენტი გაძევებულია პარტიის რიგებიდან

1. ამხ. ქორჩილავა, როგორც სახალხო მოსამართლე, მოყოლებული იყო დაეცვა რევოლუციონური კანონიერება. ამის ნაცვლად იგი თავის პრაქტიკულ მუშაობაში ამახინჯებდა კლასობრივ ხაზს, კავშირი ჰქონდა უმეტეს შემთხვევაში მის მიერვე მსჯავრდადებულ კლასობრივად უცხო ელემენტებთან—ვაჭრებთან (აბჯერდოვი, საკიანი), ხშირად იყო მათთან და სისტემატიურად მონაწილეობას იღებდა ვაჭრების მიერ მოწყობილ ქეიფში.

2. ქორჩილავა, რომელიც ვაჭრების და ყოფილი ვაჭრების წრეში ტრიალებდა, შავხილელ—ყოფილ მსხვილ ვაჭარს კაგრამიანს აძლევს რეკომენდაციას სამოქალაქო უფლებებში აღდგენის შესახებ. ის სრულიად არ იცნობს ამ ვაჭრის წარსულს და, მიუხედავად ამისა, ადასტურებს, რომ იგი ღარიბია, არასოდეს არ გააჩნდა რაიმე ქონება და საკუთარი შრომით ცხოვრობს (იხ. ქორჩილავას ჩვენება).

3. ამხ. ქორჩილავა სარგებლობს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, როგორც თბილისის გაერთიანებულ სასამართლოს თავმჯდომარე და არწმუნებს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ორგანოებს, რომ მათ მიერ დაპატიმრებული დავიდოვების ოჯახი, და სხვათა შორის, მისი ცოლიც—სესილია ხანდო პირებია, და, რომ იგი თავდებად უდგება მათ. ნამდვილად კი ამხ. ქორჩილავა დავიდოვების ოჯახს საკმაოდ არ იცნობდა და ასეთი გამოქომაგება აიხსნება იმით, რომ მას ახლო კავშირი ჰქონდა ვაჭრებთან, კერძოდ ვაჭრის საკიანის ცოლთან.

4. ამხ. ქორჩილავა იმდენად გაიხრწნა და დაჰკარგა კომუნისტის სახე, რომ იგი მის მიერ მსჯავრდადებულ საკიანთან ერთად დადიოდა საქართველოს ცაკში იურისკონსულტთან და ცდილობდა, რომ საკიანის საქმე გარჩეულიყო შეწყალების წესით (იხ. ქორჩილავას ჩვენება).

5. ქორჩილავას ცოლმა შეიტანა სამოქალაქო სარჩელი ქონების შესახებ თავისი ყოფილი ქმრის ვაჭრის საკიანის მიმართ. ამ სარჩელისათვის, რომელიც გადაცემული ჰქონდა უპარტიო მოსამართლეს ამხ. ქვარიანს, სადერბო გამოსაღების სახით, გადახდილ იქნა 2 მანეთი, მაშინ, როცა ნამდვილად უნდა გადახდილიყო 100 მანეთი. ამით ქორჩილავამ ზარალი მიაყენა სახელმწიფოს.

6. სასამართლო პროცესის დროს ამხ. ქორჩილავა დაუკავშირდა საკიანის ცოლს და საკიანისათვის მსჯავრის დადების შემდეგ შეირთო მისი ცოლი, რითაც მასის თვალში სახელი გაუტეხა საბჭოთა მართლმსაჯულებას.

7. იუსტიციის სახალხო კომისარიატის უჯრედისა და ბიუროს წევრების უმრავლესობამ იცოდა პარტიის წევრის ამხ. ქორჩილავას არაკომუნისტური მოქმედებისა და სრული გახრწნის შესახებ, მაგრამ უჯრედმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია მის ანტიპარტიულ მოქმედებას, არ ჩასთვალა იგი კლასობრივი ხაზის დამახინჯებად და მიიჩქმალა, რითაც მან არასაკმაოდ შეაფასა პარტიის წევრის ქორჩილავას გახრწნისა და პოლიტიკური შეცდომების ძირითადი მომენტები.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიამ დაადგინა:

1. რაჟდენ პავლეს ძე ქორჩილავა უცხო-ანტისაბჭოთა ელემენტებთან დაკავშირებისათვის (კავშირი კერძო ვაჭრებთან), კლასობრივი ხაზის დამახინჯებისა და რევოლუციონური კანონიერების სახელის გატეხისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობის პირადი მიზნებისთვის გამოყენებისა და სხვადასხვა არაკომუნისტური მოქმედებისათვის **გარიცხულ იქნას** საქ. კომპარტიის (ბ) რიგებიდან, როგორც გახრწნილი ელემენტი.

2. პარტკოლეგია აღნიშნავს, რომ უჯრედში ადგილი აქვს არაჯანსაღ ატმოსფერას, რაც იმაში გამოიხატა, რომ ბიურომ და უჯრედმა არ მიაქციეს ყურადღება ამხ. ქორჩილავას მიერ ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულს და ამით შემარიგებელი დამოკიდებულება გამოიჩინეს ქორჩილავას საქციელისადმი, წინადადება მიეცეს პარტიის ქალაქის რაიკომს შეამოწმოს ამ უჯრედის მდგომარეობა.

3. ქორჩილავას შესახებ მასალები გადაეცეს რესპუბლიკის პროკურორს ქორჩილავას პასუხისგებაში მისაცემად.

დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

სასჯელი იუსტიციის სახკომისარიატის პარტუჯრედის ბიუროს

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ქალაქის რაიკომის ბიურო, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია ამხ. ქორჩილავას საქმის გამო მომხდარი გამოკვლევის შედეგების შესახებ, აღნიშნავს, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატის უჯრედმა მთლიანად, აგრეთვე პარტიის ცალკე წევრებმა, იცოდნენ პარტიის წევრის, სახალხო მოსამართლის ამხ. ქორჩილავას კავშირის შესახებ კლასობრივად უცხო ელემენტებთან და მის მიერ კლასობრივი ხაზის დამახინჯების შესახებ სასამართლოს პრაქტიკაში, მაგრამ გამოიჩინეს შემარიგებლობა ამ უმსგავსოებისადმი, არ დასვეს ეს საკითხი მთელს ადგილობრივ პარტორგანიზაციაში განსახილველად და ამის შედეგად მიჩქმალეს ქორჩილავას საქმის პოლიტიკური მნიშვნელობა.

რაიკომის ბიურო აღნიშნავს, რომ ამხ. ქორჩილავას საქმის ამგვარი არასაკმაოდ შეფასება აიხსნება იმით, რომ იუსტიციის სახალხო კომისარიატის უჯრედის ბიუროს წევრებმა და პარტიის ცალკე წევრებმა ვერ იჩინეს კლასობრივი სიფხიზლე და აგრეთვე უჯრედში თვითკრიტიკა სუსტად იყო განვითარებული; რაიკომის ბიურო ადგენს:

1. მოიხსნას უჯრედის მდივანი ამხ. **შავიშვილი** და გამოეცხადოს მას საყვედური.

2. მოხდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის უჯრედის ბიუროს გადარჩევა და პერსონალური საყვედური გამოეცხადოს ყველა მის წევრებს.

3. საკითხი პარტიის ცალკე წევრების შესახებ (ლეჟავა, ხარებავა და სხვ.), რომელთაც იცოდნენ ამხ. ქორჩილავას უმსგავსო მოქმედება და მიჩქმალეს იგი, გადაეცეს სარაიონო საკონტროლო კომისიას.

4. რაიკომის ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

მოითხოვენ 22 იანვრის გამოცხადებას

ინდუსტრიალიზაციის მეორე დღეთ

თბილისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკის მუშათა მფრინავ მიტინგმა მოისმინა ინფორმაცია ამხ. ლენინის გარდაცვალების დღის ჩატარების შესახებ. ამ დღის ჩატარებასთან დაკავშირებით მიტინგმა მოიწონა ქ. გომელის მუშების ინიციატივა — 22 იანვრის ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადების შესახებ და ერთხმად დაადგინა შეუერთდეს გომელის მუშების წინადადებას.

მიტინგმა 22 იანვარი გამოაცხადა ინდუსტრიალიზაციის მეორე დღეთ, და მოუწოდა სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებს მიბაძონ გომელის მუშების მაგალითს.

მუშათა მომარაგება

კარტოფილის ფქვილის დარიგება

დღეიდან მუშკოოპის საპროდუქტო მაღაზიებიდან დაიწყება კარტოფილის ფქვილის გაცემა საბავშო წიგნაკებით. თითო წიგნაკზე გაცემული იქნება 300 გრამი კარტოფილის ფქვილი.

ჩაი

მუშკოოპი შეუდგა ჩაის ნორმის დარიგებას დეკემბერ-იანვრისათვის. ჩაი გაცემული იქნება „ა" და „ბ" წიგნაკებით თითო წიგნაკზე იქნება 100-100 გრამი ჩაი.

შეცდომა უნდა გამოსწორდეს

ახალი დარაიონება, როცა რაიონი მიჩნეულია ძირითად ადგილობრივ სამეურნეო, ადმინისტრატიულ და კულტურულ ცენტრად, სავსებით გასაგებია და მიზანშეწონილი. სწორედ ეს გარემოება გვავალებს, რომ დარაიონების საქმეს არ მივუდგეთ ტრაფარეტულად, არ ჩავატაროთ ის ფორმალურად, რასაც შეუძლია საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს.

მაგალითისათვის მოვიყვანთ სოფ. მუხურას (ყოფ. შორაპნის მაზრა). ამ სოფელს დღემდე კავშირი აქვს ორ სარაიონო ცენტრთან: ერთია დაბა ჩხარი, მეორე—დაბა ტყიბული. მუხურა დაშორებულია ჩხარიდან 20 ვერსით, გზები არაჩვეულებრივად ცუდია, ცალიერ ურმებსაც კი უჭირს მუხურადან ჩხარში ჩასვლა.

მეორე — დაბა ტყიბული დაშორებულია მუხურისაგან 7 ვერსით. გზა გაცილებით უკეთესია. თვით ტყიბული, წარმოადგენს მუშათა ცენტრს. მუხურელი მცხოვრებნი მუშაობენ ტყიბულის მაღაროებში. ტყიბულს ამასთანავე ის უპირატესობა აქვს ჩხართან შედარებით, რომ ტყიბულში მოდის რკინის გზის შტო. აშკარაა, რომ სოფელი მუხურა ეკონომიურად, კულტურულად და ადმინისტრატიულადაც უფრო ტყიბულისაკენ მიიწევს. და აი, ისმება საკითხი იმის შესახებ, რომელ დაბას უნდა შეუერთდეს სოფ. მუხურა ახალი დარაიონების დროს? აქ ორი პასუხის გაცემა შეუძლებელია. საღი მოსაზრება იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ მუხურა უნდა მოექცეს ტყიბულის რაიონში, ერთად-ერთი მოტივი (თუ კი ეს შეიძლება მოტივად ჩაითვალოს) მუხურას ჩხარის რაიონში შეტანის სასარგებლოდ არის ის, რომ ჩხარის რაიონი შედარებით პატარა რაიონია და მუხურის ტყიბულზე მიწერა დაასუსტებს ჩხარის რაიონს, როგორც ეკონომიურად და ადმინისტრატიულ ერთეულს.

მაგრამ ეს ხომ საკითხის სწორად დაყენება არ იქნებოდა. სად 7 ვერსი და სად 20 ვერსი? სად ტყიბული, როგორც მუშათა ცენტრი და რკინის გზის შტოზე მდებარე დაბა და სად ჩხარი, რომელიც თავის მხრივ მოწყვეტილია დიდ კულტურულ ცენტრებს. დაბა ჩხარიდან სადგურ ზესტაფონამდე 25 ვერსია.

მიუხედავად ამისა ს. მუხურა დარაიონების დროს დასტოვეს ჩხარის რაიონში, რომელშიაც რატომღაც ის წინათაც შედიოდა. ადგილობრივი ორგანიზაციები და მშრომელი გლეხობა ამას კიდევ შეურიგდა. მაგრამ დიდი აღშფოთება გამოიწვია გლეხობაში იმის ცდამ, რომ მუხურელი გლეხები მოეხსნათ ტყიბულის კოოპერატივიდანაც და გადაერიცხათ ჩხარის კოოპერატივზე. მალე მოწერილობაც მოვიდა ამის შესახებ.

ეს იმას ნიშნავს, რომ მუხურელ გლეხებმა ყოველ წვრილმან საქონელზე: ნავთზე, მარილზე, სპიჩკაზე და სხვ. უნდა იარონ 20 ვერსი ჩხარამდე ფეხით ტალახში და კლდე-ღორეში. არ ვიცით, ვის მოუვიდა თავში ასეთი განკარგულება? მხოლოდ ერთი რამ აშკარაა: ამაზე უკეთეს საქმეს ჩვენი მტრების გასახარებლად მუხურაში ვერავინ იზამდა.

სოფელში ამის ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმაა. მუხურელები თანახმა არიან დარჩნენ ადმინისტრატიულად ჩხარის რაიონში, მაგრამ ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ კოოპერაციის ხაზითაც უნდა მოშორებულ იქნან უახლოეს პუნქტს.

საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ ის ხელმეორეთ დაისვა ცეკავშირში და ცაკში. გაგზავნილია მიწერილობა შეჩერებულ იქნას მუხურის ჩხარზე მიკუთვნება კოოპერატივის ხაზით, სანამ ახალი განკარგულება არ გაიცემა. ეს ძალიან კარგი, მაგრამ ყველაზე უცუდესი იქნება ის, რომ ამ „ახალ განკარგულებამ" დაადასტუროს ძველი.

მუხურის კოოპერატიულადაც ჩხარზე მიწერა დიდი შეცდომაა. ეს შეცდომა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. ეს არა თუ იწინააღმდეგება დარაიონების სწორად გაგებულ აზრს, პირიქით,—ეს იქნება ამ აზრის კონკრეტულად გაგება და არა მისი ხეპრულად დამახინჯება. **ს. ბრილისელი.**

ქრონიკა

საქ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს შემადგენლობა

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ლ. ბერია, ვ. კიკნაძე, მ. მერკვილაძე, გ. დევდარიანი, კუჯაიძე, ს. თოდრია, ბ. მაჩაიძე, გარინი, კიდაიში, ბუჯიაშვილი, შ. მათიკაშვილი, ხინჩოლაშვილი, გოთგაძე, ბარქაია, დოიჯაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარეთ დამტკიცებული იქნა ამხ. ლ. ბერია, მდივნად ამხ. ვ. კიკნაძე.

დახმარება კლუბებს

თბილისის აღმასკომმა თბილისის მუშათა კლუბებისათვის დახმარების გასაწევად გადადო 25.000 მანეთი.

კრებები და მოხსენებები

პროლეტარულ მწერალთა ბრიგადა № 1-ლის თათბირი. ოთხშაბათს, 7 იანვარს, დღის სრულ 1 საათზე 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში მოწვეულია მწერალთა ბრიგადა № 1-ის სასწრაფო თათბირი, რომელზედაც უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: მილცინი, არ. ჩაჩიბაია, გ. ნატროშვილი, ალ. მაშაშვილი, ლ. ქიაჩელი, მიხ. ჯავახიშვილი, ლ. ასათიანი, ბ. ჩხეიძე, შ. ნავთლუღელი.

— **ხუთშაბათს, იანვრის 8-ს,** საღამოს 7 საათზე საქ. პედაგოგიურ ინსტიტუტის შენობაში (ყოფ. უნივერსიტეტი) შესდგება საქ. გეოლოგ. ინ-ტის საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს პროფ. ალექს. ჯანელიძე—თემაზე: „კიდურ ნაოჭების ტექტონიკა".

ხელოვნება

წითელი არმიის ქართული თეატრი

თბილისის სატირის თეატრი, თეატრის მთელი შემადგენლობის სურვილით მთლიანად გადაიდა წითელი არმიის განკარგულებაში არმიის ქართული ნაწილების მხატვრული სამსახურის გასაწევად. ამასთან ერთად თეატრი წარმოდგენებს გამართავს მუშათა კლუბებშიც. თეატრის ბაზაა წითელი არმიის სახლი (რუსთაველის პრ.). თეატრთან ჩამოყალიბებულია სამხატვრო საბჭო. თეატრის მხატვრული ხელმძღვანელია გ. ბუხნიკაშვილი, მთავარი რეჟისორი შ. მანაგაძე, რეჟისორი გ. რობაქიძე, რეჟისორის თანაშ. კ. რამიშვილი, მხატვარი რ. მირზაშვილი, მუსიკა ნ. ჯანდიერი, ადმინისტრატორი მ. გულაშვილი, მსახიობნი: გ. აბულაძე, შ. გზირიძე, ნ. გოგორიშვილი, ი. ვაშაძე, გ. კავსაძე, დ. კობახიძე, ქ. კოპალაძე, ა. კუპრაძე, ა. მეწლიშვილი, ვ მეგრელიშვილი, ს. რამიშვილი, შ. იმერი, რ. რაისელი, გ. ფხალაძე, მ. ყარალაშვილი, გ. ყიფიანი, გურ. ყიფიანი, ბ. ჩერქეზიშვილი და გ. შენგელია.

დამტკიცებულია შემდეგი რეპერტუარი: „პირველი ცხენოსანი" — ვ. ვიშნევსკის, „შვეიკის თავგადასავალი" — ი. ხაშეკის, „ამბოხება" — დ. ფურმანოვის, „კიდევ თბილისი" — ავტორი კოლექტივი, „ათი წელი სადარაჯოზე" — შ. დადიანის, „ტექნიკა ჯარში" — გ. ბუხნიკაშვილის, „ხუთწლედი ოთხ წელში" — გ. ცაგარელის, „წითელი არმია" — ა. იასაღაშვილის, „ესტრადა"—გ. ბუხნიკაშვილი, ნ. ზომლეთელი, ს. ჩიქოვანი, ა. მაშაშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ა. წ. 7 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის კულტპროპში შესდგება გაზეთების რედაქტორების თათბირი საკითხზე „საბჭოების არჩევნების გაშუქების შესახებ გაზეთებში". სავალდებულოა ქვემოდ-დასახელებული ამხანაგების დასწრება: კიკნაძე („კომუნისტი"), საყვარელიძე, ძიგრაშვილი („კოლექტივიზაცია"), ფილია („მუშა"), გრიგორიანი („რაბოჩაია პრავდა"), ვართანიანი („პროლეტარი"), ვოლსკი („ახალგაზრდა კომუნისტი"), ხომერიკი („კოოპერატიული ცხოვრება"), ცხოვრებაშვილი (სასოფლო-სამეურნეო მუშა), ჩაუსკი (ს. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი, ძიძიგური (განათლების მუშაკთა კავშირი).

—:—

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ივანე ქსოვრელს გამოცხადდეს 10 იანვარს საკონტროლო კომისიაში ამხ. ლომინაძესთან (ოთახი 13).

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო და საინსტრუქტორო განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ-დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ ცენტრალურ კომიტეტში 1931 წლის 7 იანვარს არა უგვიანეს შუადღის 12 საათისა ამხ. კიზირიასთან (ოთახი 15): ა. აგეევი, იაშა კატანოვი, მაისურაძე, ნუცუბიძე, დანილოვიჩი, ვ. ბუჯიაშვილი და აკ. მახარაძე (კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება იუწყება, რომ 1931 წლის 7 იანვარს შუადღის 12 საათზე, ამხ. გურჯაიშვილის კაბინეტში (ოთახი 25) შესდგება თათბირი კულტ-ესტაფეტის საკითხებზე. სავალდებულოა ყველა ქვემოდ-დასახელებული ამხანაგების დასწრება: გაზ. „კომუნისტი"-ს და „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქტორები, „მუშა"-ს რედაქტორის მოადგილე, თბილისის სახალხო განათლების განყოფილებიდან—პოლონსკი, განათლების სახალხო კომისარიატიდან— გეგენავა, საქართველოს პროფსაბჭოს კულტპროპის გამგე, საქ. კომკავშირის ცეკას განათლებისა და ყოფაცხოვრების განყოფილება და რაიკომების კულტპროპები.

—:—

დღეს, 7 იანვარს, დღის 12 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც.კ. კულტპროპის ბეჭდვითი სიტყვის სექტორში შესდგება თათბირი უმაღ. სასწავლებელთა მსმენელების და ასპირანტების მიმაგრების შესახებ გაზეთების რედაქციებთან, თათბირზე დაუგვიანებლად უნდა გამოცხადდნენ პედაგოგიური, საფინანსო-კოოპერატიული და უფლებისა და საბჭოთა მშენებლობის ინსტიტუტების, კ. კ. (ბ) ბიურო-კოლექტივის მდივნები. თათბირს უნდა დაესწრონ აგრეთვე ამხ. კიკნაძე („კომუნისტი"), საყვარელიძე („კოლექტივიზაცია", ფილია („მუშა") და გრიგორიანი („რაბ. პრავდა").

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

„სახლის სამოურაოს მოვალეობის თაობაზე სხვადასხვა ცნობების გაცემისათვის" 1928 წ. ოქტომბრის 31 თარიღითა და 80 №-ით გამოცემული დადგენილების მე-11 კარის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

კარი მე-11 1928 წლის ოქტომბრის 31-ს თარიღითა და 80 №-ის დადგენილებისა „სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის სფეროში" (კან. კრებ. 1928 წ. მე-16 №-ი, მუხ. 151) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„სახლის სამოურაოს მიერ გასაცემ ცნობას და მოწმობას ხელი უნდა მოაწეროს მუნიციპალიზებული სახლების გამგემ და კომენდანტმა—კუთვნილებისამებრ, საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ ან სახლებისათვის უფლებამოსილმა ამხანაგობის რწმუნებულებმა, კერძო სახლის მფლობელმა, სახლის მოიჯარემ და მოურავმა, სასტუმროს და გასაქირავებელი ავეჯიანი ოთახების პატრონმა ან გამგემ; ცნობას და მოწმობას უნდა დაესვას სამოურაოს ბეჭედი.

ბეჭდების ფორმას და გამოყენების წესებს განსაზღვრავს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის ან საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმი".

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მიხა ცხაკაია.

საქართვ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

—:—

სს. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, **მონოპოლიური უფლება ბეჭდების დამზადებისა,** რომელიც გათვალისწინებულია სს ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ ა.-წ. ნოემბრის 24 დამტკიცებულ დადგენილებაში სახლის სამოურაოს მოვალეობის შესახებ სხვადასხვა ცნობების გაცემის თაობაზე, მიენიჭა სს. ცაკთან არსებულ ბავშთა კომისიას.

დაკვეთები მიიღება ჟორესის ქ. (ყოფ. კიროჩნის № 12).

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

საბამბე რაიონებში წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობის შესახებ

დროებით, ვიდრე განისაზღვრებოდეს კანონით დადგენილი წესისამებრ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე წყალთა მეურნეობის ადგილობრივი ორგანოების მოწყობის საერთო სისტემა,—საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს—მოაწყოს, სათანადო სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან ერთად, 1931 წ. იანვრის 15-და, წყალთა მეურნეობის სარაიონო განყოფილებანი: ა) **ბორჩალოსი**—ცენტრით სოფ. სანდარაში, ბ) **ლიუქსემბურგისა**—ცენტრით ქ. ლიუქსემბურგი, გ) **საგარეჯოსი**—ცენტრით სოფ. საგარეჯოში და დ) **გურჯაანისა**—ცენტრით ქალ. გურჯაანში.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს 1-ლ მუხლში განსაზღვრულ ვადაზე მოაწყოს, მთლად ალაზნის საინჟინერო წყალთა სისტემისათვის მომსახურეობის გასაწევად, განსაკუთრებული სამმართველო ცენტრით სოფ. წნორში.

3. დაეკისროს წყალთა მეურნეობის ზემოაღნიშნულ განყოფილებებს და ალაზნის სისტემის სამმართველოს ყველა ფუნქცია წყალთა მეურნეობის საოლქო სამმართველოსი, რაც გათვალისწინებულია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. აპრილის 8-ის დადგენილებაში „წყალთა ადგილობრივი ადმინისტრაციების სათანადო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოებისათვის დაქვემდებარების შესახებ" (ა.-კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-7 №-რი, მუხ. 31).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. ბ. ბოგბია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ა. ანთაძე.

1931 წ. იანვრის 5.
თბილისი—სასახლე.

შემთხვევები

● **თვითმკვლელობა.** 5 იანვარს გიორგი ალექსანდრეს-ძე გაბაშვილმა (ინჟენერის ქუჩა № 2) რევოლვერით მოიკლა თავი. თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

● **უეცარი სიკვდილი.** კახეთის ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა მოხუცი მოსე მიხეილის ძე ბენიაშვილი (ზურაბაშვილის ქუჩა № 8). გვამი გადაიგზავნა ქალაქის პირველ საავადმყოფოს პროზექტურაში.

● **თავის მოწამვლა.** თავი მოიწამლა ევა გელოვანმა (მოსკოვის ქუჩა № 10). მიზეზი გამოურკვეველია. გელოვანი მოთავსებულია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

● **ქურდობა.** მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს კონსტანტინე კონსტანტინეპოლსკის ბინა (სართაის ქუჩა № 3), საიდანაც მოიპარეს 800 მან. საოჯახო ნივთები.—ვერა ნესტორის-ასულ გიორგაძეს—(სამისწავლო შესახვევი № 2), მოჰპარეს 444 მან. ნივთები.

ქართული სახელმწ. დრამა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

7 იანვარს მე-4 აბონემ. მე-3 წარ. **როგორ**

8 იანვარს მე 13 აბონემენ. მე-3 წარ. **კაკალ გულში**

ვინც წარმოდგენის დღის 2 საათამდე არ შემოიტანს მე-3 შემოსატანს, წარმოდგენას ვერ დაესწრება. ნ. 45 3—2

სახელმწ. ოპერა

დღეს, 7 იანვარს მე-15 აბონემ. 1-ლი წარმ. **თავადი იგორი**

ხუთშაბათს, 8 იანვარს მე-10 აბონ. მე-6 წარმოდ. ა. ა. დროზდოვის წონაწ. **ტოსკა**

პარასკევს, 9 იანვარს 1-ლი აბონ. მე 7 წარმ. **შოთა რუსთაველი**

კონცერტის დასაწყ. საღ. 8 საათ. წარმოდგენების დასაწყისი სრულ 7 საათ. 30 წუთზე. დაიწყო ყველა აბონემენტების მე-5 მორიგი შესატანის მიღება სალარო № 3. ნ. 52

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

სპარტაკი საღამოს სეანსები 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.

საზამთრო დარბაზი 1 სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.

გ. სტრელკოვა, იგორ ილინსკი, კტოროვი „მეჟრაბპომ ფილმ"-ის ახალ მხატვრულ სურათში **წმ. იორგენის დღესასწაული** რეჟისორი პროტოზანოვი

ლ. ბეტაევი, სანოვი, თინა მაჟავარიანი მხატვრულ სურათში **ზელიმ-ხანი** 0—6

კინო **პალასი** 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30

მეორე კვირა **ფეინდენის ქალიშვილი** სცენარი მიხ. რუდგანის რეჟისორი—ოლეგ ფრელიხი

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. მინიონი) I-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ.

ახალი მხატვრული ფილმი **მკვდარი სული** (ბუმერანგი)

სახელმწ. ცირკი

დღეს და ყოველდღე ახალი პროგრამა

მსოფლიო საბჭოთა ატრაქციონის გასტროლები. სარეკორდო ტრიუკები ეიფელის კოშკის გარშემო მფრინავ აეროპლანებზე, მსოფლიოში ცნობილ უშიშარ სამ

ედერ-ბერეტისა

და მრავალი სხვ. ატრაქციონი დასაწ. საღ 8 საათ.

ახალი ექიმები

გამოშვებული 1930 წელში

1. აბულაძე დავით იოსების-ძე,
2. ასპისოვი ზინაიდა ნიკოლოზის ას.,
3. აფაქიძე ანნა ივანეს ას.,
4. ასანიშვილი თამარ თედორეს ას.,
5. ახვერდოვა არუსიაკ იოსების ას.,
6. ბარამიძე მიხეილ კონსტანტინეს-ძე,
7. ბარბაქაძე ანნა ნიკოლოზის ას.,
8. ბაღოშვილი ანტონ გრიგოლის ძე,
9. ბარქაია სერგო სიმონის ძე,
10. ბელიაშვილი მარიამ ვლადიმერის ას.,
11. ბედოშვილი ალექსანდრე ესტატეს-ძე,
12. ბეჟანიშვილი ელისაბედ სიმონის ას.,
13. ბერძენიშვილი მართა თომას ას.
14. ბოლქვაძე ალექსანდრე ანდრიას-ძე,
15. ბოკუჩავა აკაკი ყარამანის-ძე,
16. ბარათაშვილი ანეპოტისტე ნიკოლოზის-ძე,
17. გუბელაძე ნადეჟდა თეოფანეს ას.,
18. გიორგაძე ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე,
19. გიორგაძე ნადეჟდა ნიკოლოზის ას.,
20. გოგოტიძე ელენე დიმიტრის ას.,
21. გუნიავა აგაბო არქიპოს-ძე,
22. გიუნაშვილი თამარ იოსების ას.
23. გოგაძე ოტია ვასილის-ძე.,
24. გოგებაშვილი ვლადიმერ ივანეს-ძე,
25. გეგულიანც-დილმელოვი რიფსიმე მნაცაკანის ას.,
26. დეკანოიძე სევერიანე დომენტის-ძე,
27. დოლიძე სოფიო იესეს ას.,
28. ელიავაშვილი შალვა ნიკოლოზის-ძე,
29. ზაალიშვილი რაფიელ გიორგის-ძე,
30. ზოიძე აკაკი კონსტანტინეს-ძე,
31. ზუბიევი-მოლიანაშვილისა ლიუსია ზაქ. ას.
32. ზურაბიშვილი ანტონ ნიკოლოზის-ძე,
33. თაკვაური აქსენტი ქაიხოსროს-ძე,
34. თაქთაქიშვილი სოფიო ნესტორის ას.,
35. თოდრია ნინო ივლიანეს ას.,
36. ინასარიძე გიორგი ზაქარიას-ძე,
37. კაპიანი ზინაიდა პეტრეს ას.,
38. კეთილაძე ვერა ერმილეს ას.,
39. კვანტალიანი-ზაქარეიშვილისა ალექსანდრა სიმონის ას.,
40. კიკაბიძე ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე,
41. კილაძე გელასი ივანეს-ძე,
42 კიწმარიშვილი შალვა სიმონის-ძე,
43. კირიჩენკო ელენე სერგოს ას.,
44. კოხრეიძე კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე,
45. კომახიძე მამედ ეედის-ძე,
46. კვირკველია ვალენტინა მოსეს ას.,
47. კოპეშავიძე ილია მიხეილის-ძე,
48. კასრაძე აკაკი ნიკოს-ძე,
49. ლეჟავა ვერა იოსების ას.,
50. ლეჟავა მარიამ შამშეს ას.,
51. ლაღიძე ვახტანგ კორნელის-ძე,
52. მარუაშვილი იოველ ვიქტორის-ძე,
53. მესხი ელეონორა სერგოს ას.,
54. მიქელაძე თამარ ალექსანდრეს ას.,
55. მოსეშვილი შალვა ლუკას ძე,
56. მუშკუდიანი ზინაიდა ტარასის ას.,
57. მჭედლიშვილი ნინო ბაგრატის ას.,
58. ნინიძე მარიამ გერასიმეს ას.,
59. ნაკაშიძე ელენე ერმილეს ას.,
60. ნაიგებაური მარიამ ფრანცის ას.,
61. ნარეშელაშვილი დავით პარმენის-ძე,
62. ნინიძე მარგარიტა ნიკოლოზის ას.,
63. ნინუა კანდელაკისა ვერა სიმონის ას.,
64. ნერგაძე შალვა ნესტორის-ძე,
65. ნუცუბიძე ლუკიანე გრიგოლის ძე,
66. პერტია აპროსი ნესტორის-ძე,
67. პაპიძე ბენედიქტე სილოვანის-ძე,
68. პეტრიდისი სოკრატ ანესტის-ძე,
69. პეტრიაშვილი ნინო ბენიამინის ას.,
70. ჟვანია თამარა ონისიმეს ას.,
71. ჟვანია თეოფანე კიმონის-ძე,
72. ოქრიაშვილი ვლადიმერ ივანეს-ძე,
73. რამიშვილი თამარ ივანეს ას.,
74. სახელაშვილი მარიამ სოფრომის ას.,
75. სიხარულიძე ქსენია ილარიონის ას.,
76. სიგუა იპოლიტე პავლეს-ძე,
77. სულხანიშვილი ლია დავითის ას.,
78. სტურუა ივდითი სილიბისტროს ას.,
79. სამარაძე თამარ გაბოს ას.,
80. საკანდელიძე ანტონ დავითის-ძე,
81. ტარუაშვილი კონსტანტინე სოფრომის ძე,
82. ტოგონიძე თამარ ილარიონის ას.,
83. უზნაძე სუზანა ალანის ას.,
84. უშურგუბაშვილი მარიამ ივანეს ას.,
85. ფულარიანი ალექსანდრე იუსტინეს ძე,
86. ქაჯაია არსენ იასონის-ძე,
87. ქარქაშიძე ელისაბედ ივანეს ას.,
88. ქებაძე ივანე გაბრიელის-ძე,
89. ყიფშიძე შალვა სიმონის-ძე.
90. შარაშენიძე ამბროსი პარმენის-ძე,
91. შაშიკოღლი ნევრესტან რეჯების ას.,
92. შენგელაია სერაფიონ ალექსის-ძე.,
93. შუღაროვი ანდრია არკადის-ძე,
94. ჩიქობავა ლიუბა ირაკლის ას.
95. ჩოხრუკიძე ლევან ალექსის-ძე,
96. ცინცაძე თინათინ ნესტორის ას.,
97. ცხომელიძე პროკოფი ონისიმეს-ძე,
98. წულაია ერმალოზ იოსების-ძე,
99. ჭითავა ოლღა რაჟდენის ას.,
100. ჭეიშვილი ალექსანდრე ნიკიფორეს-ძე.
101. ჭელიძე აკაკი გიორგის ძე,
102. ჭელიძე ალექსანდრე პავლეს-ძე,
103. ჭელიძე ანტიოფ პართენის-ძე,
104. ხავთასი იოსებ გრიგოლის-ძე,
105. ხარებავა მიხეილ სოლომონის-ძე,
106. ხაფავა სერგო ალექსის ძე,
107. ხოშტარია არეთა დავითის ას.,
108. ჯვარიშეიშვილი გაიოზ ოქროპირის-ძე,
109. ჯიქია დომენტი სიმონის-ძე,
110. ჯაველიძე შალვა გერასიმეს-ძე,

ინსტიტუტის დირექტორი — ვაწაძე.

ნ. 61

ვამზადებთ მოწაფეებს:

10 წლედის და 7 წლ. დასამთავრებელ მოწმობისათვის. სდგება აგრეთვე ჯგუფები: საბუღალტრო კურსებზე. მვიდწლედებში და ძუშფაკებში შესასვლელად ვასწორებთ ყველა საგნებში სუსტ მოწაფეებსაც.

პირობები გაიგება:

1. კარგარეთელის ქ. № 3 A. 3 ნ.ხ. 4 ნახ. საათამდის.

(კინო აპოლოს მახლობლად).

გოგებაშვილის მეორე შესახვევი (ყოფ. პეტროვის მეორე შესახვევი) № 20. 10—12 ს., 4—6 საათამდე.
20 19 7767

დაკარგულია

ძაღლი,

ლავერაკი-ხვადი, თეთრი და შავი ხალებით-დიდი.

მნახველს ვსთხოვ მაცნობოს უნივერსიტეტის ქ. № 4, ახალაძე.
139

თანახმად საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წლის 17 ივლისის თარიღით № 224 დადგენილებისა თბ. აღმასკომის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ებიაშვილს სტეფანე ადამის-ძე შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარი ებიაშვილის ახალ გვარზე ადამიძეზე გამოცვლის შესახებ. 16

თანახმად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1930 წ. 17 ივლისის № 224 დადგენილებისა, თბ. აღმასკომის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ნინა დიმიტრის ასული ებიაშვილს შემოტანილი აქვს განცხადება თავისი გვარის ებიაშვილის ახალ გვარზე ადამიძეზე გამოცვლის შესახებ. 149

საქართველოს კომუნალური ბანკი

აცხადებს, რომ იანვრის 15-ს, დღის 12 ს. ბანკის შენობაში, პუშკინის ქ. № 3, დანიშნულია

◇◇◇◇◇◇ საჯარო ვაჭრობა ◇◇◇◇◇

სარემონტო-სამშენებლო გრძელვადიანი სესხის უზრუნველსაყოფად ბანკში დაგირავებულ ქვემო და ახლებულ შენობებისა.

გასასყიდ შენობათა შეძენის მსურველებმა ვაჭრობის დაწყებამდი უნდა შემოიტანონ ამ სიაში აღნიშნული დავალიანება.

დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ბანკში ყოველ დღე გრძელვადიანი სესხის განყოფილებაში.

გასასყიდ შენობათა სია:

1.	№ 1639—ფრანგიშვილი ფილიპე იოსების-ძე—რუსთაველის ქ. № 38.	მან.—225— კ.
2.	№ 1643—ხუბაშვილი სპირიდონი ბატრაკის ძე—განზრახვის ქ.	„—266—64
3.	№ 1678—დანდუროვები ეკატერინე იოსების ას. და გიორგი ივანეს-ძე, ძრავის ქუჩა.	„—225—
4.	№ 1704—დულაშვილი მიხეილ ხუცის-ძე—დიღომბარისანის ქუჩა № 8.	„—217—50
5.	№ 1732—ტალიკაძე შაქრო ზურაბის-ძე ავლაბრის ქ. № 10.	„—200—
6.	№ 1767—მლებრიანცი მარიამ სარქისის ას.—შრომის ქ. № 14.	„—300—
7.	№ 1770—ხომერიკი პეტრე ალექსანდრეს-ძე—ძმათა ქუჩა მამულის № 688.	„—250—
8.	№ 1528—ოძელაშვილი ნინო ზაქარ. ასული და გაბრიელ შიოს-ძე - საბჭოს შესახ. № 15.	„—164—62
9.	№ 1658—ჩიჩოევა მარიამ ივანეს ას. და ხაჩატუროვები ივანე და სოფიო—რიადიოვის ქ. № 24.	„—290—
10.	1455—შერმაზანოვი ალექსი ვასილის-ძე—ნადიკვარის შესახ. № 10.	„—206—
11.	№ 1498—გვარამაძე ალექსანდრე მიხეილის-ძე—წყაროს შესახვევი მე-11 უბ.	„—139—45
12.	№ 885—მალიევისა ელისაბედ გრიგოლის ასული—ბესიკის მოედანი № 1 29.	„—1103—12
13.	№ 589—სოლოღაშვილი წყალობა სოლომონის-ძე—ავჭალის და ყუბანის ქუჩა.	„—219—42
14.	№ 894 მამულაშვილი ნინო მიხეილის ასული—ვეზიროვის ქ. № 7.	„ 1414—18
16.	№ 1626 ბუჩუკური დიმიტრი თევდორეს-ძე—მაგისტრალის ქუჩა.	„—373—14

ნ. 14

სამშენ. საფ. საქ. სასწავლებელი

(დიდუბის ქ. № 21)

ამით აცხადებს, რომ 1931 წლის იანვარში ჩატარდება მოწაფეთა მიღება ამავე სასწავლებლის ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სასწავლებელში მიღებული იქნებიან ის ახალგაზრდები ჰასაკით 16—18 წლისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ შრომის სკოლის 7 ჯგ.

სასწავლებელში წასარდგენად წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი მოწმობები:

1. მოწმობა განათლების შესახებ, 2. მეტრიკული ამონაწერი, 3. მოწმობა მშობლების სოციალური მდგომარეობის შესახებ.

პირველ რიგში სასწავლებელში მიღებული იქნებიან: მუშების შვილები, მოჯამაგირენი, კოლმეურნეთა და ღარიბ გლეხების შვილები და სხ. ყველა მოწაფეებს მიეცემათ სტიპენდია.

საბუთების მიღება გაგრძელდება 25 იანვრამდე. მეცადინეობა დაიწყება 1-ლ თებერვალს.

სამშ. საფ. საქ. სასწავ.
დირექტორი: მ. ქობულიძე.

ნ. 47

ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობა

ამიერ-კავკასიის პირველი ენერგეტიული ყრილობის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი აუწყებს ყველა დელეგატებსა და სტუმრებს, რომ

ყრილობის გახსნა

მოხდება ა წ. 7 იანვარს, საღამოს 7 საათზე მეცნიერთა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 123,) 5 საათზე. იქვე შესდგება ფრაქციის სხდომა

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე იმავე დღის დილის 10 საათიდან. რეგისტრაციის დროს აუცილებლად უნდა იქნას წარმოდგენილი საწევრო ბილეთები. სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ დელეგატებისათვის სადგომი მომზადებულია სასტუმრო „ევროპა"-ში (პლეხანოვის პროსპ. № 10), სადაც უნდა მიმართონ მათ ცნობების მისაღებად მორიგე თანამშრომელს.

2— ნ. 46 საორგანიზაციო კომიტეტი.

ოზურგეთის უბნ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი მ. მაქსმენიშვილი

აცხადებს, რომ ა. წ. 12 იანვარს დღის 12 საათზე გაიყიდება **საჯარო ვაჭრობით** ქალ. ოზურგეთში, ოზურგეთის რაიგლეხკომის გარაჟში მარს პეტრეს-ძე როზენბაუმის კუთვნილი ავტომანქანა, ფორდის სისტემის, 12 კაცის საჯდომი, შავი ფერის ყველა საჭირო ნაწილებით ვლადიმერ ლევიტინის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად სოხუმის I რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 23 დეკემბრის 1931 წლის თარიღით № 1991 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს სათანადო %%, თანახმად სამ. სამ. საპრ. კოდექსის 312 მუხლისა. გასაყიდი ქონება შეფასებულია 2800 მანეთ. და ამ თანხიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. თუ რაიმე მიზეზის გამო. ამ დღეს ვაჭრობა არ შესდგება, იმ შემთხვევაში მეორეხელ საჯარო ვაჭრობის დღეთ დანიშნულია 21 იანვარს 1931 წლისა. ნ. 60

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ესე ფილიპეს-ძე კობალაძე აუწყებს ნათესავებს, ამხანაგებსა და ნაცნობებს, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 5 იანვარს თბილისში გარდაიცვალა დაუვიწყარი მეუღლე და ძვირფასი მეგობარი

ანა (ნიურა) ივანეს ასული კობალაძე

სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 6 საათზე წითელი ჯვრის საავადმყოფოს პროზექტურაში. 2—2 138

სიდონია და სანდრო შვილებით აგრაფინა და მიშა კობალაძეები შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი რძალი და ბიცოლა

ნიურა კობალაძე

დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე ხუთშაბათს, 8 იანვარს, 4 საათზე. სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე წითელი ჯვრის საავადმყოფოში. 2—1 137

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ალექსანდრე გიორგის-ძე და მარიამ თედორეს ასული გაბაშვილები შვილებით იუწყებიან თავისი დაუვიწყარი შვილის სამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტის

ყორჩიკა გაბაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება დღეს, 7 იანვარს, 2 ნახ. საათზე, ბინიდან—ინჟენერის ქუჩა № 4. 148

საქ. სამშენებლო ინსტიტუტის პროფკომი იუწყება, რომ 5 იანვარს ტრაგიკულად გარდაიცვალა მე-4 კურსის სტუდენტი

გიორგი ალექსანდრეს-ძე გაბაშვილი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 133

გაუბედურებული დედა ნინო აბაშიძისა, ძმები გიორგი, რეზო, რძალი ოლია ვაჟათი, და ლოლა ამაშუკელისა, სიძე ვასო კარტოზია ოჯახობით იუწყებიან, რომ 3 იანვარს გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი

ანეტა ხერხეულიძისა

დაკრძალვა დღეს, გამოსვენება იურევის ქუჩა № 21, 4 საათზე. 130

გულდამწვარი ბიძა დავით და ბიცოლა იუსტინა ავთარაძეები თავიანთი შვილებით: ქეთო ხერხეულიძისა ვაჟით, ანიკო ამაშუკელისა თავის ქმარშვილით, მაროუსა, სოლიკო, ვარო, ციცინო, ანდრო და უჩა ცოლი ლელით დავსტირით

ანეტა აბაშიძე-ხერხეულიძის

უდროოდ დაკარგვას. 131

ღრმად დამწუხრებულნი: ბებია ელენე, ბიძები ნიკო და ალუა კაიხოსროს-ძენი ქავთარაძეები, დეიდები—მათიკო ფადავასი, ბაბო წერეთლისა, ბიძაშვილები: ლევაა და ვალოდია ქავთარაძეები, დეიდაშვილები საშკა მაჭავარიანი, მიშიკო წერეთელი აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ დისწულ

ანეტა ხერხეულიძის

გარდაცვალებას. 129

ლაზარდაცემული მშობლები: ნიკიფორე, პასიკო, ცოლი ლიდა, შვილი მაყვალა, ძმები: დიომიდე, შალვა, რძალი მარუსა, ძმისშვილები: თამარა, ელგუჯა, მამიდა-ნადეჟდა, სიძე მიშა და მარუსა იუწყებიან

გოგიტა თურქაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 8 იანვარს, სოფ. თერსათში. 159

დამწუხრებული დედა ავგუსტინა, ბებია ეგვიტო, დეიდა და ბიცოლა ეკატერინე და ელისაბედი, ბიძია ნიკიფორე, ბიძაშვილები: ი. ი. ა. ვ. ვ. ლაღიძეები, მარო ბუაძე, მარო ბრეგაძე იუწყებიან, რომ 10 იანვარს ფოთში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ

ვალიკო უჩაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 57

გრიშა გერსევანის-ძე რატიანი შვილით აჩიკოთი და ბიძაშვილით ნალათი იუწყება, რომ მან დაჰკარგა საყვარელი მეუღლე და მეგობარი

შურა რატიანისა

სამოქალაქო პანაშვიდი ბინაზე, გუნიბის ქ. 61, დღეს, 6 საათზე, გამოსვენება ხუთშაბათს, 8 იანვარს, 4 ნახ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 144

კვირას, ა. წ. 11 იანვარს შუადღის 12 საათზე **საქ. ჯანსახკომისარიატში** (ძნელაძის ქ. № 30 ოთახი № 10) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

საქ. ჯანსახკომისარიატის ქვემდებარე დაწესებულებათათვის საცვლების დამზადების გაცემაზე.

საადმ. საორგ. განყოფილება

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— მუშკოოპის წიგნაკი № 14051 დავით ბიბილეიშვილის სახ. 162
— მუშკოოპის წიგნაკი ევგენია ბიბილეიშვილის სახელზე. 162
— პურის წიგნაკი ქეთევან ბოკერიას სახელზე. 161
— მეტრიკული ამონაწერი შალიკო გიორგობიანის სახელზე. 160
— პურის წიგნაკი ზინა ლოჩოშვილის სახელზე. 157
— სამხედრო საალრიცხვო წიგნაკი თევდორე ყარაჯულის სახ. 156
— მუშკოოპის წიგნაკი თევდორე იარაჯულის სახელზე. 155
— საქ. სასოფლო სამეურ. ინსტიტუტის მიერ გაცემული სტუდენტობის მოწმობა № 4105—პავლე ხარატიშვილის სახელზე. 154

ღრმად დამწუხრებული ქრისტინე და ბიძა წერეთლა, ნუცა და გოგი ტატიშვილი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი დეიდა

ნატალია გიორგის ასული ყიფიანი-დეკანოსიძისა

დაკრძალვა დღეს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 62. 141

დამწუხრებული ბესარიონ დეკანოსიძე აცნობებს ნათესავთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მისი ერთად ერთი ნუგეში, საყვარელი მეუღლე

ნატალია გიორგის ასული ყიფიანი-დეკანოსიძისა

დაკრძალვა დღეს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის) № 62. 3—3 93

ბ. ბ. დეკანოსიძის მეგობრები: ა. ჭიპაშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, პ. მალალაშვილი, ე. რატია, ს. გუნცაძე იუწყებიან

ნატალია გიორგის ასული ყიფიანი-დეკანოსიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს 3 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 164

ქუჩა ივანეს ძე დეკანოსიძე ცოლშვილით, დომნა და ერმინე მალრაძეები, კატუშა დეკანოსიძისა და დათიკო დეკანოსიძე გულის ტკივილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა პირველის რძალი და დანარჩენთა საყვარელი ბიცოლა

ნატალია გიორგის ას. დეკანოსიძისა

158

დამწუხრებული მაზლი სეფე, რძალი ფოტინე: მაზლის შვილები: გიორგი მეუღლით—სოფიოთი, ელენე და ზურაბი დეკანოსიძეები დასტირიან ძვირფასი ნატალია გიორგის ასულ

დეკანოსიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 134

გულდამწვარი მაზლისშვილი ქრისტინე სეფეს ასული ქმრით—სამუილ მელიტონის-ძე მალრაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ძვირფას ბიცოლას ნატალია გიორგის ასული

დეკანოსიძეს

გარდაცვალებას. 135

დამწუხრებულნი ელენა ყიფიანის ასული ტაბაღუა მეუღლე გრიშათი აცნობებს ნაცნობებს და მეგობართ ძვირფასი და დაუვიწყარი მამიდა ნატალია გიორგის ასული

ყიფიანი-დეკანოსიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება ორჯონიკიძის (ყოფ. ანდრეევის) № 62. 140

კატო და ვანო ძანჯავაძე შვილებით ექიმი გიორგი და ვერა; პავლე, ვარა და კოლა აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის მარად საყვარელი

ნატალია გიორგის ასული ყიფიანი-დეკანოსიძისა

დაკრძალვა დღეს, 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 62. 15.

ხე-ტყის დამზადების გომის რაიონის თანამშრომლები ძწუხარებას გამოთქვამენ ქარხნის დირექტორის

კალენიკე დიმიტრის-ძე კვაჭანტირაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 146

სოფ. ბოსტანას სახერხი ქარხნის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით იუწყებიან ქარხნის დირექტორ

კალენიკე დიმიტრის-ძე კვაჭანტირაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 147

ძმა რაფო მეუღლე მაროთი და შვილი ოლღათი, მეუღლის მშობლები: ელენე გიორგის ასული და ალექსი ზაქარიას-ძე შვილებით მარგო და ოლია იეჟაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს საყვარელ და დაუვიწყარ

ნინა ერემაშვილი-გელოვანის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა ქ. ახალციხეში. 150

ღრმად დამწუხრებულნი ქმარი ილიკო, შვილები: ვალიკო, ლადო და ქეთო, რძალი თამარა, შვილიშვილი ვაჟიკო იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაცვალებულ

ლიზა დავითის ასული ჭოლოკავას

დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 8 იანვარს სოფ. მათხოჯში. (დეპ.)

ღრმად დამწუხრებული მამა, ცოლი ანეტა შვილებით სესია და ავთანდილ, ძმა ლადო, რძალი ლუბა ხურცილავები, სიძეები და დები აუწყებენ მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

ვასო ხურცილავას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, 8 იანვარს, 4 საათზე სამტრედიაში. (დეპ.)

სახკინმრეწვის გამქირავებელი განყოფილების თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ყოფილ თანამშრომელ

დომენტი გრიგოლის ძე ჭოჭუას

უდროოდ გარდაცვალების გამო. დასაფლავება 8 იანვარს ქალა ფოთში ცხაკაიას ქუჩა № 54. ნ. 63

საქართველოს სახკინმრეწვის გამგეობა და მუშა-მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას სახკინმრეწვის სოხუმის ყოფ. წარმომადგენლის

დომენტი გრიგოლის ძე ჭოჭუას

გარდაცვალებას. (ნის.)

ტირაჟი — 68.251
საგაზეთო გამომცემლობათა ს ტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68,
მთავლიტი № 904